

საერთო გაზეთი

№13 (563) • 22 აპრილი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღირსი 1 ლარი

**კორონა შავი ღამურების სენია და ის
გზის შვილებს პერაფერს უზამს...**



**რატომ სკულთ ნაცებს ყველაზე მეტად ისინი,
ვინც ყველაზე მეტად უნდა უყვარდეთ?**

გოგი თოფაძე - 80



**ნოდარ ჭითანაძე:
„გუმბლიურო
ჩემო მიწავ...“**

საქართველოში დღესაც არ არის ზუსტად აღრიცხული, მიწის რა ფართობს ვფლობთ




**ავთანდილ არაკელი:
ფიქრები
ქამიანობისას**

ქართველ ვრს აქვს განსაცდელის შამს განსაოცარი თვითმობილიზაციისა და კონსოლიდაციის უნარი.



**დავით ადიგვილი:
ქვეყანამ
ნეოლიბერალური
ნაწიგის ნაცვლად
ეკონომიკის მართვის
ახალი მეთოდები
უნდა აირჩიოს**

**კოვიდ-19 - ეპიდემია თუ გლობალისტების
მეარ დაგეგმილი პროექტი მსოფლიოს ახალი
ეკონომიკური წესრიგის დასაყარებლად?**



**COVID-19-ის
ღია წერილი**

**რეჯვიონალური მოძრაობა
და გურჯისტანელი რეჯვეები**

**„წყალნი
ნავლენ და
ნამოვლენ,
არ დარჩებიან
მიუანი“**

ვირველია თუ
ბოლო ნაცია,
ყველას მოუღებს
ბოლოს ნაცია!



კორონა შავი ღამურების სენია და ის გზის უკილავს პერაფერს უზამს...



უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვხატო სინანული და ვთქვა: ჩვენ ვერ არ ვიცით, რამდენი დიდი ადამიანი შეიწირა ამ სატანის ვირუსმა: რამდენი ხელოვანი, რამდენი მწიგნობარი დედამიწის ზურგზე.

ჩვენ ამას მერე გავიგებთ, როცა განქარდება და მიიღევა ეს ვირუსი.

ვერავენ დამარწმუნებს, რომ ეს შავი სატანის ბაქტერია ბუნებაში თვითონ იშვა.

ის სრულიად ბუნდოვან, დაფარულ გარემოებებში აღმოცენდა და გამოჩნდა.

გამოჩნდა იმ რასიდან, რომელიც კაცობრიობას ისედაც უქადის შთანთქმას.

ვირუსები აღმოჩნდა უმართავი, ანუ ვიდაცისგან მართული.

შესაძლოა, ამ ყველაფერში ღმერთის ხელი ურევია, მის გაშვებაშიც კი. კაცობრიობის მართლაც კორონალური, ამორალური, სულიერი სივრცის გასაფილტრად. გლობალური, ლიბერალისტული, აფუჭებული სოლომ-გომორული უწყესრიგობის ჩასაცხრობად.

ორი ხევისბერი მიკავშირდება ფშავიდან, ლაშარის ჯვრიდან და ხევსურეთიდან — კარატის ჯვრიდან.

ეს ორი მისტიკოსი ნათელმხილველი, საბედნიეროდ, მაინც შემორჩა ამ ხეობას.

ისინი წინა წლებშივე წინასწარმეტყველებდნენ ამ მოვლენას. ცოში რომ საფუარს შეუმვებ, მერე აფუჭდება (ამჟღავნება) და გადმოვა კიდევაც ვარცლიდან — კაცობრიობა უზნეობის საფუარმა ააფუჭა და გადავიდა უფლის საკრალურ ნაკრძალში.

კორონა ეშმაკმა ამოუშვა, მაგრამ უფალმა არ ჩაკეტა, არ გააჩერა და არც გააჩერებს გარკვეულ ზღვრამდე.

კაცობრიობა თავისივე უზნეობისთვის ღმერთმა ბევრჯერ გაწმინდა. ზოგჯერ ცეცხლით, ზოგჯერ — წარღვრით.

ახლა „ეშმაკის ნორთქლით“ წმენდსო.

გადახედეთ ჩემს მიერ ჩაწერილ „ქადაგის ტექსტებს“, მათ ქადაგებებს

სახიფათო დროთა და მოვლენათა ჩამოდგომასზე.

ზოგ ვინმეს საცინლადაც არ ყოფნიდა და ირონიითაც ელიმებოდა, ბევრ ვინმეს სჯეროდა და არ ელიმებოდა.

ახლა ყველას ერთად მწარედ ელიმება ამ განსაცდელისთვის, რომელიც სრულიად მოულოდ-

ვის. სჭირდებოდათ შავ სფინქსებს, მსოფლიოს რომ მართავენ და ადამიანთა ბედისწერასაც.

— „სიწმინდით უნდა იცხოვრონ და გადარჩებიან, თუმცა მათ ალაღნიც გაჰყვებიან“.

შეუძლებელია „ჭორღის“ გადარჩევა ისე, რომ ქერის მარცვალიც არ გადაჰყვეს.

ამასაც ფშაველ-ხევსურთა ხუცები მეუბნებიან (ახლა ღმერთი რაღაცას არჩევს რაღაცისგან).

— ჩვენ სიწმინდეთა ქვეყანაში და მიწაზე ვცხოვრობთ, ამ მიწას უფლის კვართიც აფარია და ღვთისმშობლის კალთაც.

ამ მიწას აშუქებს (აბრწყინებს) მათ ციხე-კოშკებსა და ტაძრებში ვლოცულობთ.

— როგორც ზღვის ქაფი — გამოსული ვართ მზეზე და მათი აურით და სინერგიებით ვსულდგმულობთ ამ წუთისოფელში და მაინც ვუპირისპირდებით მათ.

ეს ბოროტების სამოსელი უნდა გავიხადოთ და წმინდა ლოცვების სამოსელით შევიფაროთ. მაშინ ვერ მოვა კორონა ჩვენამდე.

კორონა შავი ღამურების (ტომების) სენია და არა ლომების და ხარების.

ის მზის შვილებს და ენერგიებს ვერ უახლოვდება.

ის ვერ უახლოვდება გუდანს,



ნელად „დაეცა“ ვითომდაც ცივილიზებულ მსოფლიოს (ამ ბაქტერიისთვის ანტიდოტი რომ არ აღმოაჩნდა!) და „ფაჩიკოს გარმონივით“ დაშალა.

ჩვენ დაევიანხეთ (და ტრამპმა და მაკრონმაც დაინახეს), თუ რამდენად უმწყო და უძლურია ადამიანი განგების წინაშე.

მე არ ვიცი, ჩინელებმა დაინახეს თუ არა ეს, რადგანაც ისინი იმდენი არიან, რომ რამდენიმე მილიონიანი ქალაქი საერთოდ რომ ამოუვარდეთ გეოგრაფიული სივრციდან და სათვალავიდან და გაქრეს, შეიძლება, ვერც შეამჩნიონ და მათ, შეიძლება, კიდევაც სჭირდებოდეთ (აწყობდეთ) ეს...

მაგრამ დანარჩენმა კაცობრიობამ რა ჰქნას, კულტურული რასები მორგებდნენ და სარკოფაგებდნენ რომ აქციეს? ვის სჭირდებოდა ეს ვირუსი?

ეს აფეთქება ვიდაცის სჭირდებოდა ვიდაცისთვის და რაღაცისთვის.

დიდ წინაპართა და წმინდანთა სულის ნათება.

ჩვენ ბინძური (ბოროტი) სიტყვით და ქცევით გაუკუღმართებულნი ჩვევებით დავიწყეთ ცხოვრება ამ მიწაზე.

შევაჩვიეთ და შევუბრუნეთ ლაქარდინი ენა ჩვენს სალოცავებს, ჩვენს რწმენას, ეკლესიას და პატრიარქს.

დედაღვთისმშობელსაც კი აქილიკებენ ჩვენი ტელევიზიების კრუალები.

აბა, რა გიკვირთ? უარესს არ ელოდებით, ქრისტეს კვართს და ღვთისმშობლის კალთას ფეხი რომ დაეადგით?

შავი მჩხიბავები წინაპართა ხსოვნას და ადამ-წესებს რომ გვიბაიბურებენ, ვითომდაც არაფერი? (ჩვენ წინააღმდეგობას არ ვუწევთ — უფალი გაუწევს!..)

ჩვენ მიწაზე ვცხოვრობთ, მათ მამულებში, მათ სამოსახლოებში,

ლომისას, ლაშარის და კარატის ჯვრის სალოცავებს!

გახსოვდეთ, ერს დაიფარავს მათი ძალი და მადლი — ჩვენ ვლოცულობთ აქ. ვატარებთ ფამის წირვას, ლაშარის და კარატის ჯვრის სალოცავებში. ვლოცულობთ ქალაქისთვის, თქვენთვის, მთელი ერისთვის! — მწერენ იმედალიქოკელი და ლაზარე ელიზბარაშვილი. — არ შეშინდეთ, რწმენით იყვეით. ჩვენი სალოცავები, ჩვენი ხეობის მდინარეები და ქარები გაბურტყავენ მაგ ვირუსებსო.

რასაც ისინი გრძნობენ, სწორედ ესე ვფიქრობთ და ამაზე ვწერთ ჩვენც ჩვენს გაზეთებში: „საერთო გაზეთში“, „ასავალ-დასავალში“, „სხვა დროში“.

ჩვენ ვწერთ, მაგრამ შემსმენი და გამგონე მცირედ არს.

გულისხმისყოფელი, რომელიც მოვლენას ცხადად ხედავს, ძალიან ცოტაა და შესაძლოა, ვერც იპოვო!

შედით საკუთარი ისტორიის წიაღში, თემებში, სოფლებში, მამა-პაპათა მამულებში და მოხანით მიწა, მისი ყოველი მტკაველი, ყოველი გოჯი — არ დატოვოთ მოუხნავი და დათესეთ ხორბალი, ქერი, შვრია, დიკა, სიმინდი, ლობიო, კარტოფილი, თორემ ვერ გადავრჩებით.

გახსოვდეთ, ვერაფერი დაგვიცავს ვერანაირი ვირუსისაგან და მტრისაგან, გარდა „პური ჩვენი არსობისა“...

პური იყო არსობის პრობლემა შემეგრებიდან მოყოლებული ფარაონებამდე, ფარაონებიდან ქრისტემდე, ქრისტემდე — დღემდე...

არავის უცხოვრია საკვების გარეშე სულიერ საზრდოსთან ერთად, თუ პური არ გექნა — მოკვდები.

არ შეუძლია ყველას ხუთი პურის ხუთი ათასად ქცევა. ამას შრომა სჭირდება.

თამარის დროს 9 მილიონს კვებავდა ეს მიწა. ამიტომ ხევისბერები გვაფრთხილებენ: ახლავე, დღეიდანვე დაიწყეთ ხენა-თესვა.

გადით ქალაქებიდან და მოხანით თუნდაც სულ მცირე ნაკვეთი სიმინდის და ლობიოს დასათესად.

ჩაივლის კორონობა და დადგება „ხმლის ქარქაშობის“ დრო. რას ნიშნავდა „ხმლის ქარქაშობა“?

— შიმშილობას, როცა ხორბალი ხმლის ქარქაშით იწყებოდა.

ხორბალი ყველაფერზე ძვირი იყო — არავითარი ოქრო, არავითარი ვერცხლი.

5 83. →




„საერთო გაზეთის“ რედაქციამ გაითვალისწინა პოლიტიკური ორგანიზაციის „სოციალ-დემოკრატები — საქართველოს განვითარებისთვის“ თხოვნა და „ს.გ“-ს დღევანდელ ნომერში ჩაიღო პარტიის ბეჭდური ორგანოს სპეცგამოშვება, რომლის დარიცხვას საზოგადოებისთვის შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო პარტიამ ვერ მოახერხა. აღნიშნული სპეცგამოშვება მთლიანად მომზადებულია პარტიის მიერ.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; შპს (სბც) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხალხმკვანალოვს თავისუფალი ჰრანის ჰრინციხით. შესაძლოა, ავტორის ჰოზიციან არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოკვეთიდან ერთი აჭირის ვალაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება. იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლასის 39 © 2020 წლის აპრილის 22-ის საგამომცემლო მასალა.

რაბომ სძულთ ნაცებს ყველაზე მეტად ისინი, ვინც ყველაზე მეტად უნდა უყვარდეთ?



ნაცებს დღეს ყველაზე მეტად ისინი არ უყვართ, ვინც ყველაზე მეტად უნდა უყვარდეთ.

ნაცები არც მაღავენ, რომ მათ მიმართ განსაკუთრებული აგრესიით არიან განწყობილნი და შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, რომ მათი ღვაწლი დაამცირონ და დააკინონ, მათ კომპეტენციაში ეჭვი შეიტანონ.

საუბარია ექიმებზე, განსაკუთრებით ექიმ-ინფექციონისტებზე, რომლებმაც შეუძლებელი შეძლეს და კორონავირუსთან ბრძოლაში ისეთ შედეგებს მიაღწიეს, რომლითაც მთელი მსოფლიოა გაცვიფრებული და გაკვირებული.

საქართველოში არ მოიძებნებოდა ადამიანები, რომლებიც მაღლიერებით არ იყვნენ გამსჭვალულნი ქართველი ექიმების გმირული თავდადების და მაღალი პროფესიონალიზმის მიმართ, თუმცა, ნაცების სახით, გამონაკლისი მაინც არსებობს, რომლებიც ამ ადამიანებისგან განსხვავებით, აბუნად ამგდები ტონით ლაპარაკობენ ქართველ მედიკოსებზე და დაჟინებით ცდილობენ, რაღაც ხინჯი და ზადი მოუძებნონ მათ საქმიანობას.

რა ჭირთ ამ ნაცებს? რატომ იქცევიან ისინი სხვა ადამიანებისგან ასე განსხვავებულად.

ისინიც ხომ ადამიანები არიან, რომლებიც ამ ქვეყანაში ცხოვრობენ და ამ ქვეყნის ჭირი და განსაცდელი მათთვისაც საერთო ხომ უნდა იყოს?

როგორც ჩანს, ნაცებმა, მიზეზთა და მიზეზთა გამო, დროთა განმავლობაში მუტაცია განიცადეს და რაღაც ახალი ჯიშის არსებობად ჩამოყალიბდნენ, რომელთათვისაც ადამიანური თვისებები უცხო და მიუღებელია.

ეს ადამიანთა რაღაც უცხო ჯიშია, რომელთაც არ აქვთ მაღლიერების განცდა, არ აქვთ სიკეთის დანახვის უნარი, და, რაც მთავარია, საერთოდ არ აქვთ სინდისის და სირცხვილის გრძობა, სამაგიეროდ, მოჭარბებულად აქვთ უტიფრობა და ურცხვობა.

ნაცებს შეუძლიათ თეთრზე თქვან შავი და თან თვალეში უტიფრად გაიყურონ.

ნაცებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ უცოდველი კრავები არიან,

ეს იმ დროს, როცა ათასობით უდანაშაულო ადამიანის ცოდვა ადევნო კისერზე.

სრული კატასტროფა! სრული გადაგვარება! სრული დეგენერაცია!

აი, ასეთ და ამნაირ ნაცებს ქართველი ექიმები-ინფექციონისტები არ უყვართ და მათ აქვთ ამის სერიოზული მიზეზი.

როცა კორონავირუსი საქართველოშიც შემოვიდა, აქამდე აგრესიული და დესტრუქციული „ნაცმოძრაობა“ უცებ კონსტრუქციულ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ოპოზიციად იქცა და მთავრობას თანამშრომლობა შესთავაზა — ჩვენ კრიზისების მართვის დიდი გამოცდილება გვაქვს და მზად ვართ, ეს გამოცდილება

რა გასაკვირია, ამ „ხელოვნების“ და ამ გამოცდილების მქონე ნაცებს დელიკატური უარი რომ უთხრეს...

არჩევნებში ვერ ივარგეს, მიტინგები და აქციები ჩაუფლავდათ, ბოქლომებით სირბილმაც ვერ გაამართლა, მაგრამ კოვიდ-19-ის ასპარეზზე გამოჩენამ ნაცებს ახალი იმედები შთაბერა — ჩვენი დრო მოვიდა! არჩევნებით ვერ დავბრუნდით, ვერც სხვა ღონისძიებებმა გვიშველა, მაგრამ ახლა ამ კორონავირუსის მაინც შემოგვყვებით და ჩვენს „კუთვნილ“ ადგილს დავიბრუნებთ, როგორც პოლიტიკაში, ასევე ქვეყნის მართვაში.

ნაცები იმედოვნებდნენ, რომ კორონავირუსი ბევრ პრობლემას

ბამ, საქართველოს მთავრობამ, საკვირველი ორგანიზატორული ნიჭი გამოავლინა და ერთ მონოლითურ გუნდად შეკრული გადაულახავ ჯებირად წინ აღუდგა კორონავირუსის შემოტევებს.

საოცარი პროფესიონალიზმი, შეუპოვრობა და თავდადება გამოამჟღავნეს ქართველმა ექიმ-ინფექციონისტებმა, განსაკუთრებით უფროსმა თაობამ.

ის, რაც მათ ჩაიდინეს, ეს არის ნამდვილი გმირობა და მათ სახელები ასევე შევა საქართველოს ისტორიაში — გმირი ექიმები, რომელთა ფილიგრანულმა მოქმედებებმა, ფაქტობრივად, ჩაფუშა და გააცამტვერა ნაცების ყველა ოცნება და ყველა იმედი.

ახია, ჩემზე... ყველაფერი ჩემი ბრალია, სხვას რა უნდა დაეზარალო. თუ ჩარეცხვავა, ჩარეცხე, კაცო, ისე ჩარეცხე, რომ თავი უკან ვერ ამოჰყონ. ამით კი, თავი ამოჰყვეს კი არა, ამ მამაძაღვ კორონას კუდით ქვა ასროლინეს. ეს, რა გეგმები ჩამიშალეს ამ პენსიონერებმა...

... „კორონა-პროექტის“ იმედი რომ დაკარგეს, ნაცებმა „პლასტინკა“ გადაატრიალეს და ახლა ბიძინა ივანიშვილის მიერ შემოწირულ ას მილიონზე დაიწვეს ყაყანი — არ არის ეგ ბიძინას ფული... ფულის წარმომავლობა უნდა დადგინდეს, გამოძიება უნდა დაიწვიოს.

იცით, რა გითხრათ, „ნაცებო“? ასი მილიონი კი არა, თუნდაც მაგის ნახევარი, 50 მილიონი გადმორიცხეთ, თუ ეგ თანხა გებევრებათ, ჯანდაბას, ოცი მილიონი მაინც გადმორიცხეთ.

ნუ ხართ წუწუები და ძუნწები — 16 მილიარდი გაქვთ ქვეყნიდან გაზიდული და ეგ თანხა, 16 მილიარდთან შედარებით, „სემიჩკის“ ფულია თქვენთვის.

სულ სხვის ჯიბეში რომ ყოფთ ხელს, ერთხელ თქვენს ჯიბეშიც ჩაიყავით ხელი, თქვე წუწურაქო აფერისტებო!

რა დროს ამაზე ლაპარაკია, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა...

„ქართული ოცნების“ მთავარი შეცდომა, იცით, რა არის?

რა არის და ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებიდანვე ხალხის მარცვით და დაყარა-ლებით ნაშოვნ მილიარდები უკან რომ არ მოვატანინათ, ბიზნესები რომ შეგინარჩუნათ, სახლები და სასახლეები რომ არ ჩამოგართვათ და თქვენს ბანდიტობას და ავანაკობას წერტილი რომ არ დაუსვა.

კორონავირუსმა ერთი კარგი საქმე მაინც გააკეთა — ბოლომდე გააშინვლა, ბოლომდე ჩამოხსნა ნიღაბი „ნაცმოძრაობას“ და ბოლომდე დაგვანახა მისი სასტიკი ბუნება.

იქნებ ახლა მაინც დავანებოთ თავი კოჰაბიტაციის სიკეთების შესახებ საუბარს და კორონავირუსზე უფრო საშიშ ვირუსს, „ნაცმოძრაობას“, თავისი ნამდვილი სახელი დავარქვათ.



ჩვენი ქვეყნის სამსახურს მოვახმაროთ.

კრიზისების მართვის რა დიდოსტატებიც იყვნენ ნაცები ყველას კარგად მოეხსენება — 2008 წლის კრიზისის დროს მთავარ-სარდალი სააკაშვილი მიწაზე ფორთხავდა და ჰალსტუხს დეჭავდა, მშვიდობიანი მოსახლეობა მტერს შეატოვებს ხელში, მეთაურებმა ჯარისკაცები მიატოვეს და თბილისისკენ გამოქუსლეს, ბარგი-ბარზანით დატვირთული „ნაცმოძრაობის“ ელიტა წითელ ხიდს მიაწყდა, საქართველომ ტერიტორიის 20%-ი დაკარგა.

ეს არის კრიზისების მართვის ის ხელოვნება, რაც ნაცებმა კრიზისულ სიტუაციაში გამოავლინეს.

შეუქმნიდა „ქართულ ოცნებას“, რომელიც, მათი ვარაუდით, ამ პრობლემებს ვერ მოუვლიდა და ქართველი ხალხი ისევ ნაცებს მოუხმობდა საშველად და ქვეყნის გადასარჩენად.

აქეთ ნიკულა გვარამიამ პარტია ხელეები, იქით ნაცთმომყვარე ვასილ სოფრომაძემ დაიწყო ჩხაილი — ზურაბიშვილმა სასწრაფოდ დაუბრუნოს მოქალაქეობა სააკაშვილს, რომ მან ქვეყანაში შემოსვლა მოახერხოს და საქართველო გადაარჩინოს, თორემ „ქართული ოცნება“ რისი გამკეთებელია, ეგენი 21 აპრილამდეც კი ვერ მიაღწევნო.

თუმცა მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — ნაცების მიერ უნათოდ შერაცხულმა ხელისუფლე-

საქართველო არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანა აღმოჩნდა კორონავირუსთან ბრძოლაში, რაც, პირველ ყოვლისა, ქართველი ექიმების დიდი დამსახურებაა.

სწორედ ამიტომ არ უყვართ ნაცებს ქართველი ექიმები, ადამიანები, რომლებმაც „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ გეგმებს და ოცნებებს ცივი წყალი გადაასხეს.

საკაშვილი ზის ახლა უკრაინაში და სიმწრისგან, ალბათ, ჰალსტუხს ჭამს: ეგ გამყრელიძეები, ცერცვაძეები, იმნაძეები, ეზუგბაიები, ბოლომდე რომ ჩამერეცხა, ახლა უკვე თბილისში, ავლაბრის სასახლეში ვიჯდებოდით.

ქვეყანამ ნეოლიბერალური წესრიგის ნასვლად ეკონომიკის გარეშის ახალი გეგმები უნდა აირჩიოს

გვესაუბრება ეკონომიკის დოქტორი, „სოციალ-დემოკრატები – საქართველოს განვითარებისთვის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი დავით ადუიშვილი:

— ბატონო დავით, არსებულმა მდგომარეობამ ორი გამოწვევის წინაშე დაგვადგინა: ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და ეკონომიკური კოლაფსის თავიდან აცილება. პოსტანდემიურ პერიოდში როგორ ხედავთ კრიზისის დაძლევის გზებს?

— რაც შეეხება სამედიცინო მხარეს, ერთი რამ შეიძლება ვთქვათ: ჩვენი ჯანდაცვის სისტემა, ამ ვითარებაში, ვერ იქნებოდა სრულად მომზადებული რამდენადაც ეს, ძირითადად, კომერციულ საწვინებზე დაფუძნებული სისტემაა, რომელიც გათვლილია



მოგებაზე და ზშირად წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებისა და პაციენტის წინაშე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან. ჯანდაცვის მინისტრი კიდევაც აცხადებდა, რომ მალე შეიძლება მედიკოსონალი და არც საწოლების ოდენობა აღარ გვეყოს. ამიტომ, საზოგადოებრივი ჯანდაცვა უფრო მეტად უნდა იყოს სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, რათა ამგვარ კრიზისებს და სხვა გამოწვევებს უკეთ გაუმკლავდეს. ჯანმრთელობა არის სიმდიდრე. აღსანიშნავია, რომ ამ დონის ეკონომიკური და მორალური ზარალი არცერთი ეკონომიკური კრიზისის დროს არ ყოფილა. დღეს კეთდება სხვადასხვა პროგნოზი მსოფლიო ეკონომიკის ვარდნის შესახებ, რაც 10%-ის ფარგლებში მერყეობს. ეს კი მთელი მსოფლიოსათვის უდიდესი გამოწვევაა. შესაძლოა საქმე გვექონდეს მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის რღვევასთან. ჩემი აზრით, იმის სრულად აღდგენა, რაც აქამდე იყო, შეუძლებელი და არასასურველიც არის. წესრიგი რაც მსოფლიოში აქამდე იყო გაბატონებული — ე.წ. ნეოლიბერალური წესრიგი, ნაკლოვანებებით არის სავსე, რაზეც „სოციალ-დემოკრატები“ ყოველთვის მივუთითებდით. ახლა, მანსი გვეძლევა, სიძნელეების დაძლევის შედეგად, სწორი განვითარების გზა, მიმართულება ავირჩიოთ. გასარკვევია რაზე

გაკეთდეს ორიენტირი, როგორი ახალი წესრიგი გვინდა. დიახ, ძალიან მნიშვნელოვანია თუ საით ავიღებთ გეზს. ასე, რომ ორი ამოცანა იკვეთება: ერთი, უახლოეს პერიოდში როგორ იმოქმედებენ ქვეყნები. ბევრმა მოქალაქემ დაკარგა საარსებო წყარო, ლუკმაპური. ახლო მომავალში, ისინი, დანარჩენი საზოგადოების ხარჯზე უნდა დაკმაყოფილდნენ. მეორე, როგორ განვითარდება პოსტანდემიურ პერიოდში ცხოვრება.

— თქვენ, უმუშევრობის თემა ახსენეთ. ვინც სამსახური დაკარგა მთავრობა ფულად დახმარებას პირდება. თუმცა, უმუშევრობის დიდი არმია თავიანთ სამუშაო ადგილებზე ოფიციალურად არ არიან რეგისტრირებულნი. მათ რა ეშველება, ვინ ჩაატარებს აღრიცხვას? გვაქვს კი ამის რესურსი?

— ეს უკვე ტექნიკური საკითხებია. როგორ აღრიცხავდნენ სოციალური დახმარება ვისაც სჭირდებოდა? ამის გამოცდილება აქვს სახელმწიფოს. გასარკვევია: ვინ საჭიროებს იდენტიფიცირებას, რამდენი უნდა იყოს საარსებო მინიმუმი და ა.შ. ეს ყველაფერი თავიდან არის გასაზრებელი — ვის რამდენით და რა პერიოდით დავეხმაროთ. ეს ეპიდემიის ხანგრძლივობაზე დამოკიდებულია. სახელმწიფო, ამჟამად, რასაც აკეთებს, დამაკმაყოფილებელია. თუმცა, ამ ხალხის იდენტიფიცირება თუ ვინ საჭიროებს დახმარებას, უნდა განისაზღვროს. „სოციალ-დემოკრატებს“ გვქონდა შეთავაზება: სავალდებულო შენატანის საყოველთაო სოლიდარობის ფონდში, თუმცა, ჯერჯერობით, ეს გაზიარებული არ იქნა. ანუ, დანარჩენი საზოგადოება უნდა დაეხმაროს უმუშევრებს ან მეორე მხრივ, სახსრები გარედან მოვიზიდოთ. რაც გაუძღვრდა ჯერ კიდევ არ არის რეალობა, არამედ დაპირებებია. ზოგადად, შიდა რესურსებით ძირითადი საჭიროება უნდა დაკმაყოფილდეს. საქველმოქმედო ფონდი რაც ახლაა შექმნილი ვერ იქნება მუდმივად ვიღაცის კეთილსურვილებზე დამოკიდებული. ამას სისტემური და სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

— საფრანგეთში ხელისუფლებამ ახალგაზრდებს სოფლად

მუშაობა შესთავაზა. შედეგად, სამუშაოს მაძიებელი 300 ათასი ახალგაზრდა დარეგისტრირდა. აქ, გლეხმა 5 ტონა კარტოფილი რომ მოიყვანოს, სახელმწიფომ მისი შესყიდვის ვალდებულება ხომ უნდა აიღოს?

— სხვათაშორის, ახლახან ეკონომისტების ჯგუფმა პრემიერ-მინისტრს მიმართა, რათა მან ქვეყანაში გარკვეული აგრარული პოლიტიკა გაატაროს. კერძოდ, სოფლად კოოპერაციის ხელშეწყობა და ამ გზით სოფლის აღორძინება, იქ დასაქმება და ა.შ. მოხდეს. ეს ყველაფერი სამთავრობო სტრუქტურებმა კოორდინირებულად და მიზანმიმართულად უნდა შეიმუშაონ. მოდით, ვთქვათ რა უნდა გაკეთდეს სამუშაო და გრძელვადიან პერიოდში. მიმანია, რომ მსოფლიოში დეგლობალიზაციის ეპოქა იწყება. საერთაშორისო ე.წ. სასაქონლო დირექტორებათა ჯაჭვი დაწყებული იწყებს. ანუ, მსოფლიო ვაჭრობა, შეიძლება, 8-დან 25%-მდე შემცირდეს. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიოში სრულიად ახალი წესრიგი იქნება. ეკონომიკები უფრო თვითკმარი და თვითდაყრდნობადი გახდებიან. ამზე ადრეც იწყებოდა, ანუ ეს არამხოლოდ ამ მდგომარეობითა გამოწვეული, არამედ სასურველიცაა ასე იყოს. ჩვენი მცირე ეკონომიკა ძალიან გახსნილია ანუ დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, სხვა ქვეყნებზე, დიდ კორპორაციებზე და ა.შ. ქვეყანა უფრო თვითკმარი უნდა გახდეს. ანუ, ჩვენ უფრო მეტად უნდა ვაწარმოოთ ის რასაც მოვიზნართ და არ უნდა ვიყოთ საერთაშორისო ბაზრებზე ასე ძლიერ დამოკიდებული და ასე ვეღარც ვიქნებით. ამიტომ, ასეთი ტენდენციები წავა. პირველ რიგში, ეს ეხება სურსათს, რაც დაკავშირებულია მიწის დამუშავებასთან და სოფლის მეურნეობასთან. უპირველესად, დღის წესრიგში საკუთარი მიწების დამუშავება და საკუთარი თავის გამოკვების ამოცანა დადგება. საფრანგეთი თუ აკეთებს ამას, რატომ არ უნდა აკეთებდეს ანალოგიურს საქართველოც. ამის შესახებ, ჩვენ, ბევრი ნამსჯელი გვაქვს. მით უმეტეს, თუ საერთაშორისო ბაზარი და კონკურენცია ისეთი აღარ იქნა როგორც აქამდე იყო, სადაც მცირე ქვეყნები იზარებოდნენ. ანუ, ამ შემთხვევაში, სურსათის თვითუ-

რუნველყოფის შესაძლებლობები განდგება.

ახლა, ლოკალური ეკონომიკების დრო დგება. აქამდე, ბაზარი ვერ უზრუნველყოფდა სწორ განვითარებას. საერთაშორისო ვაჭრობა არ იყო სამართლიანი. ვაჭრობა იმისათვის გვინდა, რათა განვითარდეთ. ჩვენ გვინდა მდგრადი, ინკლუზიური, თანასწორი განვითარება, სადაც გასაქანი მიეცემა მცირე ზომის, ადამიანური განზომილების, ეკოლოგიურად გამართლებულ მეურნეობებს და წარმოებებს. შედეგად, ჩვენი მოსახლეობა სოფლებისკენაც გაიხედავს. „ზოგი ჭირი მარგებელია“ პრინციპით, ჩვენი მცირემიწიანობა შეიძლება უპირატესობად იქცეს — ადამიანები დიდი ტექნიკის გარეშე პატარა ნაკვეთებს მოერიონ. ოღონდ, აქ, ორგანიზება იქნება საჭირო — რა ვაწარმოთ, რაში უნდა შეუწყოს მთავრობამ ხელი სოფლის მეურნეს. დაპირებული დახმარების მეორე ნაწილი — მილიარდნახევარი რომელიც ბიზნესის განვითარებას უნდა მოხმარდეს, მნიშვნელოვანია სად და როგორ განაწილდეს. მაგალითად, სოფლად ამით, უნდა მოხდეს ტექნიკის მომარაგება, ქიმიკატებისა და სასუქების მიწოდება. საკონსულტაციო ცენტრები გახდება საჭირო, რათა არსებული რესურსი ეფექტურად გამოვიყენოთ. შემდეგ, დღის წესრიგში მოყვანილი ნედლეულის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვა-გადამუშავების საკითხი დადგება. ეს სრულებით შესაძლებელია. ამაზე არსებობს კვლევები. ამ თვალსაზრისით, დიდი პოტენციალია. ჩვენ შეგვიძლია პროდუქტის ექსპორტიც. მაგალითად, ღვინო, კენკრა, ბოსტნეული და ა.შ. ზოგადად ჩვენ გვაქვს პოტენციალი ვაწარმოოთ ბევრად უფრო მეტი და სხვადასხვა პროდუქტები, ვიდრე აქამდე გარედან შემოგვქონდა. მაგალითად, სამშენებლო მასალები. ისეთი საჭირო პროდუქტი, როგორც არის კერამიკული ფილები, რაც შემოგვქონდა დაწვეული იტალიიდან და ესპანეთიდან, ჩინეთით და ირანით დამთავრებული. ამ დროს, ეს პროდუქტი, შეგვიძლია ვაწარმოოთ ადგილობრივი ნედლეულით (თიხები), არცთუ რთული ტექნოლოგიით. ასევე, სხვა სამშენებლო მასალებიც მაგალითად,



აგური, კრამიტი, კერამიდი და სხვა. გარდა ამისა, შეგვიძლია ვაწარმოოთ ქიმიური პროდუქტები, სხვადასხვა პლასტმასები და ქიმიკატები, სარეცხი საშუალებები. ასევე მაღალტექნოლოგიური ფარმაცევტული პროდუქტები. გაგიკვირდებთ და თვითმფრინავების წარმოებაც კი შეგვიძლია ავადორდინოთ. არსებობს ძველი ე.წ. 31-ე ქარხანა, რომელიც ამ პროდუქტს აწარმოებდა. ამის გაკეთება შესაძლებელია. მცირე ჩამონათვალი მხოლოდ მაგალითების სახით დავასახელებ. საქართველოს აქვს პოტენციალი საკუთარ ძალებზე დამყარებული — „თვითდაყრდნობილი“, მდგრადი ეკონომიკა ჰქონდეს. დღეს, პოსტანდემიურ პერიოდში ამის ვითარება იქმნება. მთავარია ზუსტად ვიცოდეთ: როგორი ეკონომიკა გვინდა, რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს ზოგადად ეკონომიკური მდგომარეობა და ცალკეული პარამეტრები. მაგალითად, არ შეიძლება ყველა ინვესტორს კარი გაუვლოთ. უნდა შევარჩიოთ ეკონომიკურად და სოციალურად ეფექტიანი და ეკოლოგიურად უსაფრთხო ინვესტიცია და ა.შ.

იცვლება ადამიანის შრომის ხასიათიც. წინა პლანზე იწვევს დისტანციური, სახლში შრომა, რაც უფრო გაინტენსიურდება. ჩემი აზრით, მასიური დასაქმებების ეპოქა დიდ კაპიტალტევად ქარხნებში — აღარ დაბრუნდება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ინდუსტრია არ უნდა განვითარდეს, პირიქით. ადამიანები დამოუკიდებლად იმუშავენ. მაგალითად, თვითდასაქმებულები. ამას ყოველთვის ნეგატიულად არ უნდა შევხედოთ. გააჩნია რა კვალიფიკაციის შრომას ეწვევა ადამიანი. არის სა-





მუშაობები, რომელიც ძალიან მაღალკვალიფიციურია და შესაძლებელია სახლში სრულდებოდეს. ანუ, მასობრივ დასაქმებებს აღარ უნდა ველოდით. მაგალითად, განათლების სექტორში ბევრი სამუშაო ადგილი გადანაწილდება, ასევე ტექნოლოგიებში, ტელეკომუნიკაციებში და ა.შ. ანუ, შრომითი ბაზარიც იცვლის ხასიათს. მოკლედ, მთელი დასაქმების და სამუშაო ადგილების რეკონსტრუქციას ახლავს, გადააზრება უნდა მოხდეს, რაც ამ კრიზისმა განსაკუთრებით ნათლად წარმოაჩინა. ჩვენ, კულტურული, სოციალური ფასეულობებიც უნდა გადავფასოთ, გადავიზოროთ სახელმწიფოს როლი. მოხდება სულიერი ღირებულებების წინ წამოწევა და გადაჭარბებული მატერიალური მისწრაფებების გადაფასება. იმ დონის მოხმარება რაც მსოფლიოში აქამდე იყო, ძალიან ზიანის მოტანია. ამას დედამიწა ვეღარ უძლებდა და ამიტომაც იყო შექმნილი ეკოლოგიური კრიზისი — კლიმატური ცვლილებები. ეს კრიზისები სახეზეა. წარმოიდგინეთ, მთელმა მსოფლიომ მოხმარების აყვანა იმავე დონეზე რომ მოინდომოს, რაც საშუალოევროპულია. ამდენი არც რესურსია, ბუნება ვერც იმ ნარჩენებს გადაამუშავებს, ამის ამტანუნარიანობა აღარ ექნება. თუმცა, ახალი, მწკანი ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას მსოფლიოს მოხმარება იმ დონეზე ქონდეს, რაც ადამიანს ესაჭიროება ზედმეტი, ჭარბი მოხმარების გარეშე.

— **ახლანან, წარმოების აღორძინებაზე ისაუბრეთ. თუმცა, რა გვაქვს ასაღორძინებელი, როცა ქარხნების, ფაბრიკების დიდი ნაწილი დაზარებულია. ხელისუფლებამ რამდენად იცის ეს როგორ გააკეთოს, ბაზისი არსებობს?**

— რაზეც მე ვსაუბრობდი, ეს გახლავთ ე.წ. ინდუსტრიული პოლიტიკა. ანუ, ეს პოლიტიკა მთავრობამ უნდა წარმართოს, რაც სხვადასხვა ქვეყნებში გამოცდილია. ასეთი პოლიტიკა სუროგატულად საქართველოშიც ხორციელდებოდა. მაგალითად, იცით რომ არსებობს პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. მაგრამ ეს პოლიტიკა საჭიროებს გაფართოებას, დახვეწას, თანმიმდევრულობას. ამას ცოდნა, კომპეტენცია და რაც მთავარია, სხვა ხედვა სჭირდება. ინდუსტრიული პოლიტიკა გაბატონებული ნეოლიბერალური პრინციპებისათვის მიუღებელია. რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ ყველაფერი განხორციელებადია დაწყებული სურსათიდან, კვების მრეწველობიდან დამთავრებული

მაღალი ტექნოლოგიებით. ეს ფანტაზიის სფერო არ არის, არამედ სრულიად რეალურია იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა ეკონომიკურ პოლიტიკას შეცვლის. ახლა, იგი, უკვე იძულებულიც კი არის ამ გზას დაადგეს.

— **საუბრისას „ზოგი ჭირი მარგებელია“ პრინციპი ახსენეთ. გარკვეულ მიმართულებებზე უკვე ისაუბრეთ, მაგრამ როგორ ფიქრობთ, კიდევ რა სარგებელს უნდა ველოდეთ კორონა-კრიზისიდან გამოსვლის შემდეგ?**

— მოგახსენებთ. კორონა-კრიზისიდან გამოსვლის შემდეგ წესით, მსოფლიო უნდა გახდეს უფრო მდგრადი და უსაფრთხო,



ობტიმალურად და არა ჰიპერგლობალიზებული. კრიზისის დაძვინტეხის შემდეგ, სახელმწიფოები გახდებიან უფრო თვითკმარნი და ამავე დროს ერთმანეთის მიმართ უფრო სოლიდარულნი — თანამშრომლობა გაძლიერდება. ზოგადად, მსოფლიო მომხმარებლური საზოგადოება გახდება უფრო ზომიერი, მომჭირნი, ეკონომიური, ნაკლებად მოხეტიალე, შემცირდება შრომითი მიგრაცია. ასევე, შემცირდება საერთაშორისო ვაჭრობა და მგზავრობა, შესაბამისად, სატრანსპორტო ნაკადები და ენერგომომხმარება, რაც თავის მხრივ შეამცირებს ეკოლოგიურ დაძაბულობას, სათბურის აირების ემისიას — ე.ი. შემცირდება გლობალური დათბობის რისკიც. მოკლედ, მსოფლიო უფრო მწკანე გახდება. თანამედროვე ტექნოლოგიები და ციფრული ტექნოლოგიები ამ პროცესების ხელშეწყობა იქნება. ამ კრიზისის ფონზე აშკარად გამოჩნდა, რომ ჩვენს ქვეყანაში უნდა გაიზარდოს სახელმწიფოს როლი და პასუხისმგებლობა არამხოლოდ ჯანმრთელობის დაცვაში, განათლებაში და სოციალურ უზრუნველყოფაში, არამედ უპირველესად ეკონომიკა-

ში. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ეკონომიკა უნდა გახდეს უფრო მეტად თვითკმარი და მდგრადი, შეიცვალოს მისი სტრუქტურა, უპირველესად, მრეწველობის გაზრდის მიმართულებით. ტურიზმს შეიძლება ჰქონდეს დამხმარე მნიშვნელობა და არა პრიორიტეტული. სტრუქტურულმა ცვლილებებმა და შესაბამისმა პოლიტიკებმა უნდა გაზარდოს მოსახლეობის ეკონომიკური ჩართულობა, სოციალური მობილურობა და შემოსავლებისა და ქონების უზომო უთანაბრობის შემცირება.

— **როგორ ფიქრობთ, მსოფლიო, ჩვენი ქვეყანა ამ ვითარებიდან გამოიტანს დასკვნებს თუ ისევ შევლებურად ვაგაგრძელებთ სვლას?**

— მინდა მჯეროდეს, რომ ღირებულებების გადაფასება მოხდება. ძალიან ბევრს საუბრობენ როგორც სოციალოგები, ისე პოლიტიკოსები, ეკონომისტები, რომ მსოფლიო თვალნათლივ იცვლება. უნდა მოხდეს ფასეულობების გადაფასება. მაგალითად, ისეთი დიდი უთანაბრობა რომელიც მსოფლიოში საზოგადოებრივ ფენებს შორის არის, არ შეიძლება ისევ ისე შენარჩუნდეს. ეს არა მხოლოდ სოციალურ პრობლემებს, არამედ ეკონომიკურ შეფერხებებსაც კი

იწვევს. ქვეყნები და ქვეყნების მოსახლეობები უფრო თანაბარი უნდა გახდეს. მაგალითად, საქართველოში შემოსავლების მიმდებარე 1% იღებს მთელი შემოსავლების 25%-ს, ხოლო 80% იღებს 35%-ს. რამხელა განსხვავებაა, ზომ. საქართველო ერთ-ერთი არათანაბრად განვითარებული ქვეყანაა, რაც შემდგომ იწვევს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს და ა.შ. ეს უნდა შეიცვალოს. ამის ერთ-ერთი მეთოდია ის, რასაც სოციალ-დემოკრატები ვამბობთ — შემოვიღოთ პროგრესული გადასახადი. სოლიდარობის ფონზეც სწორედ ამისკენ მიუთითებს — მაღალშემოსავლიანმა პირებმა გადაიხადონ უფრო მეტი. სოლიდარობის ფონზე შემოსავლისდამხვედვით გადავიხადოთ — პროპორციულად მეტის მქონე მეტი გადაიხადოს და არა ასე — „ვისაც რამდენი სურს“. ეს არის ამ უთანაბრობის პრობლემის დაძვინტეხის ერთ-ერთი გზა, რაც გადარჩენის გზაც არის, სამართლიანობისა და შემდგომში მთელი საზოგადოებას განავითარებისა.

თამარ შველიძე
555 23 28 24



ქორონა შავი ლაგუნის სანია და ის გზის შვილებს პერაფერს უზამს...

2 მზ.

ყველაფერი ნულდება და კარგავს ფასს. ამ დროს რჩება პური. მასსოვს, პურის ნატეხს რომ ნახავდა დაგდებულს, ბებია პირჯვარს გადაიწერდა, აიღებდა და უბეში ინახავდა.

●
სანაგვე ურნებს რომ ვავსებდით და ჯერ კიდევ ვავსებთ პურის ნარჩენებით, ეს დრო დასრულდა და დასრულდება.

●

ბევრი რამ არის მთავარი, მაგრამ ყველაზე უმთავრესია ახლა, კორონას დროს, ხელისუფლებამ შექმნას სასოფლო-სამეურნეო მობილური ბრიგადები. სოფლებში მიიყვანოს ტრაქტორები და მოხანას, რაც მოსახლანაა.

მინისტრმა, ბატონმა ლევან დავითაშვილმა ეს უნდა გააკეთოს. პური ზომ ქრისტეს და ქრისტეს მოწაფეებსაც სჭირდებოდათ. თამარის დროს 9 მილიონი ქართველი რომ იკვებებოდა ჩვენს მიწაზე მოსული ხორბლით, ახლა რა გვეშველება?!

20 წელიწადია ამას ვუბნებთ და ჩავჩინებთ ხელისუფლებას, რომ მთავარია მიწა და სოფელი. საჭიროა, მკვეთრი მოქმედებებით, თუნდაც მცირე ტრადიციული ფერმერული მეურნეობების აღდგენა ისტორიულ სივრცეში. იქ სტიერილური, ჩაკეტილი ოაზისების მოწყობა.

იგივე გვითხრა კორონამ, მაგრამ კატეგორიულად და სასტიკად: ჩამოგაგდებთ ტრაპიდან, ნუ იქნებით მხოლოდ ტრამპის იმედზე. წერილის დასასრულს არ შეიძლება არ ვთქვა, რომ ქვეყნისთვის და სახელმწიფოსთვის გადაულახავ პრობლემად მაინც ნაციონალურ-ლიბერალისტული კორონა რჩება. მათ განიცადეს ერთგვარი არაადამიანური, ცხოველური მუტაცია და ვირუსად იქცნენ, რომელიც ერის ზნეობრივ სივრცეს, მორალს, სიმართლეს, სამართალს ჩრჩილივით ხრავს.

მათ არავინ სჯის და არავინ ერის კლდიდან ელთას თხებივით. მათ არც კარანტინი ეხებათ, არც კორონა. თავისუფლად მოძრაობენ მთელი ერის სივრცეზე. ბლავიან უდაბნოს ცხვრებივით, წმინდა ძროხებივით წვებიან ყველა ლიანდაგზე, სახელმწიფოებისთვის და ერებისთვის კეტავენ გზებს, გადასასვლელებს, შესასვლელებს, ხიდებს. დაძვინტეხის

იერიქონის საფრთხეად ქცეული მიკროფონებით, არყვევენ ზნეობრივ სამყაროს — ერის ბაბილონის გოდოლს, სიცილის და ცილისწამების სინდრომისეულ ფონს.

მინანარი

კაკაკასიამ და ფხოვის საკრალურმა ეზოთურულმა ცენტრებმა გაანეიტრალეს ჟამის ვირუსი რომელიც დროში. ის ანატორიის აკლდამათა „ბერმუდის სამკუთხედში“ მოაქციეს და ჩაკეტეს. კაკაკასის ენერგეტიკული ველი უეჭველად გააქრობს და გააქარავებს ამ და სხვა ყოველგვარი ვირუსის ბაქტერიას. ცივილიზაცია აქ იშვა და აქვე დარჩება. იქ, სადაც ამირანი მიეჯახება და გადარჩა და ვერ შეაღწია ინდოევროპულმა ურდობამაც კი.

ქართველი ერი ყოველთვის გადარჩება. გავიმეორებ ჩვენი ხევისბერების პერიფრაზს: ნუ გეშინიათ! ბოლოს და ბოლოს, ქარები გაბერტყავენ თბილისის ჰაერს ამ ბაქტერიისაგან. არაგვის ხეობის მდინარეები ჩარეცხავენ ამ საშიში ჟამის ვირუსს.

აღამიანები კაკაკასიამ გადარჩებიან, ისევე, როგორც წარღვნის დროს და წარღვნამდე იყო.

კორონა ვირუსი როგორმე ჩავივლით. ეტყობა, გენიალური ქართველი ექიმები და ხელისუფლება (ბრწყინვალე პრემიერთ) მას დაძვინტეხენ ერის და ეკლესიის ერთიანი ენერგეტიკით, საზოგადოების გონიერებით.

●
მაგრამ ამ ნაციონალ კორონათა ვირუსებს ვინ ამოშლის ერის საარსებო სივრციდან? რომელი მდინარე ჩარეცხავს ამ უბინძურეს ბაქტერიებს? ვინ იქნება ის, ვინც დაამარცხებს ამ სახიფათო ხილულ და ამავე დროს უხილავ მტერს?

ხელისუფლებას, ან საზოგადოებას არ ეგონოს, რომ ამ ქაჯების თანდასწრებით და მონაწილეობით, მათთან კოპაბიტაციით ქვეყანას ავაშენებთ. ეს არ ეგონოს არავის, დადგება პოსტ-კორონული საყოველთაო რეფორმის და რეორგანიზაციის დრო.

ნაცები და მათი კულები თან უნდა გაჰყვებიან კორონა ვირუსს. ყველამ უნდა დაინახოს სხვა პაერი და სხვა ცა, რომელიც უკვე იხსნება.

კობა არაბული
მწერალი, ეთნოგრაფი
ტელ: 595 57 99 43

„გაზაფხულოდ ჩემი მიწა...“

განვითარების მოხილვასიური მოღვაწე ბეჭირაძე! საქართველოში დღესაც არ არის ზუსტად აღრიცხული, მიწის რა ფართობს ვფლობთ

გლობალური გამოწვევების პრევენციისა და ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებებზე ვაგრძელებთ საუბარს ცნობილ მეცნიერთან, საზოგადო მოღვაწესთან, საქართველოს მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარესთან – ნოდარ ჭიჭინაძესთან.

იური პაპასქუა: მცირე შესავლით დავიწყეთ, – ახალმა კორონავირუსმა ორი უმთავრესი გლობალური ამოცანა გამოკვეთა: ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა და გაჩერებული ეკონომიკის ამოქმედება.



ვფიქრობ, ხელისუფლებამ სწორად დაინახა ეკონომიკაში იმპორტჩამანაცვლებელი მიმართულებების გააქტიურების საჭიროება. აქ, უწინარესად, მხედველობაშია სასურსათო უსაფრთხოება – კვების ინდუსტრიის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარება, თუმცა სწორედ ამ, განსაკუთრებით კი მიწის რესურსების გამოყენების სფეროში გვაქვს მწვავე პრობლემები.

ნოდარ ჭიჭინაძე: დიახ, ეს ასეა. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის დეკლარირებიდან განვივლით თითქმის 30 წლის განმავლობაში ყველაზე უხეში შეცდომები სწორედ მიწის რესურსების გამოყენებაში დავუშვით.

დღეს საქართველოში მრავალ გამოწვევას შორის მიწის, როგორც ბუნებრივი რესურსისა და წარმოების ფაქტორის კომპლექსური, რაციონალური გამოყენება უმთავრესი და ეროვნული ეკონომიკის სისტემური განვითარების უპირობო პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ სახელმწიფოს (ხელისუფლებას), უნდა ჰქონდეს მართვის ისეთი სისტემა (მექანიზმი), რომელიც ამ სიმდიდრის ეფექტიანად გამოყენებას უზრუნველყოფს.

იური პაპასქუა: მაინც, რასთან გვაქვს საქმე, რატომ ვერ მოვახერხეთ დღემდე ქვეყნის მთავარი სიმდიდრე – მიწის რესურსები ამ მიზნებისთვის და უფრო ეფექტიანად გამოგვეყენებინა?

ნოდარ ჭიჭინაძე: სამწუხაროდ, პასუხი ერთადერთია: მოქალაქე-

ებმა, საერთოდ, საზოგადოებამ და თავად სახელმწიფომ გამოწვევების ადეკვატურად ვერ გააცნობიერეს მიწის რესურსული პოტენციალის როლი და მნიშვნელობა. უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი სიტუაცია ბევრად განაპირობა ობიექტურმა ფაქტორებმა, თუმცა სუბიექტური მიზეზები ჭარბობდა. უხეში შეცდომები დავუშვით მიწის პრივატიზაციის პროცესში; დღემდე ვერ მოგვარდა მიწის აღრიცხვა; გაიძახით, მიწის ბაზარი უნდა განვითარდესო, მაგრამ მიწის ნაკვეთი ბაზრის მოთხოვნისამებრ რეგისტრირებულიც არ აღმოჩნდა; სოფელი დაცარიელდა, 1994–2018 წლებში სოფლის მოსახლეობა 722 ათასი კაცით შემცირდა; მიწების დატაცებამ, მსხვილი მასივების წერილკონტურიან ნაკვეთებად დაქუცმაცებამ, სამეცნიერო და სამრეწველო პოტენციალის, კადრების მოშადების სისტემის მოშლამ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ქვეყნის გარეთ გატანამ (სოფლის მეურნეობის ცოცხალი გამწვევი ძალისა და კავის ამარად დარჩენამ) განაპირობა წარმოების კატასტროფული დაცემა. 2017 წელს ქვეყნის მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი 1990 წლის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 42,2%-ს შეადგენდა.

დღესაც არ ვიცით რამდენი გვაქვს მიწის ფართობი. მიწის ბოლო ბალანსი 2005 წელს შედგა. არ მოგვუპოვებია სანდო ინფორმაცია მიწის სახელმწიფო ფონდში მიმდინარე ცვლილებების შესახებ. არ ვიცით როგორია სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსული პოტენციალი. რა მდგომარეობაშია ნიადაგის დეგრადაციის, მეორადი დაჭაობების, გაუდაზნობის პროცესები. არ გვაქვს მიწის კადასტრიც. არც ის ვიცით, უცხოელებზე რამდენი ათასი ჰექტარი მიწის ფართობია გასხვისებული, იჯარით გაცემული მიწები როგორ გამოიყენება. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა რესურსების (წყლის, ტყის, წყლის, რეკრეაციული რესურსების და სხვ.) მხრივაც.

ამრიგად, ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე ეფექტიანი მართვის გარეშე დარჩა მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები. ეს ზომ ყველაფერი მიწის მართვის ხარვეზებია. მიწის მართვაზე პასუხისმგებელი კი სახელმწიფოა.

შეცდომა იყო 2004 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, შესაბამისი არგუმენტაციის გარეშე, 1996 წლიდან შექმნილი მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის გაუქმება. მისი ძირითადი ფუნქციების იუსტიციის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებზე გადაწარმოების მთავარი გამორჩათ: ვინ შეადგენდა მიწის ბალანსს. ასევე შეცდომა


იყო საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის ბრძანებულებით 1996 წელს შექმნილი მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის (რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობდა) გაუქმებაც. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მიწის მართვის პროცესიდან სახელმწიფოს (მთავრობის) თანდათანობით ჩამოცილებას.

იური პაპასქუა: 2014 წელს საქართველოში ზომ ჩატარდა მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერა. რატომ არ შეიძლებოდა მათი შედეგებით სარგებლობა, რატომ არ გასწორდა მიწის აღრიცხვა და რეგისტრაციამ დაშვებული ხარვეზები?

ნოდარ ჭიჭინაძე: დიახ, 2014 წელს ორივე აღწერა ჩატარდა. მასალებს კარგად ვიცნობ. მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ აღწერით მიღებული ინფორმაცია გამოგნებელი იყო. არანაკლებ დამაფიქრებელი გახლდათ სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები. აღწერამ მოიცვა მხოლოდ შინამეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები (სულ 642,2 ათასი სუბიექტი) და შეეხო მხოლოდ 842,3 ათას ჰექტარ მიწის ფართობს. აქედან, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი შეადგენდა 787,7 ათას ჰექტარს. ასევე დაფიქსირდა სახნავი – 377,4 ათასი ჰექტარი, მრავალწლიანი ნარგავები – 109,6 ათასი ჰექტარი, სათიბ-სამოვარი – 300 ათასი ჰექტარი. ეს მაშინ, როცა 2005 წლის ბალანსის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი შეადგენდა 3026,6 ათას ჰექტარს, მათ შორის, სახნავი – 802,1 ათას ჰექტარს, მრავალწლიანი ნარგავების ფართობი – 264 ათას ჰექტარს, სათიბი – 143,5 ათასს, სამოვარი – 1796,6 ათას ჰექტარს.

ამრიგად, აღწერის გარეშე დარჩა მიწის ფართობების უდიდესი ნაწილი, ამიტომ მისი შედეგების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენების ღონის ობიექტურად შეფასება ვერ მოხერხდება.

გვაქვს უფრო საგანგაშო მონაცემებიც. 1990 წელს საქართველოში ნათესმა ფართობმა შეადგინა 701,9 ათასი, 1997 წელს – 577,6 ათასი, 2003 წელს – 561,7 ათასი, 2012



წელს – 259,6 ათასი, 2018 წელს – 207,1 ათასი ჰექტარი. ე.ი. 28 წლის მანძილზე ნათესი ფართობები 494,8 ათასი ჰექტრით, ასევე, მრავალწლიანი ნარგავების ფართობები (1990–2017 წლებში) 202 ათასი ჰექტრით შემცირდა. ბუნებრივია, ასეთმა პროცესმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი დაცემა განაპირობა. შედეგებს ვიმკით. დიდხანია ქვეყანა უცხოეთიდან შემოტანილი სასურსათო პროდუქციით იკვებება. საკუთარი ინტენსიური მიწის ფართობები კი დეგრადაციას განიცდიან.

მდგომარეობა არასტანდარტულია. ამიტომ, მიწის გონივრულად გამოყენებისათვის საგანგებო ზომების მიღებაა საჭირო.

იური პაპასქუა: საგანგებო ზომებში რას გულისხმობთ, რა გაქვთ მხედველობაში?

ნოდარ ჭიჭინაძე: უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეროვნული ეკონომიკის, მათ შორის, სოფლის მეურნეობის სისტემური კრიზისიდან გამოვყვანას მობილიზაციური მოდელზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკა სჭირდება. ამ მხრივ გარკვეულ გამოცდილებას კორონავირუსთან ბრძოლის მეთოდების გამოყენებთაც ვიძენთ. სწორედ ანალოგიური მიდგომებია საჭირო, – რა თქმა უნდა, ეკონომიკის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, თავისებურებების გათვალისწინებით. მობილიზაციური მოდელი გულისხმობს ეკონომიკაში ეფექტიანი საბაზრო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირებისთვის გარე და შიდა რესურსების კონცენტრირებულად გამოყენებას.

2021–2025 წლების პერიოდისთვის განსახორციელებელ ღონისძიებათა სისტემაში (მისი შემუშავების აუცილებლობაზე უკვე ვისაუბრეთ) საჭიროა მიწის რესურსებს, საერ-

თოდ, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, სასურსათო უსაფრთხოებას შესაბამისი ადგილი დაეთმოს. ვიმეორებ: გარდევებს სტრატეგიაა საჭირო. პროფესიონალებმა იციან რა, რა დროს და როგორ უნდა გაკეთდეს. პროგრესული მეცნიერული აზრის დეფიციტი ქვეყანაში არ არის. მაგრამ არის იმის საშიშროება, რომ ქვეყნის განვითარების მაღალი ტემპები და ეროვნული ეკონომიკის რესურსული პოტენციალის სწორად გამოყენება მაინათა ინტერესებმა კვლავაც არ დაბლოკოს. ჩვენ ბევრი მწარე მაგალითი გვახსოვს, როცა უცოდინარობა და ანგარებასთან შერწყმული უპასუხისმგებლობა განსაზღვრავდა ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს.

სახიფათო განზრახვებს შეიცავს ამასწინათ გავრცელებული ინიციატივა (თუ რეკომენდაცია), რომ დღევანდელ ექსტრემალურ პირობებში სახელმწიფოს ბალანსზე აღრიცხული მიწის ფართობი სასწრაფოდ აუქციონზე გაიტანონ ან იჯარით უნდა გაიციეს. ამის გაკეთება არ შეიძლება.

იური პაპასქუა: სწორედ ამიტომ უნდა გავითხოვოთ: კონკრეტულად, რა უნდა გაკეთდეს მიწის რესურსების სწორად აღრიცხვის, რეგისტრაციის, ნაყოფიერების ამაღლებისა და დაცვისთვის?

ნოდარ ჭიჭინაძე: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ სამეცნიერო ცენტრში, სადაც მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების კვლევები ხორციელდება, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან თანამშრომლობით გამოკვლეულია 1990 წლიდან საქართველოს მიწის სახელმწიფო



ფონდის სტრუქტურული ცვლილებები, მიწის პრივატიზაციის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგები, მიწის რეფორმის თავისებურებები და ძირითადი ტენდენციები.

ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნებიდან (რეკომენდაციებიდან) რამდენიმეს მივაქცევ დაინტერესებულ პირთა ყურადღებას:

პირველი. ღონისძიებების თანმიმდევრული განხორციელებისთვის, ამოცანები ორ ნაწილად უნდა დაიყოს: ოპერატიულად – რომლის მიხედვითაც მიწის ფართობით უნდა იმ მოცულობით, რომელიც 2005 წლის ბალანსით გეგმიურად და პერსპექტიულად – მოგეშადლოთ სახელმწიფო მიწის ფონდის ინვენტარიზაციის ჩატარებისათვის. მის გარეშე მიწის ფონდის ობიექტური სურათი არ გვექნება. მეორე, რომ ამ ამოცანას თავი გაართვათ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შექმნილმა საჯარო სამართლის ოურიდიულმა პირმა - მიწის მფლობელი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულმა სააგენტომ.

მიწის რესურსული პოტენციალის რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობის გათვალისწინებით უფრო მიზანშეწონილია სააგენტოს სტატუსის ამაღლება და მისი საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვა - მოქმედების მასშტაბის გაფართოება, მასზე მთლიანად სახელმწიფო მიწის ფონდის (საკუთრების ფორმების მიუხედავად) რაციონალურად გამოყენებაზე პასუხისმგებლობის დაკისრება. ასეთი

დაყოფა, გადასარეკი ტრასების მოწესრიგება, მიწის სახელმწიფო მარაგების შექმნა და სხვ.

მეორე. იმის გათვალისწინებით, რომ წვრილი ოჯახური მეურნეობები წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმთავრეს ფორმას (98%), მათი კოოპერატივებში ინტეგრირება უნდა მივიჩნიოთ წარმოების ინტენსიფიკაციის სტრატეგიულ მიმართულებად. თითოეულ მუნიციპალიტეტში წარმოების სპეციალიზაციის ჩამოყალიბებული სქემის მიხედვით უნდა განისაზღვროს კოოპერაციის ფორმების (მიწის ფართობების დამუშავება, ნედლეულის გადაამუშავება, რეალიზაცია, შენახვა და სხვ.) გამოყენება. მიზანშეწონილია სამეცნიერო გაერთიანებებთან (მაგალითად, ლომთაგორის ტიპის მეურნეობები), ასევე ქვეყანაში არსებულ მსხვილ საწარმოებთან (წისქვილების, ელექტროების, სამაცივრო მეურნეობების, გადაამამუშავებელი საწარმოების და სხვ.) საოჯახო მეურნეობების და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ინტეგრირება (აღვიწვივით არსებული პირობების შესაბამისად).

მესამე. ახლა მაინც უნდა გაავაცნობიეროთ, რომ თანამედროვე ცხოვრებაში სახელმწიფო დაგვეხმარება და საბაზრო მექანიზმების თანაარსებობა აუცილებელია! ისინი ანტიპოდები არ არიან, არამედ ერთმანეთს ავსებენ. გვემართება განვითარება (პროგრესირება), პროგრამირება, კოორდინაცია) კაცობრიობის განვითარების ფუნდამენტურ მიღწევად არის აღიარებული. პრობლემების პროგრად

დებს ეფუძნება, სამ მთავარ კითხვაზე მოგვეცემ პასუხს: განვითარების რომელ საფეხურზე ვართ (რეალობის ობიექტური შეფასება), საით უნდა წავიდეთ (სტრატეგიული მიზანი), როგორ, რომელი რესურსებით და პერიოდულობით ვეფიქრობთ დასახული მიზნის მიღწევას.

გავიმეორებ მრავალჯერს ნათქვამს – თითქმის 30 წელი ეროვნული ეკონომიკა „ვითარდებოდა“ არა მეცნიერულად გააზრებული სტრატეგიის მიხედვით, არამედ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების (თანაც სწრაფი მონაცვლეობით) ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ნიშნით.

ეპიდემიასთან ბრძოლის ორგანიზაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ინფორმაციამ. ასეა ეკონომიკაშიც. სახელმწიფომ (ბიზნესმა) უნდა იცოდეს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის „ანატომია“, რათა დროის მოთხოვნების შესაბამისად, პროგრესირება და მოსალოდნელი საფრთხეების პრევენცია შეძლოს. ამისათვის საჭიროა სტატისტიკურ მარეგულირებელთა ისეთი სისტემა, რომელიც მიმდინარე რეალური პროცესების სისტემური ანალიზისა და შეფასების საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარე, დახვეწას მოითხოვს ქვეყანაში ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემა.

მეოთხე. მიწის ფართობების დეგრადაციის შესაჩერებლად (შესაბამისი ღონისძიებები 1990 წლიდან არ ტარდება), მიზანშეწონილია შედგეს მიწის დეგრადაციის (ეროზიის, მფორადი დაჭაობების,



როგორ შევახშიკოთ ნაღდი ფულის მიმოქცევა

ჯერ კიდევ, 90-იან წლების დასაწყისში, ფაქტიურად „საქართველოს ბანკის“ კომერციული ბანკად ჩამოყალიბების დღიდან, მისმა მაშინდელმა ხელმძღვანელმა ვლადიმერ პატეიშვილმა მისცა დავალება ბანკში შექმნილიყო შესაბამისი სტრუქტურა და დაეწყო მუშაობა პლასტიკური ბარათის გამოშვებაზე.

დიდი ძალისხმევით შედეგად, საქართველოში პირველად გამოვიდა ლოკალური პლასტიკური ბარათი „ჯორჯიანი ქარდი“, რომლის გამოყენების არეალი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიით შემოიფარგლებოდა.

„საქართველოს ბანკს“ უცხოელი პარტნიორების მხრიდან, საერთაშორისო საანგარიშო სისტემებში ჩასართვლად წაყენებული პირობების უზრუნველყოფად მთელი რიგი მოთხოვნების შესრულება მოუხდა.

„საქართველოს ბანკი“, ასევე საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკები, ახლა გაწევრიანებულია სხვადასხვა საერთაშორისო საანგარიშო სისტემებში და მათ მიერ გაცემული პლასტიკური ბარათების ანგარიშსწორებისთვის გამოყენება შესაძლებელია მთელ მსოფლიოში.

რაც შეეხება შიდა ბაზარს, თბილისში (და არა მარტო), მთელი რიგი დიდი და პატარა საცხოვრებელი, მეფრინველეობის ფერმის საფრთხე და სხვა სასურსათო მაღაზიები არ არიან აღჭურვილი ტერმინალებით. ასევე ე.წ. უბნის მარკეტები 5 ლარის ჩათვლით პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორებაზე უარს აცხადებენ და თანხას მხოლოდ ნაღდი ფულით იღებენ. ამას კი, ბანკების მხრიდან ტრანზაქციებზე მაღალ საკომისიო გადასახდელს უკავშირებენ.

აღსანიშნავია, უკვე შესაძლებელი გახდა შესაბამისი აპლიკაციით, მობილური ტელეფონის ტერმინალად გამოყენება, რომელსაც „საქართველოს ბანკი“ უზრუნველყოფს. როგორც ცნობილი გახდა ეროვნულ ბანკის მომსახურე პერსონალს დაუდასტურდა ე.წ. კორონავირუსი, რაც დიდი ალბათობით ნაღდი ფულის დამუშავებასთან არის კავშირში.

ასეთი შემთხვევისგან, სამწუხაროდ, არც კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებია დაზღვეული. როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა

განაცხადა, ეროვნული ბანკი ახდენს შემოსული ნაღდი ფულის დეზინფექციას.

აუცილებელია იგივე გააკეთონ კომერციულმა ბანკებმა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა. ვინც ამას ვერ შეძლებს, მიმოქცევიდან მიღებული ნაღდი ფული არ უნდა გაუშვან მიმოქცევაში და ეროვნულ ბანკში შეიტანონ.

საგანგებო სიტუაციის დროს, ეპიდემიის პერიოდში, ვფიქრობთ აუცილებელია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. დაევალოს ბიზნეს სუბიექტებს, სადაც საკასო აპარატები აქვთ, აღიჭურვონ ტერმინალებით და თანხის მიუხედავად უზრუნველყონ პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორება, ამასთან ერთად, კომერციულ ბანკებმა ამ ბიზნეს სუბიექტებს მიიმუშავედ შეუძინონ ტრანზაქციებზე საკომისიო გადასახდა.

2. კომერციულმა ბანკებმა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა მიმოქცევიდან შემოსული ნაღდი ფული, მიმოქცევაში გაუშვან მხოლოდ დეზინფექციის შემდეგ, ან მიმოქცევაში გაუშვან მხოლოდ ეროვნული ბანკიდან მიღებული ნაღდი ფული;

3. აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩამოთვლილ სუბიექტებზე გაეცემა საჯარიმო სანქციები.

ტაძრები და საეკლესიო მაღაზიები, სადაც ნაღდი ფულის სახით დიდი თანხები ტრიალებს, საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, სასურველია აღიჭურვონ ტერმინალებით. ამით შემდგომში, უცხოელ ტურისტებსაც (და არა მარტო) გაუადვილებათ საეკლესიო ნივთების შეძენა.

პასილ ჯიშპარიანი ფინანსისტი



როული ამოცანის გადაწყვეტა მართვის უმაღლეს დონეზე მოითხოვს კოორდინაციის გაძლიერებას. ჩემი აზრით, ზემოთ აღნიშნული სამსახური უშუალოდ უნდა დაექვემდებაროს პრემიერ-მინისტრს.

აღნიშნული სააგენტოს სტრუქტურაში უნდა იყოს შესაბამისი საპროექტო ორგანიზაციები (კერძო სექტორის მონაწილეობით). სააგენტოს რეგიონებში უნდა ჰქონდეს მართვის შესაბამისი სტრუქტურები.

მიწის ფართობების ინვენტარიზაცია უნდა წარმართოს წინასწარ შედგენილი პროექტების შესაბამისად. პირველ რიგში აუცილებელია სახელმწიფოს ბალანსზე არსებული ფართობების დაზუსტება. სტრატეგიულ ამოცანად უნდა ჩაითვალოს სახნავი მიწის პერსპექტიული ფართობების დადგენა. გასათვალისწინებელია მრავალწლიანი ნარგავების არა მხოლოდ მასივებად, არამედ ადგილზე არსებულ პირობებზე მორგებით ერთეული ნარგავების სახით (ტერასები) გაშენება, სამოვრების (სათიბების) კატეგორიებად

მებით გადაწყვეტის მეთოდი დღეს ყველაზე რაციონალური მეთოდია. კორონავირუსთან ბრძოლის პირველი გამოცდილება ამას გვიჩვენებს.

იური პაპასქუა: რა უპირატესობა აქვს პროგრამულ მიდგომას?

ნოდარ ჭითანავა: უპირატესობა დიდი. პროგრამულ მიდგომაში აისახება ლოგიკური კავშირი დასახულ მიზნებს, მისი მიღწევის რესურსულ და პოლიტიკურ-ორგანიზაციულ ფაქტორებს შორის (პოლიტიკური მიზნის ეკონომიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა). რეალურად განისაზღვრება ადგილობრივი, ბუნებრივი და საწარმოო პირობების, ფაქტორების კომპლექსურად ამოქმედების გზები და საშუალებები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს რესურსული პოტენციალის მიზნობრივ კონცენტრაციას. სწორედ ასეთ მიდგომას უნდა დაეფუძნოს ზემოთ ნახსენები ქვეყნის განვითარების მობილიზაციური მოდელი.

ამრიგად, პროგრამა, როცა იგი თანამედროვე მეცნიერულ მეთოდ

გაუდაბნობის, დაბინძურების და სხვ.) საწინააღმდეგო ღონისძიებათა (ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკური, სატყეო, მელიორაციული, პიდროტექნიკური და ა.შ.) გენერალური სქემა 2030 წლამდე პერიოდისათვის.

უნდა შემუშავდეს რეგიონების მიხედვით, ანადაგის ნაყოფიერების ამაღლების პროგრამა, რომელშიც შესაბამისი ღონისძიებებთან ერთად განისაზღვრება ორგანული სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ძირითადი მიმართულებები.

იური პაპასქუა, მაღლობა ბატონო ნოდარ, თქვენი მოსაზრებები, როგორც ყოველთვის, საყურადღებოა. მას გულდასმით გაცნობის გარდა, სათანადო გააზრება და სამოქმედოდ ჩანისწინა სჭირდება.

საუბარს უძღვებოდა იური პაპასქუა ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ პროფესორი

ალბათ არ არსებობს ისტორიაში ხალხი, რომელსაც თავისი ცხოვრების განმავლობაში სერიოზული გამოცდა, ანუ განსაცდელი არ გამოუვლეს. თუ ასეთი ბედის ხალხი არსებობდა, საეჭვოა ისინი ერად შემდგარიყვნენ. შეიძლება აქედან მარტივი დასკვნა გამოვიტანოთ: როგორც პიროვნებას, ისევე ერსაც განსაცდელთა დაძლევა აყალიბებს...

ჩვენი ერის ხასიათს, ეთნოფსიქოლოგიასა და წეს-ჩვეულებებს, ცხადია, ასევე განაპირობებდა მისი განსაცდელით აღსავსე ისტორია. მაგრამ არის ამ ისტორიაში ზოგი რამ ისეთი, რასაც დროდადრო მწარედ დაუფიქრებია ჩვენი დიდი მოაზროვნენი.

სწორედ ისტორია არის უტყუარი საბუთი იმისა, რომ ქართველ ერს აქვს განსაცდელის ფაშს გასაოცარი თვითმობილიზაციისა და კონსოლიდაციის უნარი. ოღონდ: თითქოსდა ეს უნარი მხოლოდ უკიდურესი განსაცდელის ფაშს ამოქ-

სხვა გადამდები ავადობაც დაემატება და ნახევარი ქვეყნის აქტივობა ამაზე გადართული.

რატომ ხდება ასე? აბა, დავაკვირდეთ: დილით ბავშვი სკოლაში რომ მივა, ყველა თანაკლასელი უნდა გადააკონოს, მაგრამ მხოლოდ თანაკლასელები ხომ არ არიან, ასევე — ყველა ნაცნობი თანაკლასელი. ახლა ისეთი დროა, ყოჩაღი და გავლენიანი მოსწავლეები მასწავლებლებსა და მანდატურებსაც გადააკონიან ხოლმე (თავიანთ სოციალურ „პრესტიჟს“ უსვამენ ხაზს). საოცარია, მაგრამ მოსწავლეების უმეტესობა იმავე „რიტუალით“ ამთავრებს სკოლის ერთ დღეს და ასე მიდის სახლში. იგივე მეორდება, თუ დღის განმავლობაში

ლორითულ ნაწილში, რომელიც „სვოიბიტურ“-ქურდბიტურ გარემოს უკავშირდებოდა...

აბა, გავიხსენოთ ჩვენ, უფროსმა თაობამ: ასე იქცოდნენ ჩვენი პაპები და ბებები?

არა, ისინი მხოლოდ სიტყვიერად ესალმებოდნენ ერთმანეთს. საგანგებო მისაღება კი (ხელის ჩამორთმევა, ამბორი) მხოლოდ იშვიათი სტუმრისთვის ჰქონდათ გადანახული.

ცხადია, ამასაც ფესვები ისტორიულ წარსულში ეჩხრიკება.

თუ ჩვენს ისტორიულ-გეოგრაფიულ სინამდვილეს გავიაზრებთ, არაერთ ხეობასა და დასახლებას აღმოვაჩინებთ, რომელიც მოსახლეობას მყისიერად დაუტოვებია. მიზეზი

ფიქრები ჟამიანობისას



მედლება (გავიხსენოთ ეს განსაცდელი — არაბობა, მონღოლობა, რუსობა, ბოლშევიზმი, ნაცობა... და საპასუხოდ — ეროვნული ენერჯის აკუმულაცია და ემანაცია); მაგრამ, სამაგიეროდ, განსაცდელის არარსებობის (თუ - უწინარეფოვის, რადგან განსაცდელის არარსებობა ერისათვის მხოლოდ მოჩვენებითია) პირობებში იგი ელვის სისწრაფით კარგავს შემეხილ უნარ-თვისებას; განსაკუთრებით მაშინ, თუკი, როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იტყვის, „განძღვნი და განსხვინენ“... (ამისი მაგალითების მოხმობა არც არის საჭირო).

ეს — საზოგადოდ. ამ ოპუსს კი უფრო პრაგმატული მიზნით — იმაზე დასაფიქრებლად ვწერ, რომ ჩვენს ისტორიაში, ჩვენს ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებში არის ბევრი რამ ისეთი, რაც ჩვენი ერის ისტორიულ გამოცდილებას ასახავდა და ჩვენი შემდგომი ცხოვრების საუკეთესო ორიენტირი უნდა ყოფილიყო. ჩვენ კი საკუთარი დავივიწყეთ და უცხო (რომელიც „საუცხოოდ“ მივიჩნიეთ) შევითვისეთ და გავითავისეთ. ასეთია ჩვენი თანამედროვე სოციალური ეტიკეტი, რომელშიც საკუთარი, ფაქტობრივ, აღარაფერი შემოგვრჩა. ამიტომაც ურიგო არ იქნება, სწორედ ახლა, ამ სოციალური დისტანციებისა და თვითიზოლაციის ფაშს, ჩვენს ელემენტარულ ყოფით ჩვეულებას და ქცევებზე გავაძახვილოთ ყურადღება.

სულ უბრალო რამ: დადგება თუ არა გვიანი შემოდგომის სიცივეები, იმ დროიდან შვეა ჩვენს სკოლებში გრიბები და შუა გაზაფხულამდე აღარ გამოვა; ხან ერთი ვირუსი, როგორც დღეს იტყვიან, ცირკულირებს, ხან — მეორე, ხან

რაიმეს ულოცავენ ერთმანეთს და სხვ. რამდენი კოცნა, ანუ უშუალო კონტაქტი გააოღის?!

ახლა, ამ იძულებითი სოციალური დისტანცირების ფაშს, უპირაინა კარგად გავიაზროთ, რას ნიშნავს ჩვენს გარემოში დაძველებული ეს ჩვევა.

სურათის შესამსუბუქებლად მეტყვიან, რომ ეს ნამდვილი კი არა, მოჩვენებითი კოცნაა, ლოყის ლოყაზე მიდებით და ტუჩების გატკაპუნებით.

დიახ, ეს არ არის ის კოცნა, ჩვენმა წარსულმა პარტიულმა ნომენკლატურამ რომ იცოდა, მაგრამ მით უარესი, რომ ამ ფორმლობისთვის, ამ უაზრო ქცევისთვის ჩვენი შვილები ამდენ დროსა და ჯანმრთელობას ხარჯავენ.

ვინ ასწავლიდა მათ ეს? მე ვიცი, ახლა ოპონენტი მზადაა, ისევ ევროპისკენ გაიშვიროს ხელი. მაგრამ ნურას უკაცრავად, ეს არ არის ევროპული ეტიკეტი. ახლა ევროპას ყველა უშუალოდ იცნობს და იცის, იქ როგორ უნდა მოიქცეს. თუნდაც ფილმები ავიღოთ, იქ თუ კოცნიან, მართლა კოცნიან, მისასაღებლად კი უმეტესად ხელსაც არ ართმევენ ერთმანეთს.

დიახ, ამას ვერავის ვერ დავაბრალებთ, ეს ჩვენ ვასწავლეთ ჩვენს მომავალს!

ჩვენ საიდანღა მოვიტანეთ? იქნებ ჩვენი წარსულიდან?

შეიძლება სხვამ უკეთესად ახსნას, მაგრამ, ჩემი პირადი დაკვირვებით, ეს რუსულ-საბჭოური მემკვიდრეობა უნდა იყოს. შემდეგ კი მან კიდევ უფრო თავისებური, თეატრალიზებული ხასიათი შეიძინა საქართველოში, განსაკუთრებით — თბილისში და მის იმ კო-

ამისა, მტრისაგან ლტოლვილობის გარდა, ის ჟამიანობაც იყო, რომელიც დროდადრო ღვთის რისხვად მოეგლინებოდა ჩვენს ხალხს. ასეთ დროს ჭირისაგან განრიდების, იზოლაციის ფორმებს ხალხი თვითორგანიზებით ახერხებდა: ან აიყრებოდა ეპიდემიის გავრცელების ადგილებიდან, ანდა იმ იშვიათ გზას მიმართავდა, რაც სოფელ ანატორის ისტორიიდან არის ცნობილი: ყოველი მკვიდრი, რომელსაც შავი ჭირის ნიშანი გამოაჩნდებოდა, სხვათა გადარჩენის მიზნით, საკუთარი ფეხით მიდიოდა და წვებოდა აკლდამაში. ამისი დოკუმენტია ანატორის აკლდამები.

თუ დავაკვირდებით, თითოეული ანატორელის ეს მოქმედება თვითიზოლაციის გარკვეული ფორმაა — სასტიკი, მაგრამ გამოუვალობის გამოსავალი, საკუთარი თავგანწირვით სხვათა დაზღვევის გზა. ამით მათ შავი ჭირის გავრცელებას გადაარჩინეს თემი და ქვეყანა.

აი, რა ტიპის გამოცდილება აყალიბებდა ერის ხასიათსა და ქცევებს; აი, რატომ უღინდებია ჩვენს ტრადიციულ ურთიერთობებში სანიშნო სოციალური დისტანცია.

თუ, სალიტერატურო ენის გარდა, ჩვენს რეგიონულ მეტყველებებსაც დავაკვირდებით, დავინახავთ, როგორ უხვია მისაღება-გამოსაღებათა ენობრივი ფორმულები (თანაც — გენდერულად გარჩეული: მაგალითად, ვაჟს „გამარჯვებას“ ეტყობდნენ, რადგან მას დამცველის ფუნქცია ჰქონდა, ქალს და მოზარდს კი — „მშვიდობას“, როგორც დასაცავს...).

შესაბამისი ლოგიკა: შეუძლებელია

ბელია მისაღებათა ესოდენ დიდი სიმდიდრე ყოფილიყო ენაში, თუკი ყველაფერი უშუალო შეხებით (ხელის ჩამორთმევი, კოცნით) იქნებოდა მოგვარებული. ამას თუ იმავე ფუნქციის შესტეხვაც დაევუმატებთ (გავიხსენოთ მარჯვენა გაშლილი ხელის აღმართვა, როგორც გამარჯვების ნიშანი; დარბაისლური თავის დაკვრა და მისთ.), დავრწმუნდებით, თუ რა მდიდარ არსენალს ფლობდა ჩვენი სოციალური ეტიკეტი.

ამიტომაც იყო, რომ ჩვენი წინაპრები მხოლოდ საგანგებო შემთხვევის დროს ეამბორებოდნენ (ისიც — მხარზე) მეორე პირს. ეს საგანგებო ვითარება იყო გამარჯვების მილოცვა, შერიგების გამოხატვა და სხვ. ასე გასინჯეთ, თვით ხელის ჩამორთმევა არ იყო ასე გაუბრალოებული, ისიც მხოლოდ განსაკუთრებული ურთიერთობის ნიშანი იყო. აბა, გავიხსენოთ: განა ყოველდღიური მისაღება-გამოსაღებისათვის ართმევენ ხელს ჩვენი უახლოესი წინაპრები ერთმანეთს? სამაგიეროდ, თუკი ორ პირს ერთმანეთთან შეარიგებდნენ, მაშინ აუცილებლად ეტყობდნენ: აბა, ახლა ერთმანეთს ხელი ჩამორთვითო! ეს ის ფასეული ხელის ჩამორთმევაა, რომელიც მთელი ცხოვრება გასხოეთ... ხოლო ის შემთხვევა, რომელიც ფხოვის სინამდვილეში არსებობდა, მართლაც სრულიად განსაკუთრებული შემთხვევაა — აქ ხელის ჩამორთმევა თვით სისხლის აღების ადათის დროებით შეჩერების ტოლფარდი იყო: თუ ახლად მომხდარი ანგარიშსწორების დროს მედიატორი მოახერხებდა და შურისგების ორივე მხარეს ხელის ჩამორთმევაზე (თავისთვის და არა

ერთმანეთისთვის) დაითანხმებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ შურისძიება უპირობოდ ჩერდებოდა და შესაძლებელი იყო შერიგების ხანგრძლივი პროცესის დაწყება. ამგვარი „მორატორიუმის“ დარღვევის პრეცედენტი არ არსებობს!

კიდევ არაერთი შთამბეჭდავი მაგალითის მოხმობა შეიძლება, მაგრამ სათქმელი ისედაც ნათელია. უნდა დავასრულოთ ყველაზე მშვენიერი არგუმენტი:

მთელი მსოფლიო იცნობს გენიალურ ქართულ ცეკვას და, მეოწი, არავინ დარჩა ისეთი, ვინც არ იცის, რომ ქართული ცეკვა ქალისა და კაცის ამაღლებულ დისტანციას, კაცის რაინდულ თავდაჭერასა და ქალის კდემამოსილებას განასახიერებს. მაშ, რატომ არ უნდა იცოდეს და იმეგზუროს ეს ჩვენმა მომავალმა?

დასასრულად: თავსდატეხილმა განსაცდელმა ჩვენი ერის რამდენიმე არსებითი სასიცოცხლო ნიშანი გამოამჟღავნა:

თვითორგანიზებისა და კონსოლიდაციის უნარი (რისი დეფიცითიც ბოლო დროს საგანგაშო სიგნალს იძლეოდა. სხვათა შორის, ამ განსაცდელმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ გარკვეული პოლიტიკუფები — კორონავირუსით — ერის ორგანიზმისათვის სრულიად უცხონი არიან!).

მაღალი პროფესიული თავდადება (ჩვენს თვალწინ გმირები იბადებიან!).

ახალგაზრდობის ამბიცია, რომ ეს ქვეყანა მათ ეკუთვნით (პირველად ამან თავი გამოამჟღავნა ვერც კატასტროფის დროს, მაგრამ მაშინ ხელისუფლება ამ ხმის მართ ყრუ აღმოჩნდა).

მიგრანტი ქართველობის შემობრუნება სამშობლოსკენ (ბოლო წლებში ამ მხრივ ფრიად საგანგაშო ტენდენციამ იჩინა თავი).

თანაღმობისა და ჰუმანიზმის გამოვლენა (თუმცა, ამისი დეფიცითი, საბედნიეროდ, ყველაზე ნაკლებ ყოფილა ქართველობაში).

ეს განსაცდელიც, უფლის მადლით, გადაივლის და ჩვენ კვლავ დავრჩებით უკვე შეცვლილი, მაგრამ მაინც გლობალური სამყაროსა და პროცესების წინაშე, არანაკლები გამოწვევებისა და განსაცდელის პირისპირ.

აპონადილ არაბული
595 33 35 52



გოგი თოფჩაძე - 80

ეპისკოპოსი



ბოლო დროს მომხდარმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რაოდენ სწორი და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანია ის, რასაც ერისკაცი, ბატონი გოგი თოფაძე თითქმის 30 წელია მოგვიწოდებს.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყვანს“ — ლელთ ღუნიას ეს უკვდავი ფრაზა ზუსტად გამოხატავს შინაარსს იმ იდეებისა და მოსაზრებებისა, რომლებსაც გოგი თოფაძე ამ ხნის განმავლობაში დაჟინებით გვიმეორებდა და გვიმეორებს.

წინასწარმეტყველური აღმოჩნდა მისი გაფრთხილება — მრეწველობა გადაარჩენს საქართველოსო და ახლა, როცა გადასარჩენად დაგვიდგა საქმე, აღმოჩნდა, რომ მრეწველობა არ გვაქვს, ანუ არ გვაქვს ის, რამაც უნდა გადაგვარჩინოს.

პოსტსაბჭოთა სივრცეში არავის არ უძარცვია, არავის გაუჩანავს ისეთი ხალისით და ენთუზიზმით საკუთარი ქვეყანა, როგორც ეს ქართველებმა გააკეთეს.

გოგი თოფაძე იყო ის კაცი, რომელიც ამ საყოველთაო მოროდიორობის წინააღმდეგ მართლაც ხმაღამოღებული იბრძოდა.

მას, ზოგიერთებისგან განსხვავებით, არასოდეს უცხოვრია ერთი დღით, ერთი დღის გამორჩენის პრინციპით. ის ყოველთვის მომავალზე ორიენტირებული,

მომავალზე მოფიქრალი კაცი იყო და ამიტომაც აღმოჩნდა მისი მოსაზრებები წინასწარმეტყველური.

ფიქრობ, ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს ბოლომდე გააზრებული ის დიდი ღვაწლი, რაც ამ კაცს მიუძღვის საქართველოს წინაშე.

სამოქალაქო ომის შემდეგ სულიერად და ფიზიკურად გაპარტახებულ და გავერანებულ ქვეყანაში მან პირველმა ჩაუნერგა იმედის სხივი ქართველ ხალხს და საქმით დაამტკიცა, რომ ბრძოლას და თავგანწირვას ყოველთვის აქვს აზრი.

გოგი თოფაძე იყო პირველი, ვინც ღიად დაუპირისპირდა ქვეყნის საძარცვავად შემოპარულ უცხოელ ფაჩაღებს და მათ ადგილობრივ თანამშრომლებს.

ბატონმა გოგიმ შესანიშნავად იცოდა, რა სასტიკი და დაუნდობელი ძალას უცხადებდა ომს და რა საფრთხეში ადებდა საკუთარ თავს, ოჯახს, ბიზნესს, მაგრამ მას უკან არ დაუხევია.

„საერთო გაზეთისა“ და მისი მკითხველების სახელით, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს ვუსურვებთ ბატონ გოგის — ჭეშმარიტ პატრიოტს და თავისი ქვეყნის ერთგულ მეციხოვნეს.

მასტანბ ხარჩილაშა
„საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი

ჩვენ, ყველა ერთად, მოგავლისთვის უნდა ვიბრძოლოთ!

— გილოცავთ 80 წლის იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, წარმატებებს.

თქვენ განვლეთ საინტერესო, თუმცა რთული და წინააღმდეგობრივი გზა. ახლა დადგა დრო, როცა ყველამ დაინახა: სწორი იყო თქვენი გაფრთხილებები და რჩევები. თავის დროზე რომ მოესმინა ჩვენს ხელისუფლებებს და მთავრობებს თქვენთვის, ბევრ განსაცდელს შეიძლებოდა გადავრჩენილიყავით.

— მე-20 საუკუნის ბოლო ხანებიდან და მერეც, 2010 წლამდე, რა უბედურებებიც საქართველომ გადაიტანა, ამ 20 წელიწადში ქვეყნის ასეთი განადგურება, ალბათ, ჩვენს ისტორიას არ ახსოვს.

საქართველოს ჰქონდა მძლავრი სოფლის მეურნეობა, მძიმე და მსუბუქი მრეწველობა. ქვეყანა ძლიერი იყო.

90-იანი წლების შემდეგ, 20 წელიწადში, აღარც წარმოება დაგვრჩა, აღარც სოფლის მეურნეობა, აღარც არაფერი. გაუნადგურდით სრულიად.

100-ზე მეტი საკონსერვო ქარხანა გექონდა, მანქანათმშენებლობა, ქარხნები და ფაბრიკები, ბოლო-ბოლო თვითმფრინავს ვაწარმოებდით. გექონდა მრავალმხრივი ექსპორტი — ხილი, ბოსტნეული ჩვენგან გადიოდა საბჭოთა ქვეყნებში, თურქეთში და სხვაგან.

ჩვენი ჩაი საუკეთესო იყო, უდიდესი მოთხოვნილება იყო მასზე. ჩაის მოხმარების 65% საბ-

ჭოთა კავშირში საქართველოზე მოდიოდა.

90-იან წლებში, მახსოვს, ვინმე მარტინ ბაუერი ჩამოვიდა საქართველოში. მოიხსივდა ხარბი ადამიანები. გადაინახა მილიონები, დაანგრის ჩაის მწარმოებელი ფაბრიკები და დღეს ჩვენი მშრომელი ბუნების ადამიანები, ქართველი ქალები და კაცებიც, მეზობელ თურქეთში მიდიან ჩაის საკრეფად.

მაშინ, როცა ინგრეოდა ეს წარმოება, ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა უნარი, რომ ამ ნგრევას შეწყინააღმდეგებოდა.

იმ ხანებში ამერიკიდან წარმოშობით ირანელი შადმან ვალავიც გვესტუმრა.

მთავრობამ მოგვიწვია ბიზნეს-მენები. დიდი შეკრება იყო. გამოვიდა ვალავი და გვითხრა: თქვენ ისეთი კარგი ქვეყანა გაქვთ, არ გჭირდებათ წარმოება, სოფლის მეურნეობა. ბაქო-ჯეიჰანის მილსადენს გავიყვანოთ. ეს გაგამდიდრებთ, ტურიზმს ავადორძინებთ, თქვენ არაფერი არ აწარმოოთ, თქვენ არაფერი არ გჭირდებათ, ჩვენ ყველაფერს მოგაწვდითო.

ვერ მოვითმინე, თავი ვერ შევიკავე ამაზე, ავვარდი ტრიბუნაზე, კინალამ ხელი გავართყვი მაშინ ვალავს. მე ხელი მტაცეს და ისიც გავარდა დარბაზიდან. თუმცა ჩემს პროტესტს, საბოლოოდ, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია და ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ვალავს სურდა მაშინ.

ამასობაში ფრანგი მილიარდე-

რი კასტელი ჩამოვიდა საქართველოში. მაშინ ლუდის ქარხანას ვაშენებდით მე და ჩემი თანამოაზრეები.

კასტელმა მონახა ხელისუფლების ცალკეულ შტოებთან საერთო ენა, მოიხსივდა ისინი და წარგვიდგინეს, როგორც ჩვენთან ერთად, საერთო უფლებების მქონე პირი. საბოლოოდ მოხდა ისე, რომ ჩემი ჩამოცილება დააპირეს. დიდი შეტაკება მოგვივიდა მაშინაც და იმდენი მოგახერხე, რომ კასტელმა ვერაფერს ვერ მიაღწია

და დიდი ბრძოლის შემდეგ ჩვენი ქარხანა აშუშავდა.

— თქვენ იყავით 90-იან წლებში პირველი ქართველი, ვინც ქართული პროდუქცია მიაწოდა მომხმარებელს, დაიხ, ეს დიდ სიმბოლეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ თქვენ, ასე ვთქვათ, როგორც პირველმა მერცხალმა, უზარმაზარი სტიმული მიეცით ქართულ ბიზნესს, ქართულ წარმოებას.

— სამწუხარო ის არის, რომ იმ 20-წლებში ქვეყნის ხელმძღ-

ვანელები წუთითაც არ დაფიქრებულან, რომ ქვეყანა წარმოების გარეშე ვერ იარსებებდა.

არჩევს ვენახები. გაყიდეს დაზგა-დანადგარები, გაძარცვეს ყველაფერი. წარმოებაზე მაშინ არავინ ფიქრობდა. იმიტომაც შემოლაგდნენ პარაზიტები უცხოეთიდან. ეს იყო ქვეყნის დაპყრობა. საქართველოში არ უნდა დარჩენილიყო არც მეწარმე და არც მშრომელი ადამიანი. ეს ქვეყნის

10 33. ➔





ბიძინა ივანიშვილი: — გოგის ძალიან დიდი ხანია ვიცნობ. პოლიტიკაში რომ მოვედი, ერთადერთი ნაცნობი გოგი დამხვდა.

თამამად ვიტყვი: გოგი თოფაძე არის საოცარი ადამიანი. მან მოახერხა საქართველოში ბიზნესის კეთება, რომელიც არ არის იოლი. საზოგადოების არც ერთი შრე არ მინახავს, გოგის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოეხატოს. ძალიან რთულია, ზოგადად, საქართველოში პოლიტიკაში იყო და საზოგადოებაში მაინც გქონდეს კარგი ავტორიტეტი. მგონი, ხვდებით, რაც მაქვს მხედველობაში. ის ღირსეული პიროვნებაა. საქართველოს და ჩვენ ყველას გვჭირდება ასეთი ადამიანები. ძალიან კეთილშობილი ადამიანი და სავყარელი კაცია. გოგი არის მეგობრობის სიმბოლო, კაცობის სიმბოლო.



ზურაბ ტყეშელაშვილი: — მახსოვს, 1999 წელს სპონტანურად უცებ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ პოლიტიკური პარტია შეგვექმნა. ერთხელ გოგი რაღაცაზე გააბრაზეს და თქვა, რაც დავიწყებ, ყველაფერში გავიმარჯვებ და ახლაც გავიმარჯვებთ და საქმეს ბოლომდე მივიყვანოთ და მივიყვანეთ კიდევ. დაგვემუქნენ 7%-მდე ავიყვანოთ ბარიერსო (5% იყო), მაშინ გოგიმ უთხრა, 7%-მდე კი არა, თუ გინდათ 27% ასწიეთ, მაინც გავიმარჯვებთო. ასეც მოხდა. ასე რომ, გოგი თოფაძე ასეთი წარატეხულია ყოველთვის. მისი წარმატების საიდუმლო არის პირველ რიგში, ბუნებრიობა, შრომისუნარიანობა, ამასთან ერთად მისი ჟინი, სურვილი და მიზანდასახული ბრძოლა მიზნის განსახორციელებლად. სხვათა შორის, გოგი სპორტსმენია, მთამსვლელი და აი, ამ ასაკში გოგის შეეჯიბროს ბევრი ახალგაზრდა.

80 წლის იუბილეს გილოცავ, ჩემო ძვირფასო მეგობარო!

როინ მებრძოლი:

— ღირსეული ადამიანია ბატონი გოგი. იგი ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი წევრი გახლავთ. გოგი თოფაძეს 80 წელი შეუსრულდა. 80 წელი ერთი ადამიანისთვის, შეიძლება, ბევრია, მაგრამ ისტორიისთვის ერთი ამოსუნთქვაა. თუმცა გოგი თოფაძეს შეუძლია იამაყოს გავლილი გზით. ის ყმაწვილობიდან შრომამდე იყო ჩაბმული და დღემდე აგრძელებს სასარგებლო მოღვაწეობას. მან თავისი საქმიანობით ღირსეული კვალი დააშენა ეროვნულ მრეწველობას და ბიზნესს. ბატონი გოგი მეცნიერიც გახლავთ. ის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორია და მეცნიერულ ცოდნას და პრაქტიკულ მოღვაწეობას ერთმანეთს კარგად უხამებს. გოგის წარმატების საწინდარიც ეს არის.

მე ისღა დამრჩენია, ვუსურვო წარმატებები, ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე და იმ ამოცანების ღირსეულად შესრულება, რაც ქვეყნის და მის წინაშე დგას.

ლიმიტრი ხუნდაძე:

ბატონ გოგის მინდა მივულოცო დღევანდელი დღე. მინდა ვუსურვო, პირველ რიგში, ჯანმრთელობა და წარმატება, ყველა მიმართულებით, თუმცა ის ისედაც წარმატებული ადამიანია. ბატონი გოგი არის უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, მან იცის არაჩვეულებრივი მეგობრობა და ურთიერთობა, ის არის წარმატებული ბიზნესმენი,



და ბიზნესიც ურთიერთობის გარეშე არ არსებობს. ბატონი გოგი არის გამჭრიახი და გამოცდილი პოლიტიკოსი. დიას, ფიქრობ, ბატონი გოგი ყველა მხრივ საინტერესო პიროვნებაა და ის იმსახურებს აი, იმ სიბოძის, იმ სიყვარულს და იმ თანადგომას, რასაც დღეს, ჩვენ, ყველა ერთად ვხვდებით — მის გარშემო საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ნაწილია შეკრებილი და ულოცავენ და უსურვებენ წარმატებას.

ჩვენ, ყველა ერთად, მოგავლისთვის უნდა ვიბრძოლოთ!

← 9 გვ.

განადგურება არ არის? ამაზე მაშინდელი ხელისუფლება და მერე მომდევნო იცნობდა თვალს სუჭავდენ და ჩვენ ვტრიალებდით ამ ტრაგედიაში.

კიდევ კარგი, კიდევ კარგი, ამ 8-10 წელიწადში ყველაფერი ნელ-ნელა იცვლება.

ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა იმ ხელისუფლებების შთამომავლები ეს ე.წ. ოპოზიციონერები დღეს კიდევ თავს იბრძავენ თუ არ ვიცით, რა დაეარქვა, ვერ ხედავენ, რა გაკეთდა, რა კეთდება და კიდევ რას ცდილობს ახლანდელი ხელისუფლება.

მთელი საქართველო მაქვს მოვლილი ბოლო წლებში. ყველამ დაიწყო მიწის დამუშავება.


რაიონებში მაქვს ობიექტები და ვიცი: რეგიონში ვერ ნახავთ 1 ჰექტარსაც კი, რომ არ იყოს დამუშავებული.

მიწების გაყიდვაზე რომ დაიწყეს საუბარი, მაშინ პარლამენტის დეპუტატი ვიყავი. გიჟი პრეზიდენტი გვყავდა. ჩვენი პარტიის წევრებთან ერთად, გავითანეთ საკითხი განსახილველად, რომ ქართული მიწები არ გაყიდულიყო. ამ საკითხს ვეტო დავდეთ. მეორეჯერ დავსვით ეს საკითხი პარლამენტში. თავგანწირულად ვიბრძოლეთ. პარლამენტართა დიდი ნაწილი გვერდით დაგვიდგა და მეორედ ველარ გაბედეს ქართული მიწის გაყიდვის ოფიციალურად დაკანონება. საბოლოოდ კი მოხდა ისე, რომ დაკანონდა: თუ უცხოელი ქართველ ქალს შეირთავდა, ეძლეოდა მიწის ყიდვის უფლება.

ახლა ჩვენმა პრემიერმა დაიწყო ფიქრი და დარწმუნებული ვარ, მალე დაიწყება წარმოებების განვითარება და ქვეყნის მოვლაც.

— რას ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს, როგორი უნდა იყოს პირველი ნაბიჯები?

— დღევანდელი ხელისუფლება, „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა და თავად ბიძინა ივანიშვილი, დარწმუნებული ვარ, ფიქრობენ ამაზე. გლენს უნდა დაუდგეს გვერდით ჩვენი ხელისუფლება, პირველ რიგში და



ნელ-ნელა უნდა დაიწვოს წარმოების აღორძინება. ყველაფერი თავად უნდა ვაწარმოოთ. ერთ ამბავს გავიხსენებ. გარკვეული დროის წინ თურქეთში ვიყავი წარმოებისთვის დანადგარების შესაძენად. დირექტორთან საუბარს სხვებაც ესწრებოდნენ. დირექტორს აუცილებელი საქმე გამოუჩნდა და მე ერთ-ერთმა თურქმა შემომთავაზა, ჩემს საწარმოს დაგათვალთვინებო. მივედით შოკოლადის ქარხანაში. და-ვათვალთვინეთ წარმოებული პროდუქცია, შესანიშნავად შეფუთული სხვადასხვანაირი ყუთებში. ერთ საწყობში, სადაც საუკეთესოდ დაფასოებული შოკოლადი ეწყო, ხელმძღვანელმა მითხრა, ეს საექსპორტოაო, შედარებით მდარე შეფუთვაზე მიმითითა, ეს ადგილობრივი მოხმარებისთვის და ყველაზე უარესად შეფუთულ შოკოლადის ყუთებზე მითხრა: ეს ნარჩენებისგან გაკეთებული პროდუქციაა და საქართველოში იგზავნებაო. სააკაშვილის პერიოდში მოხდა ეს ამბავი. მაშინდელი ხელისუფლება ყველაფერზე მიდიოდა, ოღონდ ფული ეშოვათ.

— ბატონო გოგი, ის უცხოური ძალები, რომლებიც, როგორც თქვით, ჩვენი ეკონომიკის დანგრევაზე მუშაობდნენ, დღეს წარმოებების აღორძინება რომ მოვიწოდოთ, ხელს აღარ შეგვიშლიან?

— დღესაც ისევე ცდილობენ, რომ საქართველო ფეხზე ვერ დადგეს. ისევ

ძველ სიმღერას მღერიან — ტურიზმი, ბაქო-ჯეიჰანი და ა.შ. თქვენ გაჩერდით, ჩვენ დაგეხმარებითო. გამოვფხიზლდეთ, იმდენი თურქი, ირანელი და სხვა ქვეყნის მოქალაქე ჩამოდის და მკვიდრდება ჩვენს მიწაზე, რომ 8-10 წელიწადში საქართველოში ქართველი უმცირესობაში იქნება, დაგვაკარგვინებენ ქვეყანას და მართლმადიდებლობას.

მე ჩემი ქვეყანა მიყვარს, არა ვარ არავის მეზობლე, მაგრამ დაეაკვირდეთ, მსოფლიოში შექმნილი ვითარების გამო ყველა ქვეყნიდან გამოიბიან ქართველები, რუსეთიდან ვინმე გამოქცეული გინახავთ? გონივრული პოლიტიკა ვაწარმოოთ და ყველა ენახავთ, აფხაზეთიც დაგვიბრუნდება და ცხინვალის რეგიონიც. თითქმის დარწმუნებული ვარ ამაში.

დადგა დრო, ქვეყანას მივხედოთ. დიდი იმედი მაქვს, ამას მოახერხებს და გააკეთებს ახლანდელი ხელისუფლება. ჩვენი პრემიერი ამას გააკეთებს თუ ყველა გვერდით დაუდგებათ. ჩვენ მომავლისთვის უნდა ვიბრძოლოთ, სხვა გზა გადარჩენისთვის არ არსებობს.

— კიდევ ერთხელ გილოცავთ 80 წლის იუბილეს. ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ.

— დიდი მადლობა.

ირანდა კალანდაძე





გზა ნარმატებოსკენ

ბობი თოფაძე – ქართველი ბიზნესმენი, ქართული კავიტალიზმით, ქართული ნიჭით, ქართული სიჯიუტით და ქართული პირდაპირობით

ამ 25 წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ თბილისში, სანაპიროზე, დანგრეული და გაპარტახებული ქარხნის ნაცვლად, თანამედროვე, წარმატებული საწარმო აშენდებოდა და ეს ადგილიც ასეთი მიმზიდველი და პოპულარული გახდებოდა თბილისელებისათვის.

ვისაც გოგი თოფაძესთან უმუშავია, ყველა აღნიშნავს, რომ მას წარმოების აწყობისა და ორგანიზების უნიკალური ნიჭი და ალლო აქვს, ხშირად ერთი შეხედვით უპერსპექტივო წამოწყებაშიც შეუძლია აღმოაჩინოს ისეთი მარცვალი, რაც შემდეგ მართლაც გასაოცარ შედეგს იძლევა.

„ყაზბეგის“ დამაარსებელს გამჭრიახობასა და შორსმჭვრეტელობასთან ერთად, პროფესიონალიზმი, თავდაჯერებულობა, ენერჯიულობა, ცოტა იდეალისტობა, თუმცა უმთავრესი მაინც, დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელი სიჯიუტე აღმოაჩნდა.

გოგი თოფაძის მთავარი საქმის ისტორია მოგვიანებით დაიწყო. მთავარი საქმე კი, ცხადია, კომპანია „ყაზბეგია“. ქართული ბიზნესის ისტორიაში ძნელია მოძებნოს ანალოგი, რომელსაც კომპანიის სახელი და მისი დამაარსებელი აბსოლუტურად გაიგივებულნი არიან. 1994 წელს, კრიმინალური ბანდების თარეშით გაწამებულ, პოლიტიკურად დაუღალავებელ, ეკონომიკურად განადგურებულ, კონტრაბანდით წაღვეილ, მორღვეულ საზღვრებში მოქცეულ საქართველოში, წარმოების შექმნა ის ნაბიჯი იყო, რომლის გადადგმასაც მხოლოდ ერთეულები თუ გაბედავდნენ.

არადა, სწორედ მაშინ გოგი თოფაძემ არნახულად რისკიანი პროექტის განხორციელება განიზრახა: ქართული ლუდის ბიზნესმა ფეხის ადგმა იმ დროს სცადა, როცა ბაზარი გაურკვეველი წარმოშობის, ხარისხისა და შემადგენლობის შემოტანილ ლუდს

ჰქონდა წაღვეილი და ამ სარფიან საქმეს ზურგს ფინანსურად თუ პოლიტიკურად შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე ჯგუფები უმაგრებდნენ, მათ შორის იმჟამინდელი ხელისუფლების ბევრი გავლენიანი მადლჩინოსანიც.

სწორედ ასეთ ფონზე, დიდი პაუზის შემდეგ, ბაზარზე „ყაზბეგის“ სამარკო ნიშნით გამოჩენილი პირველი ლუდი ის ბასრი იარაღი აღმოჩნდა, რასაც წლობით აწყობილი და ერთი შეხედვით უძლეველი მანკიერი წრე უნდა გაერღვია. ასეც მოხდა: თვითონ წარმოების შედარებით მოკრძალებული მოცულობის მიუხედავად, „ყაზბეგმა“ მაინც იმდენად შეავიწროვა ლუდის იმპორტის ჩაჭიდებული არაერთი კომპანია და მათ ზურგს ამოფარებული ჩინოვნიკები, რომ ადგილობრივი წარმოების მიმართ არნახული ტერორი განხორციელდა.

როცა „ყაზბეგმა“ პირველი სერიოზული განაცხადი გააკეთა, ხოლო თოფაძესთან მოლაპარაკებებმა თუ მისი დაშინების მცდელობებმა შედეგი ვერ გამოიღო, 40 შეიარაღებული სპეცრაზმელი ქარხანაში შევარდა, გოგი თოფაძე თავისი შეილთან და მოადგილესთან — დღეოთი გიორგი ბიანთან ერთად დააპატიმრეს და წარმოების გაჩერება პირდაპირ მოსთხოვეს, მაგრამ ამ ნაბიჯმა შედეგი ვერ გამოიღო „ყაზბეგმა“ არსებობა გააგრძელა.

თუმცა, საქართველოში ლუდის იმპორტი იმდენად მომგებიანი იყო, რომ პოზიციების იოლად დათმობას არავინ აპირებდა. ტერორს მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან ასევე წარუმატებელი მცდელობა, უკვე აწყობილ და პოპულარულ კომპანიაში, ასე ვთქვათ, „წილში ჩაჯდომოდნენ“ თოფაძეს. ცოტა მოგვიანებით, ინტერესთა ჯგუფების მიერ გაწეული ფართო ლობისტური კამპანიის შედეგად, 1995 წლის ივნისში ხელისუფლებამ გადაწყვიტა ადგილობრივი მწარმოებლებისათვის

აქციზის გადასახადი, არც მეტი, არც ნაკლები, 1000 პროცენტით გაეზარდა. ამ საგადასახადო გილიოტინამ თავისი მომაკვდინებელი შედეგი 2-3 წელიწადში გამოიღო.

გადასახადის ამ აბსურდული განაკვეთის გამო, სასმელის მწარმოებლებს იმხელა დავალიანებები დაუგროვდათ, რომ მათი უმეტესობა ან გაკოტრების რეჟიმში მოექცა, ან წლების მანძილზე წელში ვეღარ გასწორდა და ავად თუ კარგად მოპოვებული საბაზრო პოზიციებიც საბოლოოდ დაკარგა.

იმავითი გამონაკლისი მხოლოდ „ყაზბეგი“ აღმოჩნდა და ამის მიზეზი გახლდათ კვლავაც უკიდურესად რისკიანი, თუმცა, ბიზნესის ლოგიკიდან გამომდინარე, აბსოლუტურად გამართლებული და საბოლოო ჯამში, წარმოების გადასარჩენად მიღებული ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება — თოფაძემ აბსურდულამდე გაზრდილი აქციზის გადასახადზე უარი განაცხადა. მან ხმაძაღლა თქვა, რომ ეს იყო სრულიად ალოგიკური, უსამართლო გადაწყვეტილება, რომელიც საერთოდ დალუპავდა დარგს. ზოგიერთი კომპანიისგან განსხვავებით, რომლებიც ამ უსამართლობას შეეგუენ, თოფაძემ „ყაზბეგი“ ძველი სააქციზო გადასახადის რეჟიმში ამუშავა და ეს არც დაუმალავს. ეს იყო საჯარო პროტესტი, რამაც, მოგვიანებით, რეალური შედეგი გამოიღო — ხელისუფლებამ აქციზის განაკვეთი შეცვალა.

მუდმივმა პოლიტიკურმა ზეწოლამ ქართულ წარმოებებზე თანდათან ისეთ მამულებს მიადღია, რომ გოგი თოფაძე თავის მეგობარ ბიზნესმენტან ზურაბ ტყემალაძესთან იძულებული გახდა პოლიტიკურ ასპარეზზეც გამოსულიყო. საქართველოს საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა — თამაზ

ჯუმაბარ პატიანაშვილი: — გოგი თოფაძე შესანიშნავი ვაჭკაცია, ყოფილი სპორტსმენი. მანსოვს, კალათბურთს თამაშობდა. უბანში გამორჩეული ბიჭი იყო. კეთილშობილი კაცია ჩვენი გოგი და, პირველ რიგში, პატრიოტი ადამიანი. საქმის მკეთებელი, გაჭირვებულის დამხმარე, საინტერესოა, რომ მას განსაკუთრებულად უყვარს ბუნება, ნადირობა. ნადირობა ხომ ბუნებასთან განსხვავებულ ურთიერთობას აყალიბებს. მას თავისი სამონადირო მეურნეობა აქვს. უკვლის, უფრთხილდება ჩვენი ქვეყნის ბუნებას, გარემოს...



რა ვთქვა იმაზე მეტი, რომ ჩვენი გოგი გამორჩეული კაცია პატრიოტ ადამიანებს შორის. ბედნიერი ვარ, რომ მაქვს პატივი, მივულოცო იუბილე, დღევანდელი იყავი, ჩემო გოგი.

რომან რურუა: — გოგი არის უნიკალური პიროვნება. ყველა სფეროში, კაცობაში, მეგობრობაში, ბიზნესში, პოლიტიკაში რაც თქვა და რასაც ამბობდა, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ყველაფერი შესრულდა. აბსოლუტურად ყველაფერი. მე მჯერა ამ კაცის და ძალიან მიყვარს და მარტო მე კი არა, ყველას, მთელ საქართველოს უყვარს. ასეთი ხალხი ბევრი რომ გვყავდეს, კარგი იქნებოდა, მაგრამ სად არის. გვიმრავლოს ღმერთმა, ვულოცავ დაბადების დღეს, მინდა ბედნიერი იყოს, მინდა სულ ვუყურო, მისი ნახვა ყოველთვის გამიხარდება, მე ვამაყობ მისით.



ბია შორაშოლიანი: — დრომ აჩვენა, რომ რასაც ბატონი გოგი ამბობდა, იყო აბსოლუტურად სწორი და მომავალზე ორიენტირებული. ბატონი გოგი არის ძალიან ნიჭიერი კაცი და თავისი ცხოვრების განმავლობაში ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები აკეთა. მან, ყველაზე მნიშვნელოვანი თემა წამოსწია. თემა, რომელიც არის დაკავშირებული, ქვეყნის განვითარებასთან, — ეს არის ინდუსტრიის განვითარების თემა, რის გარეშეც თანამედროვე სახელმწიფო ვერ შეიქმნება. მე სრულიად ვიზიარებ ამ მიდგომას და მგონია, რომ ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილიც იზიარებს და რაც მთავარია, ისტორია და მსოფლიო გამოცდილება გვეუბნება, რომ განვითარებული ქვეყნები, ეს არის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები. მინდა ბატონ გოგის ვუსურვო კიდევ დიდ ხანს აქტიური მოღვაწეობა და კიდევ უფრო დიდი წარმატებები ქვეყნის საკეთილდღეოდ.



ზვიად შიშიშვილი: — ბატონი გოგი თოფაძე ჩემი უფროსი მეგობარია. მიმანია, რომ ამ კაცს ძალიან დიდი და სერიოზული ღვაწლი აქვს საქართველოს წინაშე. იყო დრო, ქართული არაფერი იწარმოებოდა საქართველოში, მათ შორის, არც კვების მრეწველობაში და ბატონმა გოგომ, მაშინ თავისი ლუდის წარმოებით, სხვა დარგების ორგანიზებით, ქართული მრეწველობა, ქართული კვების მრეწველობა აღორძინა. ეს უკავშირდება პირდაპირ ბატონ გოგის, მე ძალიან კარგად მახსოვს ეს პერიოდი. ასევე ვფიქრობ, რომ მაშინაც 1999 წელს, როცა ბატონი გოგი, პოლიტიკაში შემოვიდა, ეს იყო ნათელი წერტილი შევარდნის ეპოქაში „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ჩამოყალიბება და მინდა სულით და გულით მივულოცო იუბილე და ვუსურვო დიდი ხნის სიცოცხლე.



ბია ბაჩჩილაძე, პარლამენტარი, „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი: — ბატონ გოგის ვიცნობ ძალიან დიდი ხანია და უნდა გითხრათ, რომ ყოველთვის, თვით ბიზნესშიც კი ეროვნული მოღვაწე იყო. სანამ პარტიას შექმნიდა, თავიდანვე დაინტერესებული იყო ნაციონალური მრეწველობის განვითარებით. სულ იმისთვის იბრძოდა, რომ შეზღუდული გარედან შემოტანილი პროდუქციის რეალიზაცია და განვითარებულიყო შიდა მრეწველობა, ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ამ მიზნის წინააღმდეგ, მაგრამ მან მაინც მოახერხა სასარგებლო საქმეების კეთება. ყველამ ვიცით, რა პრობლემები შეუქმნა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, თუმცა ის დღეს კვლავაც აგრძელებს ქვეყნისთვის ღირებულ საქმიანობას.






არნო ზუმბაჩი, ჟურნალისტი: — ძალიან დიდხანს შემოდგომა ვისაუბრობათონ გოგოზე, როგორც ქველმოქმედზე, როგორც ვაჟკაცზე, როგორც თავისი საქმის მცოდნე კაცზე და, ამავედროულად, დიდად მეგობრულადამიანზე. ბევრმა, შეიძლება, არც იცოდეს, რამდენი დახმარება აქვს გაწეული ავადმყოფი ადამიანებისთვის, სტუდენტებისთვის, ჯერ კიდევ 90-იან წლებში აფინანსებდა ის სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლას... უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, არავის არ ამაღლის ამას. სიკეთეს ისე აკეთებს, თითქოს არც გაუკეთებია. გოგი თოფაძე რაინდი კაცია. ვულოცავ იუბილეს!

ზაპურ კალანდია: — 1998 წელია, მწერალთა კავშირში მწერლებთან მოვიდნენ მწერლები.

მოვიდნენ სარაჯიშვილის, ზუბალაშვილის, ხოშტარაის მემკვიდრეები, ერზე, ქვეყანაზე მოფიქრალი კაცები და მწერლობას გაუზიარეს თავიანთი სატკივარი.

საით მოვიდვართ და სად არის გამოსავალი? აი, ამაზე იყო საუბარი.

ბევრი რამ იყო... გამოსავალიც თითქოს გაჩნდა...



ერთი ამბავი გამახსენდა და ბატონ გოგი თოფაძეს მოუყვები. ილია ჭავჭავაძემ დავით სარაჯიშვილს დავითურებში ჩარეულს, საანგარიშოზე თავდახრილს შეუსწრო. სომხურად ითვლიდა თურმე ბატონი

დავითი და, ეს რა მესმისო, გაოგნებულა ილია. — რა ვქნა, ბატონო ილია, არ გამოდის ანგარიში ქართულადო, უთქვამს შეცბუნებულ კომერსანტს.

ბატონმა გოგომ ბევრი იცინა, თითქოს დამეთანხმა კიდევ...

გოგი თოფაძე სულით ხორცამდე ქართველი კაცია, ქართული ხასიათით და ქართული ბუნებით.

კობა არაბაშვილი, მწერალი:

ბატონო გოგი! არსებობს სენტენცია, თუ კედელზე თოფი ჰკიდია, ის აუცილებლად გაისვრის და არა მხოლოდ საქეტაკლში.

თოფაძის გვარში და გენეტიკაში დევს თქვენი (ანუ ამ გვარის) გამჭოლი გენეტიკური კოდი! „თოფი ვის და მეთოფისო“, — ბრძანებს თემა. თქვენ თოფიც გაქვთ და მეთოფობის გენეტიკური უნარიც...

მე მინდა, რომ თქვენი სიტყვის და თოფის ექიმ გადაუაროს ჩვენს ჩამკვდარ თემს, სოფლებს და შეაქროლოს, შეახშიანოს და წამოახედოს და ვინც ჯერ არს, ისიც მიახედოს იქითკენ. აყრილი, დემორგრაფიული, კულტურულ-ეკონომიკური დეპრესიით მოცული მთიანეთის გადასარჩენია.

თუ არ გვექნება მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი, სვანეთი და ასე შემდეგ... არ გვექნება საქართველო! ეს „დრამატული“ რეალობა და ხიფათი უნდა გააცნობიეროს ყველამ — პარლამენტმა, მთავრობამ, ეკლესიამ, ვრმა და ბერმა...

ახლა ნამდვილად არის დრო და ვითარება ყველამ ვიბრძოლოთ ქვეყნის გადარჩენისთვის და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვათ!...



კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების თარიღს. ჯანმრთელობას და სიმხნევს გისურვებთ! მაქვს თქვენი კაცობის და სიტყვის იმედი.

გზა ნარმაზბისკენ

11 მზ.

ბეჟანიშვილმა, ალექო თავართქილაძემ, საურმაგ თურანიძემ, ბიძინა ბოკერიამ, დათო დათოშვილმა, ვიტალი კვინიხიძემ, თამაზ ყაჭვიშვილმა, გურამ ჯაიანმა, ბადრი შოშიტაშვილმა, კახა გიუაშვილმა და სხვებმა გადაწყვიტეს, შეექმნათ პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, რომ და ახალი ქართული ბიზნესის თავისუფლება პოლიტიკური ტრიბუნის გამოყენებითაც დაეცვათ.

პირველივე პოლიტიკური სვლა წარმატებული აღმოჩნდა: უმუშევრობით და უპერსპექტივობით, ომით და ნგრევით დაღლილმა საზოგადოებამ გაიაზრა თოფაძისა და მისი თანამოაზრეების პოზიცია ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობიდან გამოყვანის გზებთან დაკავშირებით და ახლადშექმნილმა ამ პოლიტიკურმა გაერთიანებამ, 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში სულ 6 თვით ადრე შექმნილმა პარტიამ სერიოზულ წარმატებას მიაღწია — ერთადერთი არასახელისუფლებო ოპოზიცია ძალა აღმოჩნდა იმ მოწვევის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

სხვათა შორის, ქვეყნის განვითარების უფრო მკაფიო, რეალისტური, კონკრეტული და საქმით დამტკიცებული პოლიტიკური ალგორითმი ქართული საზოგადოებისთვის დღემდე არც ერთ პოლიტიკოსს არ შეუთავაზებია, ამ იდეის აქტუალურობა დღეს კიდევ უფრო



ში. „ყაზბეგი“ კი ნამდვილად არ გამოდგასეთი თვინიერი და მორჩილი.

ესეც პირველი პრეცედენტი იყო, როდესაც უცხოურმა კომპანიამ ქართულს ქედი ვერ მოადრეკინა და ეს იმ ფონზე, როცა ფრანგ მილიარდერ კასტელის ჯგუფს მეოცე საუკუნის ბოლო წლებში, როგორც ყველა უცხოელს ყველა დონეზე გარანტირებული მხარდაჭერა ჰქონდა. პოლიტიკურიც, რესურსულიც და ინსტიტუციონალურიც, მაგრამ, თოფაძემ, ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ ინვესტორი ყოველთვის მართალი არ არის და არც მისი ბრმა მორჩილება სიკეთის მომტანი. ღირსების დასაცავად ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლაც აუცილებელია.

„ყაზბეგი“ დიდი ხანია გასცდა მხოლოდ ლუდის და ლიმონათის წარმოებას,

შეჭირვებულისათვის ხელის გამართვას, ასევე ცალკეული გამორჩეული ადამიანების წახალისებას. საგულისხმოა, რომ გოგი თოფაძის სტიპენდიით ათეულობით ქართველ სტუდენტს მიუღია განათლება, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთშიც, სტიპენდიანტები არაერთი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებიც არიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომპანიის აქტიური მოწადინებით ვლადიკავკაზში ისტორიული ქართული სკოლის აღდგენა, სადაც ერთად სწავლობდნენ ქართულს ქართველი და ოსი ეროვნების მოსწავლეები. გ. თოფაძის ინიციატივით „ყაზბეგმა“ იმ დროისათვის (1998–2003 წლებში) არაორდინარული გაბედული ნაბიჯი გადადგა და ცხინვალში 1992–1993 წლებში დანგრეული ლუდის ქარხნის აღსადგენად სერიოზული ინვესტიცია განახორციელა და ქარხანაც ააშენა. შემდეგ რესტორანი და სასტუმროც ააშენა ცხინვალის ცენტრში და იმ დროისათვის პირველად ქართულ ენაზე დაეწერა ობიექტებს სახელი. როგორც ამბობენ ისე თბილად ხვდებოდნენ სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელები თოფაძეს და ისე ხშირად ჩამოდიოდნენ მასთან თბილისში და კმაყოფილები მიდიოდნენ, რომ, ყველას გვეგონა, ყველაფერი მალე გამოსწორდებოდა. კიდევ არაერთი იმგვარი პროექტის განხორციელება იგეგმებოდა, რაც უთუოდ შეუწყობდა ხელს კონფლიქტის ჩიხიდან გამოსვლას და ურთიერთობების სამომავლო გაუმჯობესებას, თუმცა 2004 წლის ტრაგედიამ ამგვარი პერსპექტივა გარკვეული ვადით გადადო.

მისი პირველი კომპანია „ყაზბეგის“ ისტორია წარმატებებისა და სიმწელების, განვითარებისა და შეფერხებების მრავალწლიანი, რთული, მძიმე, მაგრამ, ძალიან საგულისხმო და ჭკუის სასწავლებელი მატთანე ისტორია, კონკურენტუნარიანი ქართული ნაწარმისა, რომელმაც ისეთ ბაზარზე მოიკიდა ფეხი, სადაც ნემსის ჩასაყარდნი ადგილი არ ჩანდა და საბოლოოდ, არათუ ეს ბაზარი დაიპყრო, არამედ საექსპორტო ბაზრებიც გააფართოვა.

დროთა განმავლობაში, ალბათ, კიდევ უფრო გამოიკვეთება ის წვლილი, რაც გოგი თოფაძემ ქართული ბიზნესის ახლებურად წარმოების საქმეში ჩადო, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ხელჩაქნეული ქართული მენტალიტეტის მსხრევაში.

ასეთია დღეს უკვე 80 წლის გოგი თოფაძე — ქართველი ბიზნესმენი, ქართული კაპიტალით, ქართული ნიჭით, ქართული სიჯიუტით და ქართული პირდაპირობით: მიზნის მისაღწევად იმ გაუნელებელი სწრაფობით, რამაც მის მიერ დაარსებულ კომპანიებს ყველაზე რთული პერიოდებიც კი განსაკუთრებული დანაკარგების გარეშე გადაატანინა.



თვალსაჩინოა, რადგან ამ სტრატეგიით, მიზნის მიღწევის ყველაზე ცხადი და შედეგის მომტანი გზა იკვეთება.

ეს იდეა, რაც თავისთავად ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული მრეწველობისა და ეროვნული სოფლის მეურნეობის აღორძინებას გულისხმობს, ეფუძნება და მიზნად ისახავს ადამიანის უმთავრესი უფლებებისა და თავისუფლების განხორციელებას — იცხოვროს და იმრომოს ღირსეულად. თუ რას ნიშნავს ღირსეული შრომა და ღირსეული იცხოვრება, ეს „ყაზბეგის“ 5 წარმოებაში, 3 სასტუმროში და სოფლის მეურნეობის ობიექტებში დასაქმებულმა ათასობით ადამიანმა და მათი ოჯახის წევრებმა კარგად იცინა.

ამის კარგი მაგალითია თოფაძის და მისი პარტნიორების ნაყინის ქარხანა „ქართუ უნივერსალი“ რომლის პროდუქცია „თოლია“ და „კამპარა“ მყოფელსაც მოწონს და მწაროებელსაც ეამაყება.

ღირსების დაცვის მაგალითი იყო თოფაძის დაპირისპირებაც ფრანგ პარტნიორთან — პარტნიორობა არ შედგა, ვინაიდან კასტელის ჯგუფს ქართული ბიზნესის ისეთივე „მეწველ ძროხად“ გააქცევის სურვილი აღმოაჩნდა, როგორც არაერთი კომპანიისა აფრიკასა თუ აზია-

კომპანია მრეწველობის არაერთი წარმატებული ბიზნეს-პროექტის ოპერატორია.

ბუნებრივი პირობები და ეკოლოგიური წონასწორობა — ესეც კიდევ ერთი მიმართულებაა, რომელსაც „ყაზბეგის“ საქმიანობაში პრიორიტეტული ადგილი უკავია. „ყაზბეგის“ სავაჭრო ნიშნით წარმოებული ყველა პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულიდან მზადდება შესაბამის გარემოში და შესაბამისი ტექნოლოგიების ზუსტი დაცვით, ამიტომაც აქვს კომპანიას მომხმარებლის განსაკუთრებული ნდობა, ამასვე ეფუძნება მისი პოპულარობა.

რაც შეეხება, სოციალურ, სასპონსორო თუ საქველმოქმედო პროექტებს. არსებობის მანძილზე კომპანია „ყაზბეგმა“ სახელმწიფო ბიუჯეტში ასობით მილიონი ლარი შეიტანა, ხოლო „ყაზბეგის“ წარმოების მიერ დაფუძნებულმა „გოგი თოფაძის ფონდმა“ ათობით მილიონი ლარის ქველმოქმედება განახორციელა სპორტის, მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სხვა სფეროებში არსებულ პრობლემათა მოგვარებაში თავისი წვლილის შესატანად. ეს თანაბრად გულისხმობს, როგორც არაერთი ავადმყოფისა თუ სხვაგვარად


ახლა ასეთი ჟამი ღება: თუ ქალი ხარ, კაცის ტვირთი უნდა იტვირთო და თუ კაცი ხარ, გვირგვინი უნდა იქცე!



რამ გონზე მოდით, გონს მოეგეთ, მოყვანო. მალე შემოვა ეს საქართველოში და ავიცილოთ სატანის ნიშანი, შეიღებო, ნუ დავიღუპავთ თავს. კარს არის მომდგარი ეშმაკის ნიშანი და დავიცავთ ერთმანეთი, შეიღებო! კავკასიონს ტალახი ჩამორეცხავს. კარგია, თუ შორს, სადმე, სოფლებში მიწები და ადგილები გექნებათ. დაგჭირდებათ მალე მისი დამუშავება და საზრდოს მოყვანა, რათა თავი ირჩინოთ და გამოკვებოთ ერთმანეთი. როცა მოახლოვდება ის საშინელი დღეები, წინასწარ გაგაფრთხილებთ და გზას გიჩვენებთ. ნეტარ იქნება ის ადამიანი, რომელიც ამ დღეებს დაითმენს და უფალს სიხარულით შეხვდება. გეტყვით და გირჩევთ, რა უნდა დათესოთ და რა უნდა მოიყვანოთ. ბევრი ადამიანი პურის ნატეხს ყრის და არაფრად აგდებს. შეინახეთ, გაახმეთ, სანატრელი იქნება, შეიღებო. ჩვენი პატრიარქი პურის ნაფხვენებს და კარტოფილის ნაფცქვენებს ახმობს და დარიალის ხეობაში ინახავს. საშინელი დღეები იქნება და უნდა დაეძლიოთ, შეიღებო, ერთმანეთის დახმარებით და სიყვარულით. მამა გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ, არაერთი ახალი ვირუსი მოგვევლინა. საინტერესოა, კორონა ვირუსს ხომ არ ეხება გაფრთხილება?... დამაფიქრებელია, ფილმში გადმოცემული წმინდანების ყველა წინასწარმეტყველება და ხილვა. საოცარია, მეთოთხმეტე საუკუნის ბიზანტიური ხელნაწერი. ნეტარი ბერი ამბობდა, რომ საშინელი ჟამი ახლოვდება. ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მტრები დაიპყრობენ ჩვენს მიწა-წყალს და დიდი ეკლესია (აია სოფია) აღარ იქნება ღვთის ტაძარი. დიდი უბედურებები დაატყვევდა რომაეების (ბერძენების) მიწას და იგი შეწყვეტს არსებობას ღვთის დიდი განგებულებით. კვდებიან ცალკეული ადამიანები, კვდებიან ქალაქები, კვდებიან მთელი ერებიც, რამეთუ არაფერია ამ ცისქვეშეთში მუდმივი, გარდა მარადიული ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანის მარადიული სულისა. დასავლეთის ქრისტიანების დახმარების იმედი ნუ გექნებათ, — იმის მოლოდინით, რომ ისინი იარაღს აიღებენ და ადგებიან საერთო ქრისტიანული მემკვიდრეობის დასაცავად. ნუ ელით, რადგან დასავლეთის ქრისტიანები არ არიან ქრისტიანები. ისინი წარმართები

არაიან... ყველა უბედურება, რაც კი ყოფილა ქვეყანაზე, ვერ შეედრება იმას, რაც ბოლო ჟამს იქნება. მაშინ დადგება მწუხარების ჟამი მთელ მსოფლიოში, ადამიანები შეიძლებენ ერთმანეთს, ერთმანეთის შიში ექნებათ, ადამიანი ადამიანს აღარ დაუჯერებს. უბედურებები უფრო საშინელი უბედურებებით შეიცვლება. ყოველგვარი სულიერი ცხოვრება განქარდება: ადამიანი იმდენად იქნება გაბოროტებული, გაქვევებული, დაბნელებული და შთანთქმული ერთადერთი საზრუნავით — როგორმე იარსებოს, რომ სულიერი ცხოვრებისათვის აღარც ნებისყოფა ექნება, აღარც ადგილი გულში, და აღარც სულიერი ცხოვრების მასწავლებლები იქნებიან, რადგან ისინიც წუთისყოფელს აუდევნიან და ღვთის ეკლესიები ზოგი ცარიელი იქნება, ზოგი დანგრეული, ზოგიც სულიერად შებიწვული უღირსი მწყემსმთავრებისა და მწყემსების მიერ. უბედურებებისა და ქაოსის ქარ-ცეცხლში ქვეყნად ანტიქრისტე გამოცხადდება. ის მოვა როგორც დამამწყვდიებ-

ლებსა და მცენარეებში, დედამიწის მაცხოვრებლებს თავზარს დასცემს და სასოწარკვეთილებაში ჩაადგებს. მიწის ნაყოფიერება და მისი დამუშავება აღარ იქნება ღვთისგან ნაკურთხი და ამიტომ საშინელი შიმშილი და ყოველმხრივ სრული სიმწირე დაისადგურებს. მხოლოდ “მხეცის” ნიშნის მიმღებთ ექნებათ უფლება იარსებონ გარკვეულ დრომდე, თუმცადა ყველაზე უფრო მონურ და დამცირებულ პირობებში, უკიდურეს სიღატაკში და ღვთისგან ადამიანისთვის იმისთვის, რომ ქრისტეს სახელი სრულიად აღიზოცოს ადამიანის გულიდან. ჭეშმარიტად ჯოჯოხეთური სამეფო დაისადგურებს დედამიწაზე. ღვთის ადამიანები ძალიან მცირედნი შემორჩებიან. დადგება ჯოჯოხეთის მეუფება დედამიწაზე... ქრისტეს ეკლესია სასტიკად იქნება დევნილი, რათა სრულიად აღიგავოს მიწის პირისაგან, რადგან სანამ მადლობის მღვდლის მიერ საღვთო წირვა აღესრულება, დედამიწაზე ეშმაკის მეფობა ვერ აღსრულდება.




ლი და დამაწყვინარებელი, კეთილი მმართველი, რომელსაც ძალუძს მსოფლიოს მოწყობა. სინამდვილეში ის იქნება ყველაფრის მტერი, ყოველგვარი სიკეთის მოტყუე, ტირანი და ბოროტმოქმედი, მისიანი არც ყოფილა ქვეყანაზე და არც იქნება. ყოველი ადამიანი აღრიცხული იქნება; არა მხოლოდ ყოველი საქმე და ცხოვრება, არამედ სიტყვაც და თვით სულიერი ცვლილებაც მუდმივი ზედამხედველობისა და სასჯელის ქვეშ იქნება, ისე, რომ ადამიანი შიშისაგან ფიქრსაც კი გადაიწყვეტა, რომ მის სახეზე უნებურად არ აისახოს ისეთი რაიმე, რაც მსოფლიო მმართველის, ანუ ანტიქრისტეს ხელმწიფებას არ ეთანხმება. ყოველგვარი შრომა, ყოველი გოჯი მიწა და ხორბლის მარცვალი ანტიქრისტეს ძალაუფლების ქვეშ იქნება. მოიწევა სტიქიური უბედურებები და მეტისმეტ სიციხეს მეტისმეტი სიცივე შეცვლის, გვალვას წყალდიდობები; საშინელი გრივანობები და ნგრევას გამოიწვევს; უულკანების ამოფრქვევა, მიწისძვრები, სხეულებები ადამიანებში, ცხოვე-

ყოველი საღვთო ლიტურგია არის ღვთის მყოფობა დედამიწაზე და უწყება ქრისტეს გამარჯვებისა ეშმაკსა და სიკვდილზე. ქრისტეს ეკლესიის დევნა იქნება აშკარაც და ფარულიც, საიდუმლო და ხილული, კერძო და საყოველთაო. ... მტრის ცბიერებას და მის ქმედებებს მხოლოდ მცირედნი შეამჩნევენ, სულიერ ცხოვრებაში ყველაზე მეტად გამოცდილნი. ერეტიკოსები ძალაუფლებას მოიპოვებენ ეკლესიაზე და ყველგან თავის მსახურთა დადგენას შეუდგებიან. კეთილმსახურება უგულვებელყოფილი იქნება. ისინი სულიერი ქურდები არიან, სულიერი სამწყვდელის, ანუ ანტიქრისტეს ხელმწიფებას არ ეთანხმება. ყოველგვარი შრომა, ყოველი გოჯი მიწა და ხორბლის მარცვალი ანტიქრისტეს ძალაუფლების ქვეშ იქნება. მოიწევა სტიქიური უბედურებები და მეტისმეტ სიციხეს მეტისმეტი სიცივე შეცვლის, გვალვას წყალდიდობები; საშინელი გრივანობები და ნგრევას გამოიწვევს; უულკანების ამოფრქვევა, მიწისძვრები, სხეულებები ადამიანებში, ცხოვე-

მიმდინარე წლის 12 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას განაცხადა, რომ მეორედ მოსვლა ახლოსაა ჩვენთან და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა მოვეშვათ მეორედ მოსვლისათვის, აღნიშნულმა განცხადებამ დააფიქრა მორწმუნეები და „აღამფოთა“ ურწმუნოები. აღნიშნული განცხადებიდან ძალიან მალე კორონა ვირუსმა მსოფლიო შეცვალა... გასული საუკუნის დასასრულს, პატრიარქის კურთხევით სტუდია “გრაალის” მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში, „მეორედ მოსვლა“ დაწერილობითა აღწერილი აპოკალიფსის „ნიშნები“ და ის მოვლენები რაც ხდებოდა და ხდება თანამედროვე მსოფლიოში. ფილმი ძირითადად აგებულია წმინდანების წინასწარმეტყველებაზე, ხილვებზე და მეცნიერების დასკვნებზე... მამა გაბრიელი ამბობდა, რომ ბოლო ჟამს ანტიქრისტეს მომხრე ქუჩაშიც შიშველი ივლის, სირცხვილი აღარ ექნება. ქრისტიანი წესიერად ჩაცმული იქნება, ამით იცნობენ და დევნას დაუწყებენ. კაცები ქალად იქცევიან უკვე და ქალები — კაცებად!.. ახლა ისეთი ჟამი დგება, ძალიან დიდი დაფიქრება გვმართებს. თუ ქალი ხარ, კაცი უნდა გახდე და თუ კაცი ხარ, გმირად უნდა იქცე! ბოლოს უფალი საქართველოში სამ თესლს ჩამოაგდებს; პირველი კაცობისთვის — შერცხვებით თავის კაცობის, მეორე ქალებისთვის — შერცხვებით თავის ქალობის, მესამე — ღვთის შიში დაეცემა ერს და მართლა მიხედებიან, რომ ღმერთი არსებობს. მამა გაბრიელს არ მოსწონდა, ქართველები საქართველოდან სხვა ქვეყნებში რომ მიდიოდნენ სამუშაოდ ან საცხოვრებლად. „ეს განსაცდელი მათთვისაა დაშვებული და ისინი კი ამას გაურბიან, — იტყოდა ხოლმე და დაამატებდა, — სამშობლოდან ქართველების გაქცევა ღვთისმშობელს ძალიან სწყინს.

არ მიატოვოთ საქართველო, არ განგირისხდეთ ღვთისმშობელი, არ გაპატიებთ! სადაც ადამიანი დაიბადება, იქ გადმოდის მასზე კურთხევა. ათასი უბედურება მოდის: მიწისძვრები, ინფექციები, დაავადებები. ახალი ვირუსი შემოვა: ვილოცოთ, შეგვიწყალოს უფალმა. თუ ვართ ამის ღირსნი... შეიღებო, არ გაცდუნოთ ბოროტმა: გაარჩიეთ შავი და თეთრი. რწმენას მიხედეთ, მოყვანო, რწმენას, თორემ ძალიან გიგიჭირდებათ მალე. შეიღებო, აღარ არის (ტაძრების) შენების დრო, აღარ, მოყვანო. რაც არის აშენებული, ისიც მალე ძალას დაკარგავს და აღარ იქნება ლოცვა იმ ადამიანებისთვის, ვინც წყვეულის ბეჭედს მიიღებს... ჩიპი აქაც მალე შემოვა, მოყვანო. ხალხს ვერაფრით დაიფრთხილებენ, მორწმუნე ერზე მაქვს საუბარი, თორემ სხვაზე რა გითხრათ, იმას მოიგონებენ, რომ ვითომცდა ეს ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის, პატარებისთვის იქნება საჭირო, რომ არ დაიზოცონ, რომ არ შეხვდეთ ვირუსი და არ დაავადდნენ სხვადასხვა დაავადებისგან. ვიცი, ბევრი მორწმუნე ჩაიდგამს და ბევრი სამღვდლო პირი ცდუნდება: ვერ დათმობენ კეთილდღეობას და მერე ვაიმე, შეიღებო. დაიჩივებიან და აი, მერე, უკვე გამოჩნდება სატანა. ქართველ ხალხს, ცუდი ზნე აქვს: ყველაფერ ცუდს ჩვენი ერი ითვობს. მაგ-



COVID-19 – ეპიდემია თუ გლობალისტიკის მიერ დაგეგმილი პროექტი მსოფლიოს ახალი ეკონომიკური წესრიგის დასაფარებლად?

კორონავირუსს, მსოფლიო ომის მსუბუქ ვერსიად მიიჩნევენ ცნობილი ბლოგერი, პოლიტოლოგი მლ მირიანი (ანატოლი მსამიანი). „კორონავირუსი რომ არ არსებებდა, აუცილებლად უნდა გამოეგონებინათ, რადგან მისი გამოჩენა გამოვლენა, მნიშვნელობა არ აქვს სტიქიურად მოხდა თუ პროექტირებული იყო, უკიდურესად დროული აღმოჩნდა. სასურველად აღვიღას და სასურველ დროს, ნებისმიერ ომს აქვს თავისი პოლიტიკური მიზანი და ამოცანა. გამარჯვებულთა აზრით, ომის შემდგომი სამყარო ომამდელზე უკეთესი უნდა იყოს. მმართველი გლობალური ელიტების თვალსაწიერად, „კორონავირუსამდე“ სამყარო ცუდი იყო, რადგან „ოქროსი მილიარდის“ კონცეფციამ მუშაობა შეწყვიტა. გლობალური ეპიდემია – იგივე ომია, ოღონდ ქაღალდებზე თერმობირთვული დარტყმების ნაცვლად, რაც ფერფლად აქცევდა სულიერსა და უსულოს, ვირუსი ნეიტრონული ბომბის ანალოგად იქცა. ეს უკანასკნელი მხოლოდ ცოცხალს კლავს და არაფერს უშავებს მატერიალურ ფასეულობებს. თანაც არც არის აუცილებელი, ეპიდემია მასობრივი მკვლელობის საფრთხეს წარმოადგენდეს, გადარჩენილი მოსახლეობა თავადვე დათანხმდება საკუთარი უფლებების მნიშვნელოვნად დათმობა-შესწავლას“, აცხადებს ექსპერტი.

გლობალისტების ასე ვთქვათ, კანიბალურ გეგმებზე საუბრობს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, „რუსეთის ეკონომიკური საზოგადოების თავმჯდომარე მალენტინ პატასონი“. „რომაც ქვეყანამ განაცხადა, რომ ნაღდი ფული კორონავირუსის გადატანა, ამიტომ მიღებული იქნება ზომები, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს ნაღდი ფულის გამოყენება. ჩინეთმა ამ მიმართულებით უკვე გადაადგა კონკრეტული ნაბიჯები, სომხეთი მთელი მსოფლიოს გასაგონად აუღერებს სომეხი ექსპერტების ანალოგიურ განცხადებებს. ადრეც არაერთხელ მისაუბრია, ვის და რატომ ჭირდება უნაღდო ანგარიშსწორებაზე გადასვლა. მთელს სამყაროში შეინიშნება ნაღდი ფულის ნიშნების განდევნის ტენდენცია, სხვა „არგუმენტებთან“ ერთად ეს ვერსიაცაა, რომ ქაღალდის ფული ინფლაციის გადამტანია. ადრე ეს არ-



გუმენტი სადღაც მეოცე ადგილზე იყო, ახლა პირველზე გადმოიტანეს. უამრავი ფაქტორი მოწმობს, რომ კაცობრიობის ციფრიზაციის გეგმის ერთ-ერთი ცნობილი „რეალიზატორი“ სომხური ლობია. მრავალგანშტოებიანი სომხური ეთნოპოლიტიკური ქსელი, რომელსაც კონტროლქვეშ ფავს მოქცეული პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური, მედიარუსურები, მოდებული ბევრ ქვეყანას. მათ შორისაა რუსეთიც, მსოფლიოს ერთ-ერთი სასულიერო (სულიერების) ცენტრი, რომელსაც შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს გლობალური მმართველობის გეგმებს. აქ ეთნიკური სომხები წარმოდგენილი არიან სახელმწიფო მმართველობის წამყვან პოზიციებზე, მათ შორის საინფორ-



მაციო ტექნოლოგიების, ფინანსების, მედიასფეროში და ა.შ. ეს არის ე.წ. მსოფლიო მმართველობის „მეხუთე კოლონა“, რომლის ცენტრიც ანგლოსაქსურ სამყაროშია“.

„კორონავირუსმა მკაფიოდ გამოაჩინა მსოფლიოს ციფრულ ფორმატზე გადასვლის დაქარავეული ტენდენცია. იმასაც ვხვდებით, რომ შემთხვევითი სულაც არ ყოფილა კრიზისამდე ცოტა ხნით ადრე, რუსეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე სომხური ფესვების მქონე საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტის მიხეილ მიშუსტინის დანიშვნა. შემდეგ ვხვდებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროც, ისევე როგორც რუსეთის საბანკო მიმართულებები და მედიასაშუალებები, სომხების კონტროლქვეშ როგორ შექურდა“, აცხადებს ცნობილი ეკონომისტი. მისი სიტყვებით, მიუხედავად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის (კლანტარიანი) მნიშვნელოვანი ძალისხმევით, მიეჩქმალა ერევნის ანტირუსული მანევრები. ყველაფერი შეიცვალა მიხეილ მიშუსტინის გაპრემიერების შემდეგ, უმაღლესი რედაქციის მიშუსტინ-ფაშინიანის ტანდემი და რუსულმა მანქანამ, მიუხედავად ერევნის პროდასავლური კურსისა, გაორმაგებული ენერჯით დაიწყო სომხეთის ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს სომხების „მოღვაწეობით“ ზარალი ადგებათ, მათი პოზიციები ძველებურად მყარი და პერსპექტიულია“.

„საქართველოს განვითარების ლაბორატორიის“ დირექტორი, საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი ირაკლი გოგავა პრესასთან ინტერვიუში აცხადებს, რომ კორონავირუსის პანდემია პლანეტარული მასშტაბის მედიკალინური პროექტია, რომლის მიზანი ეკონომიკის გაჩერება და აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე გავლენის მოხდენაა, ამ მედიკალინური პროექტის უკან კი, გლობალისტები დგანან. მოგეხსენებათ, ბრიტანეთის ექსპრემიერმა გორდონ ბრაუნმა პანდემიის ფონზე განცხადება გააკეთა, ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად, მსოფლიოს დროებითი მმართველობა ჭირდება. იგივე გაიმეორა გერმანიის პრეზიდენტმა ვალტერ



შტაინმაიერმა. ირაკლი გოგავას განცხადებით, ბრაუნის ბრიტანელი ლეიბორისტების ღერძული ფიგურაა, უნიკალური განათლებისა და ჯეკუის პატრონი. ძლიერი ფიგურაა შტაინმაიერიც. თუმცა აქ საინტერესო მსოფლიო „მამობაზე“ პრეტენზიის მქონეთა გეგმებია საინტერესო, რაზეც პროფესიონალი ექსპერტი საინტერესოდ საუბრობს. ირაკლი გოგავა: „გლობალისტები ცდილობენ ეს ვითარება სათავისოდ გამოიყენონ და გლობალური მთავრობის იდეის პოპულარიზაცია მოახდინონ. რაც შეეხება ეკონომიკური კრიზისის მართვას, გლობალური მმართველობის შემოღება კი არა, გლობალური საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური სისტემის გადახედვაა საჭირო, რომელიც უფრო სამართლიანი უნდა გახდეს, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მიმართ, რომლებიც ვა-



ლებში იზრჩობიან. „ვაშინგტონის კონსენსუსზე“ დამყარებული სისტემა, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ, მდიდრების გამდიდრებას და ღარიბების გაღარიბებას გულისხმობს. თუ ამ სისტემის ცვლილება აქვთ მხედველობაში, გეგმა წარმოადგინონ და ვიმსჯელოთ“, – რაც შეეხება გლობალური მთავრობის შირმას ამოფარებულ რეალურ გეგმას და მედიკალინური პროექტის ხანგრძლივობას, გოგავას განცხადებით, „რეალურად პლანეტარული მასშტაბის კონტროლი სურთ. საერთაშორისო დონეზე კოორდინაცია დღესაც არის – მეცნიერები, მედიკოსები, ქვეყნები პანდემიის შესახებ ინფორმაციებს, ყოველდღიურად ცვლიან. რა სურთ გლობალისტებს, უფრო ეფექტუ-

დაწყების შემდეგ ტრამპის რეიტინგმა 8-10%-ით მოიმატა. მან კონგრესს 2,2 ტრილიონი დოლარის ოდენობის უპრეცედენტოდ დიდი გეგმა მიადგინა. ამას გარდა, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ მას დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა და მზაობა გამოთქვა თუ საჭირო გახდა, აშშ-ის ფედერალურ ბიუჯეტს დამატებით ოთხი ტრილიონი გამოუყოფოს. 2020 წელს, ამერიკის ფედერალური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 4,7 ტრილიონი იყო, ხოლო შემოსავლები 3,6 ტრილიონი. რეალურად გააორმაგეს ხარჯვითი ნაწილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამერიკა ეკონომიკურ კრიზისს დაძლეოს და ტრამპს ეკონომიკის რეცესია ნოემბრის არჩევნებისთვის არ ექნება, თუმცა ეკონომიკური პრობლემები გარდაუვალია. აქედან გამომდინარე, გლობალისტები მედიასტრატეგიას შეცვლიან და აქცენტს ეკონომიკურ ან/და სასურსათო კრიზისზე გადაიტანენ. აპრილი-მაისი უმნიშვნელოვანესი თვეებია, უმრავლეს ქვეყნებში ამ დროს იწყება ზენა-თესვა. მნიშვნელოვანია, ისინი ამ საშუალებებს თავს როგორ გაართმევენ. გლობალისტები მსოფლიო სასურსათო კრიზისის შექმნას შეეცდებიან და ამას მედიის საშუალებით გააკეთებენ“.

გოგავას განმარტებით, შეიძლება სასურსათო კრიზისის იმიტაცია მოახდინონ, ეს სცენარიც



რი ელფოსტის პროგრამის შექმნა?! არ მგონია, ეს იყოს მათი მიზანი. მედია-პროექტის ჯერ მხოლოდ პირველი ფაზაა, სცენარის ავტორებს დონალდ ტრამპის დასუსტება სურდათ, თუმცა პირიქით გამოვიდა, ზოგიერთი მონაცემით, ეპიდემიის

მეორე ფაზა იქნება, რაც ხალხის დამშევას გულისხმობს – „საკვების სანაცვლოდ მშვიერი მასების რაიმეზე დათანხმება მარტივია. გლობალისტები ბიბლიურ სიუჟეტებს კარდად იცნობენ და თავიანთ პროგრამებს ბიბლიური სიუჟეტის

მიხედვით ადგენენ, რათა პროცესებს მეტი მისტიკა, ძალა და დაძაბულობა შესძინონ.

ირაკლი გოგავა: „საქართველოში დღეს სურსათის 80%-ზე მეტი იმპორტულია. გასულ წელს 1,2 მილიონი ჰექტარი მიწიდან, მხოლოდ 207 ჰა დაიხნა. ეს ლიბერალური, თავისუფალი ბაზრის კონცეფციის შედეგია, რომელსაც თავს გვახვევენ და 2004 წლიდან, ბრძოდ მივყავით. მაგალითად, 2000 წელს, 100.000 ჰა-მდე იხენებოდა, კომუნისტების დროს 1,2 მილიონი ჰა. მიიწევა, რომ წლის განმავლობაში ერთი ადამიანის გამოსაკვებად 0,6 ჰა ნათესია საჭირო. გამოდის, რომ დღეს მიწათმოქმედებით მხოლოდ 350.000 ადამიანს გამოკვება შეეძლება, მეხილეობით, მესაქონლეობით, რძის პროდუქტებით, მეფრინველეობით, მეთევზეობით, შინამეურნეობების ალურიცხავი პროდუქტით კიდევ 700.000 ადამიანს. ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, საკუთარი პროდუქტით ერთ მილიონამდე ადამიანი შეეძლება გამოკვებოთ. დანარჩენი 2,7 მილიონი კი იმპორტულ საქონელზე დამოკიდებული. დღეს რას ხდება? სოფლის მეურნეობის მინისტრი იმპორტულ საქონელზე ფასებს არეგულირებს, მთავრობა კი ათი მილიონი ლარით იმპორტული საქონლის სუბსიდირებას ახდენს. მედიკამენტებით მალე შეიძლება სასურსათო კრიზისი შექმნან, დაახლოებით ისე, როგორც კორონავირუსი. სოფლის მეურნეობის მინისტრს რა საქმე აქვს იმპორტულ საქონელთან? ის ახლა რეგიონებში რუკებთან უნდა იდგეს და გეგმავდეს, რომელი ტექნიკა რომელ მიწის მასივს დაამუშავებს.“

ირაკლი გოგავას აზრით, კორონავირუსმა მთელ სამყაროში ადამიანების ცხოვრების წესი შეცვალა. დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ოთხი მთავარი დასკვნა უნდა გავაკეთოთ, პირველი – მოსახლეობის საინფორმაციო უსაფრთხოება, კრიზისის დროს მწყობრად გაწერილი წესებით უნდა რეგულირდებოდეს, რადგან ამ კონკრეტულ სიტუაციაში პრობლემების 70%-ს მოსახლეობაზე საინფორმაციო ტერორი წარმოადგენს. მეცნიერული ფაქტია, რომ ფსიქოლოგიური სტრესის დროს ადამიანის იმუნური სისტემა სუსტდება და დაავადებებისადმი უფრო მოწყვლადი ხდება. ვალდებულებები ვართ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება საკუთარი ძალებით უზრუნველყოთ; კეთილდღეობას, სიმდიდრეს და სამუშაო ადგილებს მხოლოდ რეალური სექტორი, ანუ მრეწველობა ქმნის. იმპორტის უარყოფითი სალო, რომელიც ხუთი მილიარდი დოლარი გვაქვს, სიღარიბის, უმუშევრობის და კრიზისების დროს, არასტაბილურობის წყაროა.

დღეს განვითარებადი ქვეყნების მიმართ იყენებენ „ვაშინგტონის კონსენსუსის“ მიდგომებს და ის განვითარებადი ქვეყნების მიმართ ამკარად უსამართლოა. ეს სისტემა ემსახურება მდიდარი ქვეყნების და მდიდარი კორპორაციების კიდევ უფრო გაძლიერებას. განვითარებადი ქვეყნების წინსვლა კი მინიმალურია, ხშირ შემთხვევაში უკუსვლაც არის. აუცილებელია ახალი სამართლიანი კონსენსუსის მოძებნა. სუსტი ქვეყნების განვითარება ხელოვნურად არ უნდა იბლოკებოდეს. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიოში მეტი



სტაბილურობა იქნება და მიგრანტთა ნაკადები არ იქნება მასიური. შრომის საერთაშორისო დანაწილების დღევანდელი მოდელი მიუღებელია. რატომ უნდა იყოს ჩინეთში სამი მილიონი ქარხანა, ხოლო საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ათეული?! ვფიქრობ, გავროს პლატფორმაზე, ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით, ახალი საერთაშორისო სისტემის, სამართლიანი შრომის საერთაშორისო დანაწილების წესები და უსაფრთხოების პრინციპები უნდა იქნას შემუშავებული. საწარმოო ჯაჭვებში მონაწილეობა ყველამ უნდა მიიღოს. მულტინაციონალურ კომპანიებს ზრდის ზღვარი უნდა დაუწესდეთ და მედიის ფლობა მკაცრად რეგულირებული უნდა გახდეს. არ შეიძლება მედიას ფლობდეს იარაღის მწარმოებელი ან წამლის მწარმოებელი. დღეს მედიიდან სიმართლე რომ გაიგო, ათამდე რესურსი უნდა წაიკითხო, შემდეგ საკუთარი განათლებისა და გამოცდილების მეშვეობით, ანალიზი უნდა გააკეთო და მიახლოებით სიმართლეს მიაგნებ. ახლა ისმის კითხვა, რამდენს აქვს მსოფლიოში მსგავსი ანალიზისთვის საჭირო დრო, ცოდნა და გამოცდილება? მსოფლიო მასშტაბის მედიაციისა და რეგულაციების შემოღება, პირდაპირ ეროვნული უსაფრთხოების თემას უკავშირდება, თანაც ყველა ქვეყნისთვის.

ამერიკა ჩინეთს, ჩინეთი და რუსეთი ამერიკას ადანასაულებენ ვირუსის გავრცელებაში. მსოფლიო პოლიტიკის ისტორიას რომ გადავხედოთ, მას ომებისა და შეთქმულებების ისტორიაც კი შეიძლება ვუწოდოთ. რთულია იმის თქმა, ვინ და როგორ გაავრცელა ვირუსი, კითხვის ნიშნები ნამდვილად ჩნდება. თუ ვირუსი ოქტომბრიდან ვრცელდებოდა უხანში და მან პანდემიის შესახებ განცხადება მხოლოდ 31 დეკემბერს გააკეთა, ცხადია, დგება ჩინეთის პასუხისმგებლობის საკითხი და მათ შორის, დაზარალებული ქვეყნებისთვის კომპენსაციის თემაც. ამას დიდი ქვეყნები ერთმანეთში გაარკვევენ, ჩვენ კი ჩვენ თავს მივხედოთ.

საქართველომ პირველ რიგში, ადგილობრივი სურსათის წარმოება უნდა დაიწყო, თანაც დაუყოვნებლივ, ამის გადადება არ შეიძლება. ვერცერთი ხელისუფლება ვერ გაუძლებს მშვიდი ხალხის ზეწოლას. მეორე – კვების მრეწველობის განვითარება აუცილებელია, რადგან მხოლოდ მხოლოდ მიწათმოქმედება ვერ იქნება რენტაბელური და ბიუჯეტს ტვირთად დააწვება. მესამე – მთავარი აქცენტი, იმპორტჩანაცვლება და სამუშაო ადგილების შექმნაზე უნდა მოხდეს.“

მანანა სუსიოვილი 599 51 28 24

„რა ამოწყდეს გლეხიკასი საქართველო დაკაბუნდეს!“

მოსალოდნელი ეკონომიკური კატასტროფისგან საქართველოს ვერავინ და ვერაფერი ვერ იხსნის, გარდა ქართული სოფლისა

თბილისი კარგა ხანია სოფლებიდან გამოქცეული გლეხების ქალაქად იქცა.

გლეხები ტაქსობენ, სანტექნიკოსობენ, პარკეტნიკობენ, ელექტრიკობენ, წვრილმან ვაჭრობას ეწევიან, მათ მიერ მიტოვებულ ზვრებსა და ყანებს კი სარეველა ტაქს.

ნაწილმა გლეხობისა, რომელმაც თბილისში ვერ მოიკიდა ფეხი, ქვეყანა დატოვა და ლუკმა-პურის საძიებლად სხვა ქვეყნებს მიაშურა.

თბილისი ერთგვარი „პერევალონი პუნქტი“ ფუნქციას ასრულებს და სხვადასხვა სახელმწიფოებს იაფი მუშახელით ამარაგებს, ქართული სოფელი კი უფრო და უფრო ცარიელდება.

არადა, პოეტი გვაფრთხილებს, „რა ამოწყდეს გლეხიკაცი, „საქართველო დაკაბუნდეს“ –ო.

არც მტრის ლაშქარი შემოგვსევია, ამ კორონავირუსამდე არც რამ განსაკუთრებული ჭირი და სახადი დაგვრევია, მაგრამ გლეხიკაცი, გლეხკაცობა მაინც „ამოწყვეტის“ პირას არის, მიზეზი ამისა კი ის გახლავთ, რომ მას ჰყავს კორონავირუსისათვის უჩინარი და უხილავი, მაგრამ უკიდურესად სახიფათო და ვერავინ მტერი, სახელად გლობალიზმი და გლობალიზაცია.

სწორედ იმ სისტემამ და ეკონომიკურმა ბერკეტებმა, რასაც ევროდნობა გლობალიზმში, „ამოწყვეტა“ ქართველი გლეხკაცობა და გააჩანა და გააპარტახა ქართული სოფელი, რამაც დააბუნა, დაასუსტა და ენერჯისგან დაცალა ქართული სახელმწიფო.

იყო ასეთი ბიზნესმენი, კახა ბენდუქიძე — კაცი, დიდად მკვნიბელობა, არანაკლებ დიდი მკვნიბელობის, „ნაციონალების“, გურუ და მასწავლებელი, რომელმაც პირდაპირ განაცხადა: სოფელი საერთოდ არ გვჭირდება, ჰა და ჰა, მისი წვლილი ეკონომიკის განვითარებაში შეიძლება 5 პროცენტით განისაზღვროსო.

დიდ მკვნიბელებს არაფერი შემოქმედია და არაფერი წამოცდენია — მან შეგნებულად, მიზანმიმართულ-



ლად გაუგორა კოჭი გლობალიზტებს და ნეოლიბერალებს და დიდად უთხრა: საქართველო თქვენია, მშვიდობაში მოიხმარეთო.

გლეხობის დიდი მიგრაცია სოფლებიდან უმიზეზოდ არ მომხდარა — ქართველ გლეხს, რომელიც თავისი პროდუქციის გაყიდვას ცდილობდა, ბაზრის კარებთან იმავე სახის უცხოური პროდუქცია დახვდა, რომელიც მის საქონელზე გაცილებით იაფი ღირდა.

ასე განმეორდა რამდენიმეჯერ და გლეხმაც საბოლოოდ ჩაიქნია ხელი სოფელზე და გადარჩენის ალტერნატიული გზების ძებნა დაიწყო: ზოგმა დიდ ქალაქებს მიაშურა, ზოგი საზღვარგარეთ გაიქცა, უპატრონოდ დარჩენილ მიწას კი ნელ-ნელა, თანმიმდევრულად უცხოელები დაეპატრონენ.

დაინგრა ოჯახები, დაირღვა კავშირი თაობათა შორის, რაც ქართული ოჯახის დვრიტა და დუდაბი იყო.

დედა სხვაგან, მამა სხვაგან, შვილები ბებიებთან და ბაბუებთან. უღელმთიან გაზრდილი, სულიერად ტრამპირებული ბავშვების მთელი თაობები წამოვიდა უკვე, რომლებიც ვერასოდეს შეიძენენ და ვერასოდეს დაიბრუნებენ იმ უმთავრესს, რაც მშობლებმა თავიანთ შვილებს ესტაფეტასავით უნდა გადასცენ.

იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ეს

ყველაფერი, ეპოქის სულისკვეთებიდან და სტილიდან გამომდინარე, თავისთავად, ინერციით, ავტომატურ რეჟიმში ხდება.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს ნამდვილად არ არის ასე — მთელი ეს პროცესები თავიდან ბოლომდე მართულია და მათემატიკური სიზუსტით არის გათვლილი იმ ძალების მიერ, რომლებიც დღეს, ფაქტობრივად, მსოფლიოს ეკონომიკას მართავენ.

ძალიან ვრცელი და დიდი თემაა ეს და ამ თემის გაშლა ამ პატარა წერილში, ცხადია, შეუძლებელია, თუმცა ვიტყვი ერთს: კორონავირუსმა დღეს გლობალისტური და ნეოლიბერალური კონცეფციები ფაქტობრივად ამოაყირავა და კაცობრიობა სრულიად ახალი რეალობის წინაშე დააყენა.

საქართველოს ხელისუფლებას დღეს აქვს უნიკალური შანსი, აქვს ლოგიკური მოტივი და საბაბი, დაიწყო ახალი ტიპის, ახალი ყაიდის საქართველოს მშენებლობა და ამ მიზნის განხორციელებისთვის მთავარ პლაცდარმად ქართული სოფელი გამოიყენოს.

მოსალოდნელი ეკონომიკური კოლაფსისგან საქართველოს ვერც სავალუტო ფონდი იხსნის, ვერც მსოფლიო ბანკი, ვერც სხვა საერთაშორისო ინსტიტუტები, ვერც პარტნიორი სახელმწიფოები — საქართველოს ისევ და ისევ ქართული სოფელი გადარჩენის, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მთავარი აქცენტები სოფლის აღორძინებაზე გაკეთდება.

მხოლოდ მოწოდებები საქმეს ვერ უშველის — საჭიროა დაიდოს კონკრეტული გეგმა, თუ რით და როგორ შეიძლება ქართული სახელმწიფო ქართულ სოფელს დაეხმაროს.

დარწმუნებული ვარ, ეს დახმარება რამდენიმე თვეში დიდ სიკეთედ და შევებად დაუბრუნდება საქართველოს.

„საერთო გაზეთი“



ამას წინებზე ნიკა გვარამიამ პირდაპირ ეთერში აღიარა, ბავშვობაში „ჩაჯვის“ მესხდნენო... ბავშვობაში რაღაც ცუდს რომ გავაკეთებდი, მეღადავებოდნენ, ჩაჯვი ხარო. ჰოდა, პირბადე, რომელიც ქართველებმა გამოუშვეს, იგივე შთაბეჭდილებას ტოვებს, იგივე ჩაჯვაო.

კარგად ვერ გაიგეთ, რას ბოდილობს გვარამია, ხომ?

ავიხსნით... თუმცა მანამდე 100 მილიონი ბოდიში უნდა მოგიხადოთ, ბილწისტყევაობა მომიწევს, სხვანაირად არ გამოვა: ესე იგი, ბავშვობაში ხშირად ვიჯვამდი და ამიტომ შემარქვეს „ჩაჯვი“, ანუ ჩაჯვადი. სხვათა შორის, ჩვენ ეს აქამდეც ვიცოდით, ვხედავდით და ვგრძობდით. საიდან? ალბათ გახსოვთ, საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში გვარამიამ ჩაიხვია, მძღნერში ვართ, მეგობრებო, მძღნერში. აი, სწორედ მაშინ მივხვდით, რომ მაგას ბავშვობი-

სენებო, რომ ჩვენს ქვეყანაში, ანუ გურჯისტანში იმაზე მეტი ჩაჯვი ყოფილა, ვიდრე მე და თვევენ გვეგონა. აი, მაგალითად, ჩაჯვი სანიკიე ჩაჯვი აქუბარდიას ბოსლიდან აცხადებს, სახელმწიფო სტრუქტურების გამართული მუშაობა ჩაჯვი სააკაშვილის დამსახურებააო. თქვენი არ ვიცი და... ქლიავი დანუტულ პენისად ასე სწრაფად გადაქცეულიყოს, აქამომდე არსად მინახავს!

მაგალითად, ჩაჯვი (ლევან) ბერძენიშვილი ჩაჯვი გვარამიას ბოსლიდან აცხადებს... ისაო, ბი-



ჩაჯვიონალური მოძრაობა და გურჯისტანელი ჩაჯვები



დან ჰქონდა გამოყოფილი რაღაც დაფიქტი.

და მთავარი ახსნა: გვარამიამ საქართველოში შეკერილი პირბადე თავის ჩაჯვულ „ტრუსიკს“ შეადარა, თითქმის იგივეაო. თუმცა მას ერთი დაავიწყდა — ჩაჯვიმ რაც არ უნდა აიფაროს ცხვირზე, ყველაფერს მძღნერის სუნი ექნება.

როდის ჩაიჯვა გვარამიამ ბოლოს?

სწორედ მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილმა კოვიდთან ბრძოლის ფონდში 100 მილიონი ლარი გადაიტანა. პრინციპში, რა, მარტო „ჩაჯვიმ“ ჩაიჯვა? არა, ამ მომენტში მთელმა „ნაცსასტავმა“ ჩაისვარა!

რამდენიმე დღე დუმდნენ, ხმა ვერ ამოიღეს... შემდეგ კი ისევ ძველებურად განაგრძეს თავიანთი პოლიტსამარის გათხრა თეორიული წერაქვით.

როგორ გამოხატა ჩაჯვიმ თავისი ჩაჯვულობა? გამოხატა ტელევიზორში, აიფარა მიჯმულ სახეზე „სეტკა“, შეაყარა აჯვი გაბუნამ ცარცი, ფევილი თუ ყვავის სკლინტი და მას შემდეგ, რაც „სეტკამ“ ბლომად გაატარა, გამოაცხადა: აპა, ხალხო, ნახეთ, როგორი უხარისხოა ამ ხელისუფლების მიერ გამოშვებული პირბადეო. რატომ „სეტკა“, ჩაჯვის ხომ ის პირბადე უნდა აეფარებინა, რომელიც საქართველოში გამოუშვეს? არა, ის რომ აეფარებინა, სხვანაირ შედეგს მიიღებდა და მისი ექსპერიმენტიც ჩაფლავდებოდა!

ბატონებო და ქალბატონებო, კიდევ ერთხელ გიხდით 100 მილიონ ბოდიშს, სწორედ იმდენს, რამდენი მილიონიც ბიძინა ივანიშვილმა გადაიტანა მოსახლეობის დახმარების ფონდში და მოგახ-



ბინა ივანიშვილის 100 მილიონი შეიძლება ნამდვილი იყოს, ან შეიძლება ნამდვილი არ იყოს, თუმცა მგონია, რომ ნამდვილია, მაგრამ რომც არ იყოს, მინც არ მგონია ნამდვილი. ხომ მაგარი კომენტარია? ამ დროს ჩაჯვი გვარამია სასოებით უყურებდა თავის რესპონდენტს და თან თავის ქიცინით ეთანხმებოდა.

ჩაჯვი მელა იძახის, ბიძინა ივანიშვილს არაფერი ჩაურიცხავს, 100 მილიონი ერთი ჯიბიდან ამოიღო და მეორე ჯიბეში გადაიღო, ხალხამდე არაფერი მივაო. ამავე დროს, ჩაჯვები იძახიან, ეს შავი ფულია, ივანიშვილმა ნება იბოძოს და მისი წარმომავლობა წარმოადგინოს... ჩვენ წარმოგვიდგინოსო, ჩაჯვებსო. მაგალითად, ჩაჯვი ნათელაშვილი უფრო შორს მიდის და აქეთ გვაპუნათებს, ივანიშვილს 6 მილიარდზე მეტი აქვს, დანარჩენს რატომ არ თხოვთ? აი, ზუსტად ვერე ამბობს, მაგან 100 მილიონი კი ჩარიცხა, მაგრამ 6 მილიარდი კიდევ დარჩა, მიუვარდით და წაართვითო. ნუ, ამას მხოლოდ ჩაჯვი თუ მოიფიქრებდა, მეტი ვერავინ!

აუსილავალი ბადახვევა

„ჩაჯვიონალური მოძრაობის“ წევრები, ე.წ. ლიდერები და მათთან გათანაბრებული პირები ძალიან ნერვიულობენ იმაზე, თუ რატომ არ ჩანს ბიძინა ივანიშვილი. აი, სწორედ ამიტომაც ეწვია ჩაჯვი გვარამიას მიკროფონიანი წარმომადგენელი ჭორვილას. მართალია, მან ბიძინა ივანიშვილი ვერ იბოვა და დაასკვნა, სახლში იმალებაო, საწოლის ქვეშაა შემძვრალიო, შიშით კანკალებსო, გარეთ ვერ



გამოდისო, არავის ეკონტაქტებაო, მაგრამ „გამჭრიახმა“ წარმომადგენელმა მინც გამოძებნა ჭორვილელი ლოთები, რომლებმაც საზოგადოებას მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდეს: ჰო, კი, ბიძინა უბანში აღარ გამოდის, იმალებაო, გვემალებაო, ჩვენთან ერთად ლუდს აღარ წრუპავსო, აღარც პაპიროსს ეწვეაო.



ისე, რაღა დაგიმალთ და... ჩვეულებრივი ჩაჯვები ყველგან არიან, ჭორვილაშიც, ცლუნკაანშიც და ზემო მაჩხანაშიც.

იცით, ყველაზე დიდი უბედურება რა არის? ის, რომ ქართული მედიის (ე.წ. ოპოზიციური არხები) ერთი ნაწილი მხოლოდ ჩაჯვების პიარით გახლავთ დაკავებული. ყველაფერს ეკითხებიან მხოლოდ ჩაჯვებს... მაგალითად, მედიცინაზე ალაპარაკებენ ჩაჯვი ხეიჩიას, ჩაჯვი შუბლაძეს, ჩაჯვი ვაშაძეს, ჩაჯვი ჭიაბერაშვილს და მათთანებს. არადა, ამ ჩემისებს, არც ერთს არ გააჩნია შესაბამისი განათლება. ზოგიერთი მეტყვის, ჩაჯვი ჭიაბერაშვილი

ხომ იყო ორი თვე ჯანდაცვის მინისტრიო? ჯერ ერთი, ეგ სპეციალობით „ფალოსოფოსია“ და რომ იყო, არ უნდა ყოფილიყო, დანაშაული იყო... მეორეც — თუ ეგრეა, მაშინ კობა ხაბაზს რატომ არ ეკითხებიან არაფერს, ეგეც ხომ იყო აჭარის ჯანდაცვის მინისტრი ლამის ერთი წელიწადი? არა, რატომ არ ეკითხებიან, კაცია თუ ჩუჩელა? აი, ეგ თუ ვაპატიო ქართულ მედიას, არ ვიცი, რააა!

ჩაჯვი გამზარდია — ალბათ გახსოვთ, ეს მუტრუკი, ბიძინა ივანიშვილთან ინტერვიუების ციკლი რომ მიჰყავდა. პრინციპში, იმდენაც უნიჭო გამოდგა, მალევე დახურეს, მაგრამ ამან მინც იფიქრა, უკვე კაცი ვარო და აუშვა აფრები, დაგვიწყო აქეთ ჭკუის სწავლება. ჰოდა, ჩაჯვი გამზარდია აცხადებს, 100 მილიონი რა არიო? არაფერიო, 6 მილიარდის მხოლოდ 6 პროცენტით... ჰმ, გადმოგვიგლო



რაღაც კაპიეკები და გარეთაც არ გამოდისო. ეს ამბობს, კაცო, ესა, თიანეთში ერთი პატარა ქოხი რო აქ, კიტრს რომ დათესავს ხოლმე, ორ „ბანკაში“ მწნილს რომ ჩადებს ხოლმე და მარტო „ფეისბუქში“ დებს, ნახეთ, რა მაგარი ვარო. აი, ეს გახლავთ ნიმუში იმისა, ადამიანური ჯიშის წარმონაქმნმა საერთოდ რომ არ იცის თავისი ადგილი. სხვათა შორის, ეს ტუტუცი „ჩაჯვიონალური მოძრაობის“ გეგმის ნაწილს ახმოვანებს, ანუ აკინებს 100 მილიონის მნიშვნელობას — ეგ არაფერია, მხოლოდ 5-6 პროცენტიაო.

შემდეგი ჩაჯვი მდებრობითი სქესისაა, თუმცა ხმა მამრობითისა აქვს. ეს გახლავთ ჩაჯვი ორჯონიკიძე. მისი მტკიცებით, კახა

კალაძემ ჯერ კიდევ იანვრის დასაწყისში იცოდა კორონას შესახებ, რადგან 4 იანვარს კუბოები შეისყიდაო.

„ხომ გახსოვთ, ამა წლის 4 იანვარს კალაძემ მოულოდნელად კუბოები რომ მოიმარაგა? მაგ დროს იტალიაში ჯერ არ იყო კორონა, მაგრამ ჩინეთში ის უკვე მძინვარებდა. კალაძე მილანის (ბერლუსკონის) მაფასთან ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო, კორონავირუსის ეპიცენტრი იტალიაში კი სწორედ მილანი გახდა სულ რაღაც ორ თვეში. დამთხვევებია? შესაძლოა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რომ საერთაშორისო კრიმინალთან ყოველთვის მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა, ნებისმიერ კონსპიროლოგიურ ვერსიას არსებობის უფლება აქვს“.

ევეჰ... ზოგიერთ ჩემს თანამემამულეს ეგონა, ამ ფაქტის პერიოდში სავლე პავლე, ხოლო



ნეხვი ერბოდ გადაიქცა და ყოფინა დასცა, ნახეთ, „ნაცები“ გამოსწორდნენო.

არ მოხდა ასე იმიტომ, რომ სავლე სავლეა, პავლე -პავლე, ნეხვი-ნეხვი და ერბო — ერბო. მით უმეტეს, ძალიან რთულადაა საქმე, როცა გურჯისტანში გვეყვანან ჩაჯვები.

და ბოლოს... კიდევ ერთხელ გიხდით 100 მილიონ ბოდიშს, სწორედ იმდენს, რამდენიც ბიძინა ივანიშვილმა გადაიტანა კორონასთან ბრძოლის ფონდში. არ მინდოდა, მკრეხელური სიტყვები გამომეყენებინა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. მაღლობა ყურადღებისთვის.

გელა ზედელაშვილი 555 48 48 61

„საქალაქი საკლან და საშოკლან, არ დარჩებიან მიშანი“

„ასავალ-დასავალის“, „ორსკანიალისა“ და „შაირია ამაღ კარბის“ შესახებ

მცადლე:

„ასავალის“ გაზეთის ვფურცლავ ორშაბათს და სხვას არა, ნაცებისთვის მისართმევედ გამზადებულ სამსალას — წყვილ-წყვილად და ცალ-ცალად.

ლაშა ნადარეიშვილის „ასავალ-დასავალზე“ ვამბობ ორ სიტყვას: მის ორიგინალურ იდეაზე, რომელიც, ქართული შაირის ოდინდელ ფუძემე აღმოცენებული, ახალ საგანთო ჟანრად ჩამოყალიბდა და უნიკალურ მოვლენად დამკვიდრდა ქართულ ჟურნალისტიკაში: შაირი-ფელეტონი.

ვინ არის პროექტის ავტორი? ვინ არის, მგონი, ვხვდები: ერთ-ერთ ინტერვიუში დიდი მატყა ამირეჯიბმა იგი უახლესი ქართუ-

ითქმის, გინდ „მთავარი“ დაარქვან, გინდ — „უმთავრესი“, გინდ „პირველი“ უწოდონ, გინდ — „პირველზე უპირველესი“, — ჯგირიში უჯგუში, მაგალითო:

სანამ არის გაზაფხული და ყვავილობს სანამ ია, ჭუტას ტელეორდელიდან გვეჯდანება სანაია!

დედას ვუმკობ გვარამიას, ასარსალებს როს ენას ის, ნაცთა ყველა ტელეორდელს ჯობს ბორდელი როენასი!

„ასავალ-დასავალში“ გაცოცხლებული შაირ-ფელეტონის ახალი ჟანრი მაღალი რანგის პოეტურობით, მეტაფორული

ბით იქმნება შაირსიტყვის მოზაიკით აწვობილი დღევანდლობის ნაირფერი ტილო, რომელიც „ასავალ-დასავალის“ ნომრიდან ნომერში გრძელდება. ეს „უცვლელი განრიგი“, რომელიც ცალკეა აღსანიშნავი და მოსაწონი, დროის კვალშია ჩამდგარი:

აჰა, ისევ „ლაივში“ ვარ, როგორც ემზარ კვიციანი, უკორონო, უვირუსო, მორგუნოვის შპრიციანი.

ახლა მაინც, როცა არის ვითარება საგანგებო, მიშისტობას ნუ იკადრებთ, ზუგდიდელი მარგალეზო!

ალმოზაჩინე:

რომ მისამღერები, რომლებიც ჟან-ჟანი-სა და ტია-ტიას შაირებს გასდევს, პუბლიკაციებიდან სახელდახელოდ ამოკრეფილი და ერთად შეკრული, დამოუკიდებელი ნაწარმოებია, დამოუკიდებელი და საინტერესო:

მალე ვნახავთ სააკოვს, შალვა გვერდზე რო უზის... არ გამოვა მეორედ „რეველოშენ როუზი“.

ვინც სამშობლოსთან დაობდა, ყველა დალბა და დაობდა.

მიშამ დალია ჩაი და გუბაზი კიევის ჩაიდა!

აკინო, ფიწლის გიტარა, ჟანიმ ხიდის ქვეშ გიტარა.

თურმე ლორას „ენ-დი-აი“ ბოკერიას ბრენდაია!

გამოიცა რაპორტო — რის მამუკა, რა პორტო!

ბევრი გვეყვანან მევახშენი, ხაზარაძე, მე ვახ შენი!

პირველია თუ ბოლო ნაცია, ყველას მოუდებს ბოლოს ნაცია! და ასე შემდეგ. შეგიძლიათ გააგრძელოთ! უუცვლელად დამეთანხმებით!

დაბოლოს:

ყველაფერს ველოდი „ასავალ-დასავალისგან“, მაგრამ, რაც მარტის ბოლოსწინა ნომრის ბოლო გვერდზე ვნახე, ღმერთი-რჯული, იმას ვერც წარმოვიდგენდი:

რომ ტრადიციულ თუ ეგზოტიკურ საკრავებს, მათ შორის, დოღებდ გამოყენებულ ნიანგებს, ფიწალ-კონტრაბასს და ა.შ., ჟანი და ტია (როგორც გავეუშინაურდი!) ცოდვილ დედამიწაზე დაგვიყრიდნენ და საორშაბათო შაირებს „ჟან-ჟანისა და ტია-ტიას სკაფანდრული“ სათაურით კოსმოსიდან აგვიფლერებდნენ.

მარტო ეს სკაფანდრული ერთ რამედ ღირს.

ინსტრუმენტი გადავაგდე, გამოვეწვიე სკაფანდარში, ქოცი ნაცსა შემოვტყორცნე, გავაჭენე სწრაფად რაში.

რაშის გაჭენებამ დამაქვავა. რადგან იმ ავტომობილს, რომლითაც ჟანი სიხარული-ძე ზოგჯერ დაიარება, ისიც მაშინ, როცა ხელოსნებთან (ამერიკის საელჩოს გვერდით რომ მუშაობენ) სიჩქარის დაუმორჩილებელი კოლოფის ამბიციური ხარვეზების გამო-სასწორებლად, „რაშის ჭენება“ არ ეთქმის.

ისე ვატყობ, ლაშა ნადარეიშვილი ამ ჟოკისტს ახალ „სეზონში“ პოეტურ იბოდრომზე გამართული პოლიტიკური დოლის ახალ წრეზე დააყენებს, რადგან ასე სჭირდება დროს, როცა

ყველაზე ცუდი პანდემია




დასავალ დასავალი

ნაცის და ქოცის ტანდემია.

ასე იყო ყოველთვის „კონტრაბასულე-ბით“ დაწვებული, „სლაგური მოტივების“ გავლით, შემდეგ — „ფანდურავი“, „ბენ-დიი“, „ახალი შაირები ძველი სტილით“, „არღნიანი“ და ა.შ. „სკაფანდრულით“ დამთავრებული.

ნაცებისა და მათი ანასხლეტების ყოველ გამოხდომაზე რეაგირებს „ასავალი“. როცა



ამ გაზაფხულზე ყოფილები პრეზიდენტს 48 მილიონი ლარის მიმთვისებელ „პოლიტპა-ტიმარ“ უგულავას შეწყველების მოთხოვნით მიაწვნიეს, ამ წყვილმა ჩვენს საზოგადოებრი-ობას დედაქალაქის ყოფილი მერის ხელმ-რუდობის ამბავი შეახსენა:

ლენინს უყვარდა ბავშვები, ბავშვებს უყვარდათ მურაბა, წადმა-უკულმა იხმარა გიგილომ ქვეყნის ყულაბა.

წაუშაირეს, გაუღიმეს — „გაზაფხული დადგა“ და ცოტა თითიც დაუქნიეს ქ-ნ სალომეს:

კიდევ ბევრი გაზაფხული მოგვიყვანონ მერცხალებმა, პრეზიდენტო, არ გაბედო უგულავას შეწყველება!

არც გაუბედია. არც აპირებდა. არც ესე-ნი აპირებენ გაჩერებას:

კორონა რომ გადავივლის, თავს გამოვეყოფთ სკაფანდრიდან...

ნაცთა ჭირხენა საკვირველი, ბიძო, უფრო სწრაფად გვინდა!

დაუჯერეთ, ბატონო ბიძინა, ჟან-ჟანსა და ტია-ტიას, შეუსრულეთ თხოვნა, მხარი დაუჭირეთ სწრაფად მიჭირხენის ლოზუნგს! მაინც არ მოგეშვებიან.

რადგან ჟანი სიხარულით მათუსალაა!

არამაზ სანებლიძე



ლი ლიტერატურის სამ საუკეთესო პოეტს შორის დაასახელა.

ახლა ცოტა თქვენც იფიქრეთ და მინ-ცდამაინც მე ნუ მათქმევინებთ იმას, რასაც რედაქცია არ ასაჯაროებს.

მაშ, ვინ?

XIX, ვერცხლის საუკუნის რუსულ ჟურნალისტიკაში ფრიად პოპულარული იყო ვინმე კოზმა პრუტკოვი — ავტორი, რომელიც არ არსებობდა, მაგრამ ისეთ ავტორიტეტულ ჟურნალებში აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, როგორებიც „სოვერენიკი“ და „ისკრა“ იყო.

არ არსებობდა?

დაიხ, არ არსებობდა, როგორც კონკრე-ტული პიროვნება, რადგან კოზმა პრუტკოვი იყო კოლექტიური (კრებსითი) ფსევდონიმი იმ დროს ცნობილი პოეტების — ალექსეი ტოლსტოისა და ძმები შემოქმედებების — ალექსანდრესი, ალექსისა და ვლადიმირის.

ამათ ათქმევინეს კოზმას ის, რაც დღე-ვანდელ ჩვენს ოპოზიციურ პოლიტიკურ ისტებლიშმენტზეა ზედგამოჭრილი: „ბევრი ადამიანი ძეხვსა ჰგავს — რასაც ჩასტენიან, თან დააქვს“.

დააქვს და ამოაფრქვევს სააკაშვილის შადრევანივით.

ყარს!

მათ პარტიულ ტელეარხებზეც იგივე

აზროვნებითა და თემების სიმწკავით ბევრად არის გაცდენილი პირველწყაროს, მასშტა-ბურობას — ნუ იკითხავთ!

შაირ-ფელეტონი რევიუს, ბურლესკის, კომედიის ჟანრის კანონებს აფართოებს და ნიჭიერად დადგმულ სანახაობად წარმოგ-ვიდგება, რომელსაც გაზეთის მკითხველი ტვინის ჭყლეტის გარეშე აღიქვამს და გაი-თავისუფლებს.

მთელ ამ მრავალფეროვნებას აერთიანებს ლიტერატურული გმირი, რომელიც გაზეთის დამფუძნებელმა და მთავარმა რედაქტორმა ჩვენს რეალურ ცხოვრებაში აღმოაჩინა, ილიასი არ იყოს, ხელი ჩაავლო და უჩვეულო ასპარეზზე გამოიყვანა.

ეს ორიგინალური პერსონაჟი არის ნიანგი, უფრო ზუსტად, სატირული-იუმო-რისტული ჟურნალ „ნიანგის“ მთავარი რედაქტორი ჟანი სიხარულიძე. ჟურნალი არ გამოდის, სამაგიეროდ ლიტერატურულ პოდიუმზე გამოდის ბატონი ჟანი, ფსევდო-ნიმით ჟან-ჟანი.

ამასაც მოფიქრება უნდოდა.

აი, ტია-ტია — ხევსურული კავიის ახალი გამონათება, განუმეორებელი ქართველი პოეტის, ტარიელ ჭანტურიას, იუმორისტუ-ლი ფსევდონიმი უნდა იყოს.

გამარჯობა, ბატონო ტარიელ?!

და ამ უნიკალური ტანდემის შემვეო-

ქიზიყში კორონა ამ დრომდე არ გამოჩენილა. თუმცა გამოჩნდა შიში... თანაც იუმორნარევი. გლეხები ვერ მალავენ ცინიზმნარევი სინარულს: ჰი, ჰი, ჰი, კაცოლო, სოფელი გადაივსო ქალაქელე-ბითაო... ჰი, ჰი, ჰი, ესენი თავის დროზე დაჭყლეტილი „ზონტიკე-ბით“ წავიდნენ და მემრე აღარა გეკადრულობდნენო, ვითომ დიდი ქალები და კაცები გახდნენო.

რას აკეთებენ ქალაქიდან დაბრუნებულები, თონები აიღეს ხელში-მეთქი?

ჰმ... თონები, მა რაა, ბებია-მათსამ, კალმებ დაუვრიგებდით, აი! – იბახიან ყოფილი „ბირჟავი-კები“.


რათა ყოფილი „ბირჟავიკები“? იმიტომ, რომა „ბირჟები“ დაუხურეს, 3 ათასლარიან ჯარი-მებს ერიდებინან. თუმცა ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია, დილით „ჟიგულებით“ მაინც შემოუვლიან ხოლმე „დანადმულ ტერიტორი-

ყველაფერი მაგათ ხოშხეა... მოა არჩევენ და მაგასაც ვნახამთ! მე – ნუ იმუქრებით! ისინი – არ ვიმუქრებით! მე – იმუქრებით! ისინი – არა!

მე – სულ ტყუილად იმუქრებით, მაინც „ოცნება“ გაიმარჯვებს!

ისინი – ჰო, მაგრამ ზემოთ გედევცი, ვაუჩერები დაგვირიგონ, პრეპარატები ძვირია, საწვავი ძვირია, ყველაფერი ძვირია, დეგვენმარონ!

მე – აუცილებლად გადავცემ! გლეხები არ არიან უჭკუოები, იციან თავიანთი საქმე. ვერ მივცემ თავს იმის უფლებას, სოფლის მე-



კორონა სოფელში



ას“, ერთიმეორეს ხელის აწვევით მაინც ესელებიან. თან გასძახებენ ხოლმე ერთმანეთსა, ხორბალ როგორი პირი უჩანს, ქერი ხო არ გაიფუჭდაო?

რაფი, მაგი დედაც ვატირე, გუშინ ჩავირბინე, გადავხედე, ქერი ცოტა წაყვითლებულია, ხორბალ კიდე არაუშავსო!

სოფელში დიდი სინანული სუფევს... ძირითადად ნანობენ ისინი, რომლებმაც წელს ნიორი მცირე რაოდენობით დათესეს, ან სულ არ დათესეს. აგერ, ტატრუაყუნანთ ჯუმბერას ბიჭმა საკუთარი პირით ჩამაიტანა ინფორმაცია, თბილისში ნიორი 40 ლარი გახდაო.

მე – არ არსებობს, 40 ლარი ვერ გახდებოდა, მე ვნახე წამოსვლისას, 15 ლარი იყო!

ისინი – ჰმ, კაცი წუხელ ჩამოიდა ქალაქიდან და მა იტყუება?!

მე – ამკარად იტყუება, ან კიდე დებილია!

ისინი – როგოა დებილი, როცა ყოველდღე „ტავარი“ დააქ თბილისში?!

მე – ნუ, ნიორი 40 ლარი მაინც არ არი!

ისინი – 30 იყო, მაგაზეც ვაბულს ვართ!

მე – ეგ უნამუსობაა!

ისინი – ყურმენი რო 60 თეთრი ღირს, ეგ არ არი უნამუსობა?!

მე – მაგას ბაზარი არეგულირებს!

ისინი – რთელი წინ რო გამოარდებიან ხოლმე და დაადგენამენ ხოლმე, ამდენი და ამდენი ეღირებაო, ეგ როგოა?!

მე – აძლევთ და ისინიც ადგენენ თავიანთ ხოშხე!

ისინი – საქმეც მაგაშია, რო

ურნეობის საკითხში რამე ვასწავლო, უბრალოდ ვკამათობთ, იმათ თავიანთი აზრი აქვთ, მე – ჩემი.

ამას წინებზე, კორონამდე სოფლის ერთ-ერთ ორღობეში ბიჭებმა და კაცებმა გამაჩერეს, ერთი-ორი ჭიქა დაგვილიყო. საჭესთან ვარ, თან მერქარება-მეთქი. მაიცა, ნუ დალევ, მარტო გველაპარაკეო.

ვერ გამოვძვერი, მანქანა იქვე მივაყენე და სუფრას მივუჯექი. შეიღნი-რვანი იქნებოდნენ. წავედით, წამოვედით, ამ ცხოვრების ამოებას მივაღვეით. ერთი ახალგაზრდა იბახის, ამი დედა ვატირე, აქ სამუშაო არ არიო, უნდა წავიდეთ. ჰო, ჰო, სწორედაც რო ეგრეაო, დაუკრა კვერი მეორემ.

ჩემ გვერდით მჯდომმა კაცმა უთხრა: ბიჭებო, მე ბიზნესმენი ვარ, თბილისში მაქ საწარმო, ზვალვე დაგასაქმებთ, ოღონდ მითხარით, რა იცითო. ამათ, ამ უმუშევრებმა შორს დაიჭირეს, ცაში ღრუბლებს გახედეს და ისაო, არაფერი არ ვიცითო. კარგი, მაშინ ის მითხარით, რა გინდათო. აი, მაგაზე ჯერ არ ჩამოვყალიბებულვართო. აქ კი ვეღარ მოვითმინე, ბაღ-ბოსტანი რო გაქვთ გავერანებული, იმას მიხედეთ-მეთქი!

ჰმ... თონები ავიღოთ ხელშიო?!

აი, ზუსტად ვერე – თონებიო?!

ჰო, რა იყო, თუ არაფერი იცით და იმაზეც არ ჩამოყალიბებულხართ, რა გინდათ, მაშინ თქვენი ხელობა თონი, ბარი და მიწის დამუშავება ყოფილა-მეთქი.

რეებს იბახი, ახალგაზრდებმა ბაღ-ბოსტანში უნდა ჩავიკლათ თავებიო?!

აქეთ გამამტყუნეს, ლამის ბო-

ლიში მომხადვეინეს. არადა, მართალი ვიყავი!

არა, არა, ისე არ გაიგოთ, თითქოს სოფელში ყველა ეგეთი დუთინაა, მე ერთ ნაწილზე გელაპარაკებით და ეს ერთი ნაწილი არც თუ ცოტაა.

ხელში თონის აღება და მუშაობა არ არის სირცხვილი. პირიქით, მე დიდად საპატიო საქმე მგონია. ვისაც ესირცხვილება, ის დებილია. თანაც ისეთი დებილი, ყველაფერს მთავრობიდან და ბიძინა ივანიშვილისგან რომ ითხოვს, გეგონება დიდი დამსახურება ჰქონდეს ერისა და ქვეყნის წინაშე!

დავანებოთ თავი ზარმაცებსა და პატივმოყვარეებს, ბეჯითებსა და შრომისმოყვარეებზე ვილაპარაკოთ!

ერთი დიდი ბებია მყავდა. ბავშვობიდან მახსოვს, სუ ერთი და იგივეს ქადაგებდა: შვილო, მთავარია, დაფქული გვექონდეი, ლობიო გვექონდეი, ღვინო გვექონდეი, მემრე თუ უნდა ითოვლონი გიმალაიზეო... „ეფრემ ვერდში“ სწერია, რომა ბევრი გაჭირვება იქნებაო. ეს ჩემი დიდი ბებია, რაც მახსოვს, მთელი ცხოვრება ვეებერთელა თუთის ხის ძირში იჯდა, ზემოთ ამოყრილი ფესვებიდან ერთი ჰქონდა ამოჩემებული, სხვა ფესვზე არაფრისდღეებით არ ჯდებოდა. გაყვითლებულ ცხვირსახოცში ბურნუთი ჰქონდა გამოკრული, ორი თითით ამოიღებდა, ცხვირში შეიყრიდა, დააფცხვირებდა და იტყოდა: ვაი, ვაი, ვაიი, ნეტა მე რო აღარ ვიქნები, რა გეშველებათო?!

დაწყნარდი, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი!

არაო, ვერ იქნებაო, დაფქული აღარ გექნებათ, ლობიო აღარ გექნებათ და როცა გიმალაიზე ჩამოთოვს, შიმშილობა დაიწყებაო.

აბა, რეებსა ლაპარაკობ, რაღა დროს შიმშილობა-მეთქი?!

შენ არ იცი, „ეფრემ ვერდში“ ვერე სწერიაო.

მაჩვენე-მეთქი.

არა მაქ, მეც ბაღლობაში წავიკითხე, ჩემმა დიდმა ბაბომ წამაკითხაო.

კარგახანს ვემებე, მხოლოდ სიჭაბუკისა გადავაწვდი ერთ-ერთ ბუკინისტურში. წავიკითხე. ბევრი ვერაფერი გავიგე. არის წინასწარმეტყველებანი... მაგალითად. შეიძლება ამა და ამ ქვეყანაში ოდესღაც შიმშილობა ჩამოვარდეს და ხილის ჭამაც ძალზედ საშიში გახდესო. არის სიზმრების ახსნა... მაგალითად, თუ ბატი ნახო -ნიშანია დიდი კაცისა ან შორი გზისა და უცხოეთში წასვლისა... ბუზის ნახვა ცუდია, ვინმეს უთუოდ მოიმღურებ და მტრობა ჩავარდება... ბოლოკის ჭამა ცუდია, მტრობის ნიშანია... ბაყაყის მოკვლა ცუდია, ავდრების და წვიმების ნიშანია. ეხლა ხომ გესმით, საიდან მოდის ბაყაყის მოკვლისა და წვიმის ამბავი?

რაზე გავიხსენე „ეფრემ ვერდი“?

იმანედ, რომ სოფელში ეს თემა ისევე აქტუალურია, უმეტესად მოხუცებში: ეგე, იმ წიგნში რო სწერია, ქვეყნიერებაზე ავადმყოფობა და შიმშილობა ჩამოვარდებაო, ხო გამართლდო? ახალგაზრდები თან მხრებს იჩეჩავენ, თან კიდე კვერს უკრავენ, ეგრეა, ეგ ჩვენც გაგვიგიაო.



ჰოდა, ერთი ბაბო იბახის, მანდა სწერია, ყველაზე დიდ ქვეყანაში ერთი ტყვირპიანი კაცი მოა მეფედ და ცოტა ხანში ეგ ქვეყანა დაიშლებაო. ხო იყო გორბაჩოვი ტყვირპიანიო? ხო დაიშალა საბჭოთა კავშირო? ეხლა კიდე შიმშილობა იწყებაო.

აბა, მაჩვენე, სად წერია-მეთქი?!

იიიი, მე არ წამიკითხნია, ნინა ძალი დედამთილმა იცოდა ხოლმე თქმაო.

ვითომ დავიჯერე, მართალია-მეთქი.

ბეჯითი გლეხები გვეკითხებიან: მაისიდან, როცა ნივრის სეზონი დაიწყება, აღმოჩნდება კი ადგილობრივი ბაზარი ისეთი მყიდველობით უნარიანი, რომ დღევანდელი ფასი შენარჩუნდეს? ნუ, ეხლა... 40 ლარი თუ არა, 20 ლარი მაინც? თუ მყიდველის თვალთ შევხედავთ და სიტუაციას გავაანალიზებთ, ხელოვნურად გაზრდილ-დაწესებული ფასი არ შენარჩუნდება, საუკეთესო შემთხვევაში, ალბათ, 5 ლარი იქნება. თუმცა, თუ რუსეთიდან ტრაილერები არ შემოვიდა და არ დაიწყო პროდუქციის გატანა, შეიძლება უფრო გაიფუჭდეს.

ყურმენთან დაკავშირებით არსებობს კიდევ ერთი ვერსია: ხომ შეიძლება, მსოფლიო მასშტაბით საჭირო გახდეს სპირტი? თავი დავანებოთ მსოფლიოს, რუსეთს დასჭირდება, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს დასჭირდებათ, ჩვენ კიდეც გვაქვს. ვნახოთ, წინასწარ ვერაფერს ვიტყვით, შეიძლება ასეც მოხდეს, შეიძლება გაგვიმართლოს, შეიძლება ყურმენი სანთლით სამეზობრო გახდეს.

ჯემალა ჩივის, ჩამოსულ-დაბრუნებულებმა თონი ტარები დაამტკირესო.

რათა-მეთქი?

ხმარება არ იციანო, ზოგ კიდე დაავიწყდა თონის ბაყუნის თეორია და პრაქტიკაო.

დაავიწყდებოდათ, მა რა იქნებოდა? – წუხს მარო ბაბო.

არაუშავს, თონის ბაყუნს გაიხსენებენ, ისწავლიან, ტარებსაც თავადვე გამოთლიან, რა პრობლემაა? გპირდებით, მაგ საკითხს პირად კონტროლზე ავიყვანო.

გელა ზედელავილი 555 48 48 61

COVID-19-ის ღია წერილი საქართველოს

რას მერჩით, კაცო, ქართველები? მე არ გერჩით და თქვენ რას გადაგიკიდებთ? რატომ მემტყუნებთ და რატომ მლანძღავთ უკანასკნელი სიტყვებით?

ძალიან ნაწვენი ვარ პაატა იმნაძეზე! არ უნდა ეკადრებინა მაგას ჩემთვის ის სიტყვები, რაც მაკადრა.

თავის ნებაზე თუ მივუშვით, კორონავირუსი გაგვწვევებს და გაგვანადგურებს, კუბოების დათვლას ვერ ავუვალთო, რომ ბრძანებით, როდის გავწვევით, როდის გაგანადგურებთ და როდის ჩამოგიშვებთ კუბოები, ბატონო პაატა?

სხვაგან ათასები და ათიათასები დაღუპული, თქვენთან მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ ოთხი კაცია გარდაცვლილი და მე მბრალდება, თორემ მათ სიკვდილში მანცდამინც დიდი ბრალი არ მიმიძღვის.

იცის ეს ბატონმა პაატამ და მაინც ასეთ ხმებს მივრცელებს.

არ ეკადრება მაგას ასეთი საქციელი, მით უმეტეს, მე და პაატა, თუ შეგობრები არა, დიდი ხნის ნაცნობები ნამდვილად ვართ და ერთმანეთს ცოტა მეტ პატივს უნდა ვცემდეთ.

მართალია, მაშინ სხვა სახელი მერქვა, მაგრამ სახელს რა მნიშვნელობა აქვს — სახე ხომ იგივე შემრჩა?

არა მარტო ბატონ პაატას, ბატონ ამირან გამყრელიძესაც კარგად ვიცნობ, ქალბატონ მარინე ეზუგბაიაც ჩემი ძველი დაქალია, ბატონ თენგიზ ცერცვაძესთან კი იმდენი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს, ახლობლად და მეგობრად ვთვლი.

აი, ასეთი საყვარელი და საპატივცემული ადამიანები, დიდი ხნის ნაცნობები და მეგობრები რომ გაგჭორავენ, გეწვინება კაცს, თორემ ნიკულა გვარამიასგან და ბოკერიასგან რა უნდა გეწვინოს?

კი, ბატონო, არავის არ ვუკარგავ თავგანწირვას და დამსახურებას ჩემს წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ სადაც თავიანთი დამსახურებაზე ლაპარაკობენ, იქ ჩემი დამსახურებაც რომ ასხენონ ორიოდ სიტყვით და თქვან, რომ არ ვარ მე ძალიან აგრესიულად განწყობილი ქართველების მიმართ, არ შეიძლება?

მე რომ არ ვიყო ხაზგასმულად ლმობიერი ქართველების მიმართ, აბა, ბაბუაქემის ხნის პრეპარატები მომეროდა?

გამჭვიპეს ტილის და მალარიის საწინააღმდეგო წამლებით, რატომ, ძმაო, რატომ? მთელ დედამიწას ვაზანზარებ და ტილი და მალარია ვარ მე?

ამ წამლების შემდეგ ცოტა ხანს ჩაკაფებული დავბორიალობ, მერე გამივლის და ისევ ის კორონა ვარ, რაც ვიყავი.

— რატომ არის მანცდამინც ქართველების მიმართ ასე სიმპათიით განწყობილი ეს კორონაო? — კითხულობენ ვიღაც ინტრიგანები. იცით, რა გითხრათ? ეს ჩემი პირადი საქმეა და, როგორც დათა თუთაშვილი იტყვოდა, ნუ ერევით თქვენ ჩემს პირად საქმეებში.

აღდგომის წინა დღეებში დიდი განგაში ატყდა: — არ წახვიდეთ ეკლესიაში! გადაარჩინეთ ეკლესია გადაარჩინეთ საკუთარი თავი და გადაარჩინეთ სხვები, — ისმოდა ყოველი მხრიდან.

ეს დავიადარაბა ბოლოს იმით დამთავრდა, რომ შეთანხმდნენ: ეკ-


მანცდამინც რომელიმე მღვდელმა თუ არ გაგიწიათ რეკომენდაცია ღმერთთან და თქვენი ნათქვამი იმან თუ არ გადაუთარგმნა, ისე ვერ გაიგებს და არ მოგისმენთ?

ერთ მუუფეს მოვკარი თვალი ამასწინათ — თბილისის თავზე დაფრინავდა ვერტმფრენით და ვითომ ჩემგან იცავდა ქალაქს.

ვიფიქრე, ვეცემი ახლა ყანყარტოში და ვასწავლი ჭკუას-მეთქი, მაგრამ ისეთი ხაშლამის და კახური ჭაჭის სუნის ასდიოდა, ახლოს ვერ მივუკარე და თავი დავანებე.

აი, ასეთების და ამნაირების რეკომენდაცია გჭირდებათ თქვენ ღმერთთან მისასვლელად და ასეთებმა და ამნაირებმა უნდა გამოგიწვიონ საშვი ღმერთთან მისასვლელად?

გამყრელიძის არ გჯერათ, ცერცვაძის არ გჯერათ, იმნაძის არ გჯერათ და იქნებ მე, COVID-19-ს მანც დამიჯეროთ! — დარჩით სახ-



გაქეთ სასაყვედურო, ვერ მივხვდით...

ვიყავი ჩემთვის გამოქვავულებში და მღვიმეებში ღამურებთან ერთად და არავის არაფერს ვუშავებდი, სანამ ადამიანები არ მძებნენ და ღამურებთან ერთად არ გადამსანსლეს.

მანამდე ვინმეს რამე დაუშავებ ვინმე ზედმეტად შევაწუხე? არა, ხომ?

ვიკონებენ ერთმანეთის გასაყლელად, ჩვენი, ვირუსების, საქმიანობა მაგასთან შედარებით, უწყინარ ზუმრობად მოგეჩვენება.

ეს ქიმიური იარაღი, ეს ბაქტერიოლოგიური იარაღი, ატომური იარაღი და რა ვიცი, კიდევ ათასი ჯანდაბა და ღონანა.

რა გჭირთ თქვენ, ადამიანებო, რა გჭირთ, რით ვერ გაძეხით ერთმანეთის სისხლით და ზორციით, რით ვერ დაეტიეთ ამ დედამიწაზე?

ჩემი მეგობარი ვირუსები მიყვებიან, რა საშინელ ცდებს ატარებენ მათზე ადამიანები თავიანთ საიდუმლო ლაბორატორიებში და როგორ ცდილობენ ისეთი ახალ-ახალი შტამები შექმნან, რომლებიც რაც შეიძლება მეტ ადამიანს გაანადგურებს.

სხვისი მონათხრობი რად მინდა, მე თვითონაც ისეთ დღეში მაგდებენ ეს ახირებული ექსპერიმენტატორები, სიქა გამძვრა უკვე. ერთი ლაბორატორიიდან მეორეში დამათრევენ, მეორედან მესამეში და ასე შემდეგ.

იმდენ სინჯარასა და კოლბაში გადამასხეს და გადმომასხეს, იმდენი მჩეხეს და მაქუცმაცეს, იმდენ რალაცასთან შემაჯვარეს, უკვე არ ვიცი, ნამდვილად ის ვარ, ვინც ღამურის სხეულიდან გამოვიდა თუ სხვა ვარ — სანახევროდ ადამიანის მიერ შეკონსერვებული ურჩხული და მკვლეელი?

დაბოლოს, ადამიანებო, სახლში დარჩებით თუ არ დარჩებით, მთავარია, ადამიანებად დარჩეთ; მაშინ მეც თავს დავანებებ და ჩემს გამოქვავულებში და მღვიმეებში დავბრუნდები.

COVID-19-ის წერილი მოიპოვა და გამოსაქვეყნებლად მოამზადა პახტანბ ხარჩილაშამი



ლესისი კარები ღია იქნება, მაგრამ შიგნით ნუ შემოხვალთო.

ეკლესია თუ ნატოა, კარები რომ ღია აქვს და შიგნით შესვლა რომ არ შეიძლება?

ამ ადამიანების გამკვირვებია დარჩი სახლში, სახლში ილოცე, სახლში დაანთე სანთლები და შენს ლოცვას, შენს მადლიერებას, შენს კრძალვას და მოწიწებას ღმერთი შენი სახლიდანაც გაიგებს და მიიღებსო, რომ გეუბნებიან, რატომ არ გჯერათ?

ღმერთის ყოვლისშემძლეობისა არ გჯერათ თუ რაშია საქმე?

ლში! დაიცავით სოციალური დისტანცია! ნუ შეგუფუდებით ერთად! მანცდამინც ახლა ნუ მოგინდებათ ხევენა-კონცნა-მტლამა-მტლუში! ხშირად დაიბანეთ ხელები!

მე კი არა, თქვენ, ადამიანები ხართ დღეს ყველაზე საშიში ერთმანეთისთვის.

მე ვირუსი ვარ და ის ზნე და ხასიათი მაქვს, რაც ვირუსს უნდა ჰქონდეს.

თქვენ თუ გინდათ სიცოცხლე, მეც მინდა სიცოცხლე, ეს ბუნებრივი ინსტინქტია და მომერიდეთ... ისე, კაცმა რომ თქვას, ჩემთან რა

ჰოდა, ადამიანებმა ერთმანეთს მოჰკითხეთ ის, რაც მოხდა, მე კი ნუ მსაყვედურობთ...

გასაკვირი არ არის, ადამიანი რომ გქვია და ამ შავ დღეზე გაჩენილ ღამურას რომ ჭამ?

ღამურას თავი დავანებოთ, ადამიანი გქვია და კატას და ძაღლს რა გაჭმევს, ვირთხას რა გაჭმევს, ხვლიკს და კიდევ სხვა ათას უბედურებას რა გაჭმევს?

შეჭამ და გადაეყვრები რალაც საშინელებას, აბა, რა იქნება?

ჭამა-სმის ამბავსაც რომ შევეშვათ, ადამიანები ისეთ რალაცებს



ესპანური გრიპი - მილიონების გაცვლილი

ასი წლის წინათ ესპანური გრიპის პანდემიას დედამიწის მთელი მოსახლეობის 5% — 100 მილიონი ადამიანი ემსხვერპლა...

ესპანური გრიპის ეპიდემია ესპანეთში არ დაწყებულა, როგორც ბევრს მიაჩნია მისი სახელწოდების გამო. დოკუმენტურად დადასტურებული პირველი შემთხვევა ამ დაავადებით დასნებოვნებისა დაფიქსირებულია 1918 წლის მარტში ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამხედრო ბაზაზე კანზასის შტატში.

რეიტინგ ალბერტ გიფელმა ექიმებს მიმართა ძლიერი ხველებისა და ცხელების ჩივილები თ. გიფელი ლაზარეთში დააწვინეს და მკურნალობა დაუწვეს, როგორც ჩვეულებრივი გაციების დროს. რამდენიმე საათის შემდეგ ექიმებს უკვე დაახლოებით ასმა ადამიანმა მიმართა იმავე სიმპტომებით. ასე გახდა ნათელი, რომ ეპიდემია დაიწყო...

ერთი კვირის შემდეგ დაავადებულთა რაოდენობამ 500-მდე მიაღწია, მალე კი მათი რიცხვი 1100-მდე გაიზარდა. დაავადებულთა უმრავლესობა სამი-ხუთი დღის შემდეგ გამოჯანმრთელდა, 48 მათგანი კი გარდაიცვალა.

ალფრედ გიტჩელიც გამოჯანმრთელდა და ომის დამთავრების შემდეგ მრავალი წელი საკუთარ რესტორანში მუშაობდა სამხრეთ დაკოტაში. თუმცა დაავადება, რომელიც ის ნულოვანი პაციენტი გახდა (ასე უწოდებენ პირველ ადამიანს, რომელიც ეპიდემიისგან დაზარალდა), ისტორიაში შევიდა, როგორც მსოფლიო ისტორიაში ყველაზე საშინელი.

აშშ-ში ყოველი მეოთხე ამერიკელი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 675 ათასი ადამიანი —

ამერიკის შეერთებულ შტატებში ესპანური გრიპისგან უფრო მეტი ადამიანი გარდაიცვალა, ვიდრე პირველი მსოფლიო ომში საბრძოლო მოქმედებების დროს.

ვირუსი რინათიდან

მოგვიანებით განხორციელებულმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ აშშ-ში ესპანური გრიპის ვირუსმა ჩინეთიდან შეაღწია — ისევე, როგორც დღეს არსებულმა ვირუსმა, რომელიც მთელ პლანეტაზე გავრცელდა.

მედიცინის ისტორიკოსებმა დაადგინეს, რომ ჯერ კიდევ 1916 წლიდან ჩინეთში მძვინვარებდა რაღაც ინფექცია, რომელიც აღწერილობით ძალიან ჰგავს ესპანურ გრიპს. 1917 წელს ამ დაავადებამ ჩინეთის იმ სოფლების მცხოვრებლები დააავადა, რომლებიც ჩინეთის დიდი კედლის გასწვრივ 500 კმ-ის მანძილზე იყო განლაგებული.

აშშ-ში XX ს-ის დასაწყისში ათასობით ჩინელი ჩადიოდა, რომლებიც ნებისმიერ ბინძურ საქმეს ასრულებდნენ და მცირე ანაზღაურების ფასად სამხედრო ბანაკებში მუშაობდნენ. სწორედ მათგან დასნებოვნდა ნულოვანი პაციენტი ალბერტ გიტჩელიც.

გიტჩელი გამოჯანმრთელდა, ვირუსი კი ძალიან სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში, პირველი დაავადებულები კი ჩინელები იყვნენ. 1918 წლის ზამთარში აშშ-სა და კანადაში ბევრი ჩინელი გადაიბირეს ევროპაში, ანტანტის ჯარების ზურგში სამუშაოდ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბევრი ჩინელი ევროპაში ჩასვლამდე უჩიოდა ცუდად ყოფნას, გემის



ექიმები კი ამას ზღვის ავადმყოფობას აბრალებდნენ.

პირველი მსოფლიო ომის დროს ესპანეთი ნეიტრალურ ქვეყნად რჩებოდა და მას არ ეხებოდა მკაცრი ცენზურული შეზღუდვები. პირველად მასობრივი ეპიდემიისა და ათასობით ადამიანის სიკვდილის შესახებ სწორედ ესპანეთის პრესაში დაიწერა 1918 წლის მაის-ივნისში.

საინტერესოა, რომ გრიპს, რომელიც ისტორიაში „ესპანურის“ სახელით შევიდა, თავად ესპანეთში „ნეაპოლიტანელ ჯარისკაცს“ უწოდებდნენ, დასავლეთ აფრიკაში „ბრაზილიურ გრიპს“ ეძახდნენ, ბრაზილიაში კი — „გერმანულ გრიპს“. პოლონელები მას „რუსულ ავადმყოფობას“, სპარსელები კი „ბრიტანულ ავადმყოფობას“ უწოდებდნენ.

ესპანკას ასევე „ლურჯ“ ავადმყოფობასაც ეძახდნენ, რადგან დაავადების ბოლო სტადიაზე დაავადებულების სახე საშინელ ლურჯ ფერს იძენდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს იმის გამო ზღვებოდა, რომ ესპანური გრიპისგან ყველაზე მეტად ფილტვები ზიანდებოდა — ისინი პრაქტიკულად იშლებოდა, ადამიანები ვერ სუნთქავდნენ და იხრჩობოდნენ, ამიტომ მათ სახე ულურჯადებოდათ, როგორც ჩამომხრჩვალეებს.

ევროპაში ადამიანები ასიათა-

სობით იღუპებოდნენ. 1918 წლის ზაფხულში ბარსელონაში ყოველდღიურად 1200 ადამიანი კვდებოდა. ეპიდემიის პიკის დროს ნახევარი წლის განმავლობაში ესპანური გრიპისგან 25 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა!

ბევრი თანამედროვე ისტორიკოსი თვლის, რომ სწორედ ესპანური გრიპის ეპიდემია გახდა პირველი მსოფლიო ომის შეწყვეტის მიზეზი 1918 წლის ნოემბერში — ავადმყოფობით გატანჯულ ჯარებს უკვე აღარ შეეძლოთ ერთმანეთთან ბრძოლა და ამიტომ დაიღო ზავი.

ნახევარი მილიარდი მსხვერპლი

ვირუსი დააბიჯებდა პლანეტაზე და სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს კლადა, ვიდრე 1919 წელს უცებ თავისით არ დასრულდა — ადამიანები აღარ ავადდებოდნენ ესპანკით.

სტატისტიკის თანახმად, ამ სასიკვდილო გრიპით ნახევარი მილიარდი ადამიანი დაავადდა — ეს 1918 წლისთვის დედამიწის მოსახლეობის ერთი მესამედი იყო. გარდაცვლილთა რაოდენობა ცნობილი არ არის, რადგან ასეთ ქაოსსა და არეულობაში გარდაცვლილთა ზუსტი აღრიცხვა შეუძლებელი იყო. თანამედროვე მონაცემებით, დაახლოებით 50–100 მილიონი

ადამიანი გარდაიცვალა — დედამიწის მოსახლეობის 3–5%.

ყველაზე მეტი ადამიანი აზიაში გარდაიცვალა: ინდოეთში 18,5 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 7%), ჩინეთში — 9,5 მილიონი. თუ აშშ-ში 675 ათასი ადამიანი გარდაიცვალა, ნაკლებად განვითარებულ მექსიკაში მილიონი ადამიანი შეეწირა ამ დაავადებას.

საფრანგეთში 420 ათასი ადამიანი გარდაიცვალა, იტალიაში — 650 ათასი, ესპანეთსა და რუსეთში — 300–300 ათასი ადამიანი.

საინტერესოა, რომ 1997 წელს აშშ-ში ნაპოვნი იქნა ალიასკის მცხოვრებელი ქალის სხეული, რომელიც ყინულებში იყო დამარხული. ის 1918 წელს ესპანკისგან გარდაიცვალა. მისი ქსოვილისგან აიღეს ვირუსის ნიმუში და შედეგად მეცნიერებმა 2002 წელს ესპანური გრიპის გენომი გამოიფრეს.

აღმოჩნდა, რომ ეს „A“ ტიპის ვირუსის ქვეტიპია, რომელსაც შეუძლია მასშტაბური ეპიდემიების გამოწვევა და ადამიანებისა და ცხოველების დასნებოვნება. გასაკვირია, რომ ღორის გრიპის პანდემია 2009 წელს და ესპანური გრიპი ერთი ტიპის ვირუსმა გამოიწვია.

ბეატი ბეატიანიანი
568 90 81 22

როგორ ებრძოდნენ „ისპანკას“ 100 წლის წინათ

ისევე, როგორც დღეს, მაშინაც ინფექციასთან ბრძოლის ძირითად საშუალებად სადიზინფექციო საშუალებების გამოყენება და ყელში მარილიანი ხსნარის საკვების გამოვლება ითვლებოდა.

რა თქმა უნდა, საკვებს სამხედროებიც და სამოქალაქო პირებიც იყენებდნენ.

პირბადის საყოველთაო ტარება ახალი გამოგონება სულაც არ არის, ის ასი წლის წინათაც გამოიყენებოდა. პირბადე ყველას უნდა ეტარებინა, ვინც ადამიანთა თავშეყვრის ადგილას გადიოდა, ასევე მათაც, ვისაც სამსახურებრივი მდგომარეობის გამო იძულებული იყო, ადამიანებთან მჭიდრო კავშირი ჰქონოდა. მაგალითად, პარიკმახერებს.

გრიპი მუდმივად განიცდის მუტაციას და რაღაც დროის განმავლობაში დაუმარცხებელიც კი გვევ-


ნია... მიუხედავად ამისა, ასი წლის წინათ ექიმები მხარს უჭერდნენ ადამიანების გადაწყვეტილებას, აცრა გაეკეთებინათ.

სუფთა ჰაერის სამკურნალო თვისებები ადამიანებისთვის ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იყო ცნობილი...

XX საუკუნის დასაწყისში სუფთა ჰაერით მკურნალობა ნორმად ითვლებოდა.

უფრო მეტიც, ინფექცია შენობაში რომ არ გავრცელებულიყო, ეპიდემიის დასაწყისში საზოგადოებრივი ღონისძიებები კი არ უქმდებოდა, არამედ ღია ცისქვეშ ტარდებოდა. პაერზე ტარდებოდა სასამართლოებიც კი...

რა თქმა უნდა, ეს ჭკვიანური გადაწყვეტილებაა. ჩვენც ზომ ასე ვიქცევით დღეს. თუმცა, დღეისათვის ტექნიკა უფრო შთამბეჭდავია...



საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე

ბაზათის გამოცემა შემოიკლავით
შპს „აქს-ჯი“-ს მფლობელი
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალი“-ს სტამბაში.
ავლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001